გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
№ 139 (12818) 16 ივნისი სამშაბათი 2009 ფასი 60 თეთრი

ლევან ყიფიანი

# ფეხბურთის ფედერაცია ჭანტურიას უფლებებს უხეშად არღვევს!

>> გვერდი 2



# როსიმ სამშობლო არ დაინდო






# B დივიზიონზე არც უნდა ვიფიქროთ

>> გვერდი 12 ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# ბრაზილია კაკამ იხსნა






THE CHURCHILL CUP

# შეცდომები, ხარვეზები, პრობლემები...

>> გვერდი 13 ჩერჩილის თასი

აქტუალური თემა

# რებუსი, რომელიც თითქმის ამოხსნილია

**ფეხბურთის** ფედერაციის ალმასკომმა სახელმწიფო კმაყოფაზე მყოფ გუნდებს უმაღლეს ლიგაში თამაში აუკრძალა და შეიქმნა ისეთი რებუსი, რომლის ამოხსნა არცთუ ადვილია. ვერ არის კარგი საქმე, როცა ვითარება რებუსს ემსგავსება, მაგრამ ასე მოიტანა ცხოვრებამ - რებუსი უნდა ამოიხსნას...

...დიახ, რებუსი, რამეთუ საქმე მხოლოდ არითმეტიკასთან როდი გვაქვს. განვლილ სეზონში უმაღლესი ლიგა 11 გუნდისგან შედგებოდა, გავარდა 3, პირველი ლიგაში გაირკვა 2 საუკეთესო - „ამერი" და „სამტრედია", რომელთაც, დებულების თანახმად, უნდა ეთამაშათ 2009/10 წლების უმაღლეს ლიგაში, მაგრამ „ამერმა" ამაზე უსახსრობის გამო თქვა უარი, „სამტრედიას" კი ლიცენზია არ აქვს და თანაც, ჯერ ისევ სახელმწიფოს კმაყოფაზეა. მოკლედ, უმაღლესი ლიგის საგზურის მომპოვებელთგან საქართველოს საუკეთესო ლიგაში თამაშის შანსი მხოლოდ „სამტრედიას" შერჩა.

ახლა იმათზეც ვთქვათ, ვინც უმაღლეს ლიგაში დარჩა. დამდეგ სეზონში „ელიტაში" თამაში ოდენ ხუთ გუნდს აქვს დაჯავშნილი - „ვიტ ჯორჯიას", „დინამოს", „ოლიმპს", „ზესტაფონსა" და „ლოკომოტივს". მათ აქვთ ლიცენზია და წარმოადგენენ კერძო სტრუქტურებს.

უმაღლეს ლიგაში დარჩნენ „სიონი", „მგლები" და „მესხეთი". ახალციხის „მესხეთს" არ აქვს ლიცენზია და შეიძლება ითქვას, არც პატრონი ჰყავს. კლუბის ფინანსური მდგომარეობა მძიმეა და არ უჩანს პერსპექტივა, რომ 1 ივლისამდე „მესხეთი" ამ პრობლემებს მოაგვარებს.

დარჩა ორი გუნდი - „მგლებსაც" და „სიონსაც" ლიცენზია აქვთ, მაგრამ ორივე - რაიონის ბიუჯეტზეა ჩამოკიდებული. „სიონი" 100 პროცენტით ბოლნისის გამგეობას ეკუთვნის, „მგლების" მდგომარეობა კი ცოტათი განსხვავებულია - 51 პროცენტი ზუგდიდის გამგეობისაა, 49 კი კერძო ინვესტორის. „სიონისა" და „მგლების" უმაღლესი ლიგიდან მოკვეთა, ლოგიკურად, არავის უნდა აძლევდეს ხელს - საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის გულისფეთქვა პერიფერიებია და თუ ესეც შემოგვაკლდა, ტურნირისგან ფაქტობრივად ალარაფერი დარჩება.

„სიონსა" და „მგლებს" თავსატეხი გაუჩნდათ. ასეთ დროს ყველაზე ოპტიმალური გადაწყვეტილება ალბათ ის იქნება, თუ მოხდება კლუბის ფიქტიური გადაფორმება კერძო პირზე, ხოლო გამგეობა გააგრძელებს გუნდის დაფინანსებას ან სხვა სახით დახმარებას. ერთი სიტყვით, მოსაძებნი იქნება იურიდიული და სხვა ფორმალური ნაპრალი - სხვანაირად 1 ივლისამდე ალბათ ვერაფერი მოესწრება. ფედერაციის ალმასკომმა ასეთი ვადა დაუწესა უმაღლეს ლიგაში თამაშის მოსურნე კლუბებს...

ვფიქრობ, „მგლებისა" და „სიონის" საკითხი სწორედ ისე მოგვარდება, როგორც ვივარაუდეთ და ხუთეულს კიდევ ეს 2 გუნდი დაემატება. დარჩა 3 ადგილი. ფედერაციის ხელმძღვანელობა და ალმასკომიც წევრებიც სიმპათიურად არიან განწყობილნი „სამტრედიას" მიმართ. ამას თავად კლუბიც გრძნობს. სალიცენზიო მოთხოვნების შესრულებასთან „სამტრედია" ძალიან ახლოს არის და ეს ფაქტორი უმაღლეს ლიგაში თამაშისთვის დაბრკოლება ვერ იქნება. დარჩა ფორმალური საკითხი - კლუბის გადაფორმება კერძო პირზე თუ კომპანიაზე. თუ გადაფორმება ფიქტიური იქნება, ცხადია, ვერ ჩაითვლება იდეალურ ვარიანტად, მაგრამ ამ ეტაპზე განა არსებობს სხვა გამოსავალი? მთავარია, ფიქტიურობა დროებითი ნაბიჯი იყოს, რამეთუ სწორედ დროის სიმცირისა და ეკონომიკური კრიზისი გამო სხვა გამოსავალი არ ჩანს.

მაშ, შევთანხმდით - დარჩა 2 გუნდი. „გაგრას" აქვს ლიცენზია და არის კერძო კლუბიც, მაგრამ წლეულს უმაღლესი ლიგიდან გავრდა. ცხინვალის „სპარტაკი" კი, ფაქტობრივად, ხელისუფლების პიარკამპანიის ნაწილს წარმოადგენს. პროექტმა - „კოკოითი ფანდარასტ!" - ვერ გაამართლა, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია კვლავ ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან და „სპარტაკი" მისი ერთ-ერთი რგოლია. ალბათ, ბევრს ლოგიკურად ეგონა, რომ „სპარტაკი" სახელმწიფო კმაყოფაზეა. ეს ასეც არის და თან... არც არის - ოფიციალურად, კლუბის დამფუძნებლები ფიზიკური პირები არიან, დაფინანსება კი ე. წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციისგან მისდის. მოკლედ, „სპარტაკს" თავიდანვე გადაუჭრია ფიქტიური გადაფორმების საკითხი.

„გაგრა" და „სპარტაკი" - არსებობს კი უკეთესი ვარიანტები 10-გუნდიანი უმაღლესი ლიგის შესავსებად? არსებობს მხოლოდ ერთი ვარიანტი - უმაღლესი ლიგა 8-გუნდიანი უნდა გახდეს, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციას ეს არ სურს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „გაგრა" და „სპარტაკი" უმაღლეს ლიგაში დარჩებიან. არის სათადარიგო ვარიანტიც - პირველი ლიგის „ბაია" (ზუგდიდი) და „მერანი" (მარტვილი), მაგრამ თუ „გაგრასა" და „სპარტაკის" ნაცვლად უმაღლეს ლიგაში ეს კლუბები (ლიცენზირებულები) მოხვდებიან, სპორტული პრინციპი ამ შემთხვევაშიც დაირღვევა. „გაგრასა" და „სპარტაკს" „ბაიასა" და „მერანზე" ის უპირატესობა აქვთ, რომ უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილება უკვე გააჩნიათ...

**დავით თავართქილაძე**

ინტერვიუ

# იაშვილი კარლსრუეს მენეჯერი, სკაუტი თუ მწვრთნელი?

## რატომ გააგრძელა 4 წლით კონტრაქტი ნაკრების თავდამსხმელმა

**ბუნდესლიგის** გასული სეზონი ეროვნული ნაკრების ფორვარდ ალექსანდრე იაშვილისა და მისი „კარლსრუესთვის" წარუმატებელი გამოდგა. კარლსრუელები დაქვეითებას ვერ ასცდნენ და ავტომატურად იაშვილის კონტრაქტიც გაწყდა. შესაბამისად, ამ ზაფხულის სატრანსფერო პაუზისას, იაშვილის ახალ გუნდში გადასვლას ველოდით. მისით დაინტერესებული ორი კლუბის ვინაობა გერმანულ პრესაშიც მალევე გაცხადდა - „აუგსბურგი" და „მიუნხენ 1860". თუმცა, „ლელოში" სტუმრობისას ნაკრების ფორვარდმა განაცხადა, რომ მისით სულ 6 გერმანული გუნდი იყო დაინტერესებული. მათ შორის ბუნდესლიგური კლუბებიც.

გასულ უქმეებზე კი გაცხადდა, რომ იაშვილმა „კარლსრუესთან" კონტრაქტი გააგრძელა. იაშვილი ოქტომბერში 32 წლის ხდება და ამ ასაკში კი ფეხბურთელისთვის 4-წლიან კონტრაქტის შეთავაზება ძალზე დიდი იშვიათობაა. მოკლედ, იაშვილმა კარლსრუელებთან ხელშეკრულება გააგრძელა. მას გუშინ დავუკავშირდით და სატრანსფეროს გარდა, სანაკრებო თემაზეც დავეკითხეთ.

**- ზაფხულის სატრანსფერო პერიოდისას ახალ გუნდში თქვენს გადასვლას ველოდით. როგორც თავად აღნიშნეთ 6 კლუბი იყო თქვენით დაინტერესებული, მაგრამ... მისამართი არ შეგიცვლიათ. თქვენი ეს ნაბიჯი კი ნაკლებად მოსალოდნელი იყო...**

- დიახ, ჩემი გადაბირება 6 გერმანულ კლუბს სურდა. სხვა ქვეყნის გუნდებზეც იყო საუბარი, მაგრამ ბოლოს გადავწყვიტე, რომ გუნდი არ შემეცვალა. ჩემი ეს ნაბიჯი კი გარკვეული ფაქტორებით იყო განპირობებული.

**- რა ფაქტორებს გულისხმობთ?**

- ოქტომბერში 32 წლის ვხდები. ამ ასაკში ფეხბურთელს ხანგრძლივ, 4 წლიან კონტრაქტს იშვიათად თუ სთავაზობენ... რა თქმა უნდა, ნდობისა და დამსახურების გათვალისწინებით. ასე რომ, კლუბმა დიდი ნდობა გამომიცხადა. გარდა ამისა, სხვა მნიშვნელოვანი ელემენტიცაა კონტრაქტში ჩადებული. ახალი ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც 2013 წელს იწურება, 4-წლიანი ვადის გასვლის შემდეგ კლუბში ვრჩები, სკაუტის, მენეჯერის ან მწვრთნელის პოსტზე. ასე რომ, ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგაც „კარლსრუეში" დავრჩები და უკვე საფეხბურთო მოხელე გავხდები. ეს კი ჩემთვის ცოტა ნამდვილად არაა.

**- ე. ი. მოთამაშის კარიერის შემდეგაც ფეხბურთში რჩებით. ამ სამი პროფილიდან უფრო მეტად რომელი გხიბლავთ?**

- 4 წელი კიდევ ვითამაშებ ფეხბურთს, მერე კი ვნახოთ. მართალი გითხრათ, მანამდე ჯერ კიდევ საკმაო დროა და ამაზე არ მიფიქრია. ალბათ ყველაზე უფრო ნაკლებად მწვრთნელობაზე ვფიქრობ... ვნახოთ... ის კი გადაწყვეტილი მაქვს, რომ მოთამაშის კარიერის შემდეგ აუცილებლად ფეხბურთში დავრჩები.

**- ნაკრების ბოლო ორ მატჩზე რას იტყოდით?**

- სამწუხაროდ, მოლდოვასთან წავაგეთ. წაგებაცაა და წაგებაც, მეორე ტაიმში ავთამაშდით და ბოლო 20 წუთში შევეცადეთ მატჩის გადარჩენას, მაგრამ ეს არ მოხერხდა. ალარც კი მინდა ამ მატჩის გახსენება. იმ შეხვედრის შემდეგ, ყველას ძალიან გვინდოდა ალბანეთში მოგვეგო. მართალია, ამხანაგური მატჩი გვქონდა, მაგრამ ტირანაში ბევრს უჭირს თამაში და იოლი მატჩი ნამდვილად არ გვქონია. სწრაფი გოლით დავწინაურდით... კიდევ არაერთი საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ და დავისაჯეთ კიდეც, ალბანელებმა გაგვიტანეს. ძალიან დამწყდა გული ჩვენს კარში გაშვებულ გოლზე. ყველა მობილიზებული ვიყავით, ვიგებდით კიდეც, მაგრამ... მიუხედავად ამისა, ალბანეთის მატჩს თავისი დადებითი მხარეები მაინც ჰქონდა...

**- პოზიტიურად რას მიიჩნევთ?**

- მოდი ასე ვიტყოდი, ეს იმედის მომცემი მატჩი იყო. ჩვენს გუნდს, ყველა მოთამაშეს ტირანაში ჟინი და მონდომება არ აკლდა... უნდა მოგვეგო ის თამაში და ეს მერე უფრო თვალსაჩინო იქნებოდა... ეჰ, სამწუხაროდ ფეხბურთში ასეც ხდება ხოლმე, მეტოქეს სჯობნი, მოგება ლოგიკურად გეკუთვნის, მაგრამ ფრეს სჯერდები.

**დავით ცაგაძე**

ინტერვიუ

ლევან ყიფიანი

# ფედერაცია ჭანტურიას უფლებებს უხეშად არღვევს!

**ქართველი** ბავშვები შვეიცარიის საერთაშორისო ტურნირზე და მეკარე გია ჭანტურიას საქმის საინტერესო პერსპექტივა - ამ საკითხებზე ორგანიზაცია „ჩვენი ფეხბურთის" ერთ-ერთ ლიდერს ლევან ყიფიანს გავესაუბრეთ...

**- როგორც შევიტყვეთ, შვეიცარიაში საერთაშორისო ტურნირზე მიემგზავრებით...**

- ეს არის დიდი საერთაშორისო ტურნირი „დი-ეიჩ-ელ კაპი", რომელშიც ევროპის საუკეთესო საფეხბურთო კლუბების - „ბაიერნის", „ჰოფენჰაიმის", „შტუტგარტის", „ზალცბურგის", „ესბიერგის", პრალის „სპარტასა" და სხვა ცნობილი კლუბების მომავალი თაობები მონაწილეობენ. ჩვენ 35-ე სკოლიდან მიგვყავს 1994-95 წლებში დაბადებულთა გუნდი, რომელსაც გუბაზ დოლიძე თავკაცობს. „ჩვენმა ფეხბურთმა" საკუთარ თავზე აილო გუნდის გამგზავრებისა და შვეიცარიაში დაბინავების ხარჯები. დასანანია, რომ გუნდის სპონსორობა მხოლოდ „აუსტრიან ეარლაინზმა" იკისრა, ქართულმა კომპანიებმა კი რატომღაც თავი შორს დაიჭირეს. ამიერიდან, „აუსტრიან ეარლაინზთან" მჭიდრო კავშირს დავამყარებთ, რადგან ამ კომპანიაში გულისხმიერი ხალხი გავიცანით.

**- მართალია, რომ გია ჭანტურიამ თავის ყოფილ კლუბ „ზესტაფონთან" დავაში დახმარებისთვის „ჩვენს ფეხბურთს" მიმართა?**

- მართალია. ფეხბურთის ფედერაციის მოთამაშეთა ტრანსფერებისა და სტატუსის კომიტეტმა დაადგინა, რომ „ზესტაფონმა" ჭანტურიას კონტრაქტი უსაფუძვლოდ შეუწყვიტა და კლუბს ხელშეკრულების პერიოდში გათვალისწინებული ხელფასის გადახდა დაავალა. თუმცა „ზესტაფონმა" ფედერაციის გადაწყვეტილება არ შეასრულა. ახლა საერთოდ წარმოუდგენელი რამ მოხდა - ფედერაციის ბოლო ალმასკომზე ნოდარ ახალკაცი გამოვიდა წინადადებით, რომ ჭანტურიასთვის „ზესტაფონს" მხოლოდ უგუნდოდ დარჩენის პერიოდში ასალები თანხა აენაზღაურებინა, ანუ - წინა გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 29 ათასი ლარის ნაცვლად, მხოლოდ 7 ათასი გადაუხადოს. ეს არის მოთამაშის უფლების ზღვარგადასული დარღვევა.

**- ჭანტურიას რა დახმარება შეგიძლიათ, აღმოუჩინოთ?**

- „ჩვენი ფეხბურთი" FIFPro-ს (ფეხბურთელთა საერთაშორისო პროფკავშირი) ასოცირებული წევრი გახდა, ნოემბერში კი სრულუფლებიანებად გვცნობენ. ანუ, „ქართული საფეხბურთო პროფკავშირები" ვხდებით. შვეიცარიაში ფეხბურთელთა პროფკავშირების წარმომადგენლებს შევხვდები და მათგან ამ დავის თაობაზე რჩევებს მივიღებთ. თუმცა ისედაც ცხადია, რომ ფედერაცია ჭანტურიას უფლებებს უხეშად და სამარცხვინოდ არღვევს. ფეხბურთელის სასარგებლოდ აქამდე გამოტანილი ვერდიქტი რატომ არ აღსრულდა და რატომ გადაწყვიტა ახალკაცმა კლუბის სასარგებლოდ საქმის შემოტრიალება, როცა ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების კომიტეტმა ჭანტურიას სიმართლე დაადგინა? მაშინ რისთვის არსებობს ეს ეს კომიტეტი?! მოვუწოდებ ფედერაციის ხელმძღვანელობას, დროზე მოეგოს გონს. ეს ფაქტიც ადასტურებს, რომ ფიფასა და უეფას დებულებებს ფეხქვეშ თელავენ. ლეგიონერებს ასე ვერ მოიქცევიან, რადგან ეშინიათ, ფიფაში არ უჩივლონ. მე თუ მკითხავთ, ეს ჩვენი ფეხბურთელების ბრალიცაა, საკუთარ უფლებებს რომ არ იცნობენ და კლუბებს კი ყველაფრის უფლებას აძლევენ. კარგია, რომ ჭანტურიამ ხმა ამოიღო და თავის უფლებებს კბილებით იცავს. ამიტომაც გახდა დავა ჩვენთვის მნიშვნელოვანი. ეს არის ქართული „ბოსმანის საქმე" და სამართალი აუცილებლად გაიმარჯვებს. ამიერიდან ფეხბურთელები მარტო აღარ იქნებიან - ფიფაში მათ ინტერესებს ჩვენი მეგობრები, მოთამაშეთა პროფკავშირები FIFPro დაიცავს.

> რატომ გადაწყვიტა ახალკაცმა კლუბის სასარგებლოდ საქმის შემოტრიალება, როცა ფეხბურთელთა სტატუსისა და ტრანსფერების კომიტეტმა ჭანტურიას სიმართლე დაადგინა?

**მერაბ მამულაშვილი**

სტადიონი

# ლოკომოტივი მერიას დარჩა

**ვაკეში** „ლოკომოტივის" სტადიონი ხელახლა **ედუარდ შევარდნაძის** ეპოქაში, რკინიგზის დეპარტამენტის მაშინდელი შეფის, **აკაკი ჩხაიძის** ძალისხმევით აშენდა. მას მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა. სტადიონის პრივატიზებაც კი მოხდა, მაგრამ საქმე წინ ვერ წავიდა და ჩახლართული ამბავი იმით დასრულდა, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებით, სტადიონი თბილისის მერიას დარჩა - ამის თაობაზე ფეხბურთის ფედერაციის მაღალჩინოსნებისგან შევიტყვეთ. ახლა საკითხავი ისლაა, როგორ გამოაკეთებს მიხეილ მესხის სახელობის არენას მუნიციპალიტეტი.

**დავით თავართქილაძე**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საკონტროლო მატჩი

# მეორე ტაიმში გადაწყდა...

**ოლიმპი-სიმურგი 2:1**

0:1 პეტროვი (35), 1:1 გილაური (57), 2:1 მიკუჩაძე (78)

ოლიმპი: ალავიძე - ლონლაძე, მაჭავარიანი, რეხვიაშვილი, ჩიკვილაძე - სეთურიძე, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, ხუბუა - ფიფია, ჩხეტიანი.

შეცვლაზე შევიდნენ: გ. ჭელიძე, გილაური, გორდეზიანი, სირბილაძე, მიკუჩაძე, ზ. ჭელიძე, კაკულია

გაძევება: მაჭავარიანი (75)

არბიტრი: ლ. ფანიაშვილი

საქართველოსა და აზერბაიჯანის ჩემპიონატების მესამეადგილოსნები ევროპის ლიგისთვის თბილისში ემზადებიან. გუშინ „ლოკომოტივის" სტადიონზე ერთმანეთს რუსთავის „ოლიმპი" და ზაქათალის „სიმურგი" შეხვდნენ. კარგი სანახავი იყო, არც ისე მდიდარმა ქართულმა კლუბმა როგორ აჯობა აზერთა ბრინჯაოსმედალოსანს.

„სიმურგი" იმადაც გვაინტერესებს, რომ იქ ქართველები თამაშობენ. გუშინ ზაქათალელთა ძირითად შემადგენლობაში **კახა ჩხეტიანი** და **რომან ახალკაცი** ვიხილეთ, შეცვლაზე კი **მიხეილ მახვილაძემ, დავით ბოლქვაძემ** და **ირაკლი დოლიძემ** ითამაშეს. **რევაზ გეწაძე, გია მეგრელაძე** და **რევაზ გოცირიძე** კი მოედანზე არ გამოჩენილან.

რუსთაველთა შორისაც მრავალი ახალწვეულია - **გიორგი ჭელიძე**, რომელიც „თბილისსა" და „ზესტაფონში" გამოდიოდა, **ზაზა ჭელიძე** და **კოკა მიკუჩაძე** „სიონიდან", **ირაკლი სირბილაძე** ცხინვალის „სპარტაკიდან".

„ოლიმპის" უპირატესობის მიუხედავად, ანგარიში სტუმრებმა გახსნეს: 35-ე წუთზე სოფიის „სლავიიდან" „სიმურგში" გასინჯვაზე მყოფმა **პეტროვმა** ახალკაცის გადაცემით თავური გაიტანა.

მეორე ტაიმში **ვარლამ კილასონიამ** ახალი მოთამაშეები აამოქმედა. განსაკუთრებით კარგად ჩაერთო თამაშში მიკუჩაძე, რომლის მონაწილეობითაც „სიმურგის" კართან რამდენიმე სახიფათო მომენტი შეიქმნა. 65-ე წუთზე მას თავადაც შეეძლო გატანა, ანგარიში კი უფრო ადრე, 57-ე წუთზე გათანაბრდა, როცა ტრავმამოშუშებულმა **ავქსენტი გილაურმა** ერთობ ეფექტური საჯარიმო დარტყმა შეასრულა.

მატჩის მიწურულს ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა **თემურ ლონლაძეს**, ბოლო წუთზე კი მიკუჩაძესაც, რომელმაც ბურთს მთელი ძალით დაჰკრა, მაგრამ... ანგარიში აღარ შეცვლილა.

ალსანიშნავია **ლევან ფანიაშვილის** მშვენიერი მსაჯობა. აქამდე, საკონტროლო მატჩებში სტუმრის „დაჩაგვრა" წესად იყო ქცეული. ფანიაშვილმა კი ობიექტურად განსაჯა და... მასპინძლებს მცველი **ნოდარ მაჭავარიანიც** გაუძევა.

და კიდევ: გუშინ „აზერისპორტმა" დაწერა - „სიმურგმა" პირველ ამხანაგურ მატჩში ბოლნისის „სიონს" 1:0 აჯობაო. არანაირი „სიონი"! სინამდვილეში, ზაქათალელებმა **რევაზ ძოძუაშვილის** მიერ დამოძღვრილ უგუნდო ფეხბურთელთა ნაკრებს სძლიეს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

## ჯაბა დვალი

# ახლა ტიტულებს ზესტაფონში ვუმიზნებ



ჯაბა დვალი სამშობლოში დაბრუნდა. დაბრუნდა ფორვარდი, რომელიც ორი წლის წინ კიშინიოვის „დაჩიაში" საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირის რანგში წავიდა. დვალი მოლდოვაშიც გამორჩეული იყო და სადებიუტო სეზონში ერთი გოლი დააკლდა მთავარ ბომბარდირობამდე.

საინტერესოა, რამ განაპირობა დვალის დაბრუნება, როგორ აღმოჩნდა „ზესტაფონში", რა წარმოდგენა შეექმნა ახალ გუნდზე, რას ფიქრობს მომავალზე. ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე სასაუბროდ ჯაბას სლოვენიაში გამგზავრებამდე გავესაუბრეთ...

**- „ზესტაფონში" როგორ მოხვდით? „დაჩიასთან" კონტრაქტის ვადა ამოიწურა?**

- არა, კონტრაქტი ძალაში იყო. თავიდანვე ხელშეკრულება გავაფორმე ოპციონის წესით, როცა შეგიძლია, სურვილის შემთხვევაში, კონტრაქტი გაწყვიტო. მართალი გითხრათ, კლუბის შეცვლა გადაწყვეტილი მქონდა, „ზესტაფონი" რომ დამიკავშირდა და მისაღები პირობები შემომთავაზა. კიშინიოველებთან ორმხრივი მოლაპარაკების საფუძველზე კონტრაქტი გავწყვიტე და სამშობლოში დავბრუნდი.

**- საქართველოში მოასპარეზე ფეხბურთელებს თვალი ძირითადად გალეგიონერებაზე უჭირავთ, მოლდოვაზე დაბალი რანგის ლიგებშიც მიდიან სათამაშოდ. ამ ფონზე თქვენი უკან დაბრუნება უჩვეულოდ მოჩანს...**

- დაბრუნება რამდენიმე მიზეზით იყო გამოწვეული. მოლდოვის ჩემპიონატი იმ დონისა ნამდვილად არ არის, მასთან განშორება რომ გაგიჭირდეს კაცს. უკეთეს დონეზე მინდა თამაში და ვფიქრობ, საამისო პერსპექტივა საქართველოდან უფრო დიდია...

**- ექტორ კუპერი ნაკრებში ეროვნული ჩემპიონატის გამორჩეულ მოთამაშეებს იწვევს. იქნებ, ერთ მშვენიერ დღეს თქვენც გამოგიძახოთ...**

- ძალიანაც კარგია, თუ საქართველოს ჩემპიონატის მოთამაშეებს ყურადღებას აქცევს. მეც მინდა, მისი თვალთახედვის არეში მოვხვდე. მაგრამ მხოლოდ იმიტომ კი არ დავბრუნდი, ნაკრებში მოხვედრა რომ გამიადვილდეს, „ზესტაფონს" გია გეგუჩაძე თავკაცობს და ჩემს გადაწყვეტილებაზე მწვრთნელის ფაქტორმაც იქონია გავლენა...

**- ორი წლის წინათ მოლდოვაში საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირის რანგში წახვედით. „დაჩიაში" გატარებულ ორ სეზონს როგორ შეაფასებდით?**

- ჩემთვის წინა სჯობდა. ტრავმების გამო ბევრი გამიცდა და მხოლოდ 9 გოლი გავიტანე - 7 ჩემპიონატში და ორიც თასის გათამაშებაში. 2007/08 წლების სეზონში კი 13 ბურთი მარტო ჩემპიონატში გავიტანე და მხოლოდ ერთი გოლი დამაკლდა, რომ მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გავმხდარიყავი. „დაჩიასთან" ერთად ორჯერ ვერცხლის მედალი მოვიპოვე, თასიც კარგი იქნებოდა, მაგრამ ფინალში ვაჟა თარხნიშვილის „შერიფმა" მოგვიგო...

**- მაინც რა შეგძინათ მოლდოვაში გატარებულმა ორმა სეზონმა?**

- მიმაჩნია, რომ კლასი ავიმაღლე, ახლა გაცილებით მეტი გოლი გამაქვს და გამოცდილებაც მეტი მაქვს.

**- ლევან კორღალიძესაც ჰქონდა სხვა გუნდის ვარიანტები. დარჩა თუ ისიც წასვლას აპირებს?**

- კი, ლევანსაც ჰქონდა შეთავაზებები, მაგრამ საბოლოოდ დარჩენა ამჯობინა.

**- თქვენც გქონდათ სხვა ვარიანტები. ასე არ არის?**

- კი, ვაპირებდი კლუბის შეცვლას, სხვადასხვა ვარიანტიც მქონდა... თუმცა, ყველაზე მეტად რომელიც მხიბლავდა, დალოდება იყო საჭირო. ცოტა ხანს კი მოვიცადე, მაგრამ ველარ გავჩერდი და „ზესტაფონის" წინადადებას დავთანხმდი.

**- უკვე ჩავლილი ამბავია და თუ საიდუმლო არ არის, რომელ გუნდზე იყო ლაპარაკი?**

- ვერ გეტყვით, აგენტისგან არ მაქვს ამის უფლება, რადგან შესაძლოა, ეს ვარიანტი კიდევ დადგეს დღის წესრიგში.

**- და როდისთვის?**

- „ზესტაფონთან" 2-წლიანი კონტრაქტი გავაფორმე და მინიმუმ ერთი სეზონის განმავლობაში სხვა ვარიანტებზე არ ვფიქრობ. ახლა ჩემი მთავარი საზრუნავი ის არის, რომ რაც შეიძლება მოკლე ხანში გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ვიქცე. მინდა, „ზესტაფონს" როგორც ევროტურნირზე, ასევე საქართველოს ჩემპიონატში, დიდი სარგებელი მოვუტანო.

**- რა წარმოდგენა შეგექმნათ „ზესტაფონზე"?**

- კარგი შემადგენლობა, ფინანსური სტაბილურობა, გამართული ინფრასტრუქტურა, კარგი მწვრთნელი... ისღა დაგვრჩენია, შედეგებიც შესაფერისი ვაჩვენოთ.

**- კარგ შედეგებში რას გულისხმობთ?**

- ვიბრძოლებთ ჩემპიონობისა და თასისთვის, ევროპის ლიგაზე კი რაც შეიძლება მეტი ეტაპი უნდა გადავლახოთ. იმედია, იღბალიც არ გაგვწირავს და წილისყრა სასურველ მეტოქეს შეგვახვედრებს.

**- ეს „სასურველი მეტოქე" რომელიღაა?**

- ...რომლის ბარიერსაც იოლად დავძლევთ. ძლიერ მეტოქეებს არ ვუფრთხით, უბრალოდ, „ზესტაფონს" რამდენიმე ფეხბურთელი დაემატა და შეთამაშებისთვის დროა საჭირო. პირველი მატჩი 2 ივლისს მოგვიწევს და იქამდე დიდი დრო არ არის დარჩენილი. თუმცა, რაც არ უნდა იყოს, ორი ეტაპი მაინც უნდა გადავლახოთ...

**- „ზესტაფონის" მთავარი მწვრთნელი გია გეგუჩაძე თქვენზე დიდ იმედს ამყარებს...**

- დიახ, ეს მეც ვიგრძენი და მადლობელი ვარ ასეთი ნდობისთვის. ძალას და ენერგიას არ დავიშურებ, რომ გუნდს სარგებელი მოვუტანო. სლოვენიაში მოსამზადებელი შეკრება მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ჩვენ რეალურად შეგვიძლია ჩემპიონობისა და თასისთვის ვიბრძოლოთ და იმედი მაქვს, ამ ჩანაფიქრს განვახორციელებთ კიდეც. საქართველოს ჩემპიონობა და თასი აქამდე თითოჯერ მაქვს მოპოვებული, ახლა კი წარმატებებს „ზესტაფონთან" ერთად უნდა მივაღწიო.

**- თქვენი და ნიკა გელაშვილის ტანდემი მეტოქეთათვის მართლაც მრისხანე იქნება...**

- არ დაგავიწყდეთ, რომ ჩვენ გარდა, გუნდშია გამოცდილი ზურაბ იონანიძეც. მისგან ბევრს ვისწავლით... სხვა თავდამსხმელებიც არიან. ამა თუ იმ კონკრეტულ მომენტში ვინც უკეთ იქნება მზად, თამაშიც მას მოუწევს. გელაშვილთან ტანდემზე, რა თქმა უნდა, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თუ ვინ ითამაშებს, ეს მწვრთნელის საქმეა და ვნახოთ, რას გადაწყვეტს გეგუჩაძე.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერი



ირაკლი ლილუაშვილი

# სად დაიკარგა ლილუაშვილი?

**სლოვაკეთის** ჩემპიონატში ერთადერთი ქართველი ლეგიონერის, ირაკლი ლილუაშვილის კვალი იანვრიდან დავკარგეთ. ის 2008 წელს მესამეადგილოსანი „ნიტრას" ღირსებას იცავდა. ზამთარში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს მას უკრაინის ჩემპიონატის პირველლიგელი ალჩევსკის „სტალი" იწვევდა, მაგრამ მას შემდეგ არც ალჩევსკში უთამაშია და არც „ნიტრაში". კრიმინალური ქრონიკების არ იყოს, სლოვაკეთიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა ქართველი ფეხბურთელი...

ირაკლი თბილისში ვნახეთ და მის ბოლოდროინდელ თავგადასავალს ინტერვიუდან შეიტყობთ...

**- ირაკლი, კარგა ხანია აღარ ჩანხართ. სად იყავით, „ნიტრადან" რატომ წახვედით?**

- „ნიტრადან" არ წავსულვარ. უკრაინაში ვიმყოფებოდი და „სტალს" შეკრებაზეც გავყევი. თუმცა, მანამდე ტვინის შერყევა მივიღე, შეკრებაზეც დასუსტებული წავედი, ცუდად გავხდი და მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი არ მქონდა გაფორმებული, „სტალმა" მიმკურნალა. მწვრთნელს ჩემი დატოვება ძალიან სურდა. „ხარკოვსა" და ლუცკის „ვოლინთან" საკონტროლო შეხვედრებიც ჩავატარე. მწვრთნელი და პრეზიდენტი მესაუბრნენ, კარგი შთაბეჭდილება დატოვე და კონტრაქტი უნდა გაგიფორმოთო. ამ დროისთვის „ნიტრასთან" მოქმედი კონტრაქტი მაკავშირებდა და სლოვაკებთან მოლაპარაკება დაიწყეს, მაგრამ სწრაფადვე შეწყვიტეს.

**- რატომ? სლოვაკებმა ბევრი მოითხოვეს?**

- დიახ, ასეა. „ნიტრამ" ჩემი ტრანსფერის საფასურად 250 ათასი ევრო მოითხოვა. უკრაინის პირველი ლიგის კლუბი ამხელა თანხას ნაღდად ვერ გადაიხდიდა და მოლაპარაკება ჩაიშალა. არადა, დიდი იმედი მქონდა, რომ უკრაინაში ხალხს თავს გავახსენებდი, უმაღლესში გადავიდოდი და რა დასამალია, ნაკრებში მოხვედრის იმედსაც ვინარჩუნებდი. კარგია ევროპა, იქ ცხოვრება ყოფილი საბჭოეთის ქვეყნებზე გაცილებით მშვიდი და დალაგებულია, მაგრამ უკრაინის ჩემპიონატში გაცილებით მაღალი დონეა. მოკლედ, ეს ვარიანტი გამოირიცხა და სლოვაკეთში დავბრუნდი, იქ კი ისე ძალიან ცუდად დამხვდნენ, ორი თვის ხელფასიც არ გადამიხადეს. კარგად მხოლოდ მწვრთნელი შემხვდა, მაგრამ პრეზიდენტმა ჩემი თამაში კატეგორიულად აუკრძალა, ლილუაშვილი მოედანზე არ დავინახოო.

**- აბა, სლოვაკეთში რას აკეთებდით?**

- მხოლოდ ვვარჯიშობდი, ასე ნახევარი წელი დავკარგე. საინტერესო ის არის, რომ უკრაინულ კლუბში მათი ნებართვით წავედი და არა - თვითნებურად. ამიტომ ვერ გავიგე ორი თვის ხელფასის გადაუხდელობა. არც ვიცი, ახლა რა ვქნა, „ნიტრა" უზარმაზარ ფულს ითხოვს, ამის გადამხდელი კი შედარებით უცნობ და ნაკრებში უთამაშებელ ფეხბურთელში არავინაა. არადა, კარიერაში საუკეთესო სეზონი ჩავატარე, ხალხმა გამიცნო და სწორედ ამ დროს ჩავვარდი მძიმე მდგომარეობაში.

**- მოკლედ, „ნიტრაში" რჩებით?**

- იჯარით წასვლა მინდოდა. ამაზე ავსტრიის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის კლუბები თანახმანი არიან, მაგრამ განათხოვრების უფლებას არ მაძლევენ.

**- რომელი კლუბები გიწვევდნენ?**

- სლოვაკეთში „რუჟემბეროკი", ჩეხეთში „ბოჰემიანსი" და ერთი ავსტრიული კლუბი, რომლის სახელსაც მენეჯერი არ მეუბნება. სხვათა შორის, „რუჟემბეროკსა" და „ბოჰემიანსში" მოხვედრის შანსი „ნიტრამდეც" მქონდა, მაგრამ მაშინ უარი ვთქვი. დაინტერესებული გუნდი არის უკრაინაშიც, მაგრამ მთავარია, სლოვაკებთან ურთიერთობა მოვაგვარო. ბოლოს და ბოლოს, შესაძლოა, ორი თვის ხელფასის აულებლობისთვის ვუჩივლო და თავისუფალი აგენტის სტატუსი მოვითხოვო.

**მერაბ მამულაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# მოდებაძე ზარიაშია

**ირაკლი მოდებაძემ**, შესაძლოა, კარიერა ლუგანსკის „ზარიაში" გააგრძელოს. საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებ ფორვარდს ბოლო ორი წელია ტრავმები მოსვენებას არ აძლევდა, გასული სეზონი თითქმის მთლიანად ჩაუვარდა. ირაკლი მხოლოდ უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის მომჯობინდა და ოდესის „ჩერნომორეცში" ჩაირიცხა. იქაც ვერაფერი - მეორე წრეში მხოლოდ ერთი მატჩი გამართა და კლუბიდან წამოვიდა.

ახლა მოდებაძე მოლაპარაკებას აწარმოებს ლუგანსკის „ზარიასთან". ინფორმაცია თავად ფეხბურთელმა დაგვიდასტურა: „ახლა ლუგანსკში ვიმყოფები და „ზარიას" მწვრთნელთან და პრეზიდენტთან მოლაპარაკების დამთავრებას ველოდები. ოდესიდან იმიტომ წამოვედი, რომ დარჩენას აზრი აღარ ჰქონდა. გაუგებარია, იქ რისთვის ჩამიყვანეს - მხოლოდ ერთი შეხვედრის სათამაშოდ? „ზარიაში" კი ჩემ მიმართ დიდი ინტერესი აქვთ და ალბათ, დავრჩები".

რაც მთავარია, მოდებაძე ამბობს, რომ ახლა ჯანმრთელადაა და ჩვეულებრივი დატვირთვით ვარჯიშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეპიზოდები ჩემი კარიერიდან

# კოპალას ბიჭების ამბავი


ვახტანგ კოპალეიშვილი

**1997-99 წლები**, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები, რომელსაც ქომაგმა „კოპალას ბიჭები" შეარქვა - მაშინ საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში არაერთი საინტერესო ფეხბურთელი თამაშობდა, ნიჭიერი ფეხბურთელების დეფიციტი თითქმის არ არსებობდა. „კოპალას ბიჭების" გუნდში იყვნენ ზურაბ ბათიაშვილი, მამუკა წერეთელი, ზურაბ ხიზანიშვილი, ოთარ ხიზანეიშვილი, ზურაბ მენთეშაშვილი, გივი კვარაცხელია, შალვა აფხაზავა, ლადო ბურდული...

იყო ერთი ისეთიც, რომელიც გამორჩეული გახლდათ გამორჩეულთა შორის - ლაშა ჯაკობია. გუნდის თიკუნი - „კოპალას ბიჭები" კი იქიდან წამოვიდა, რომ იმ კრებულის მწვრთნელი ვახტანგ კოპალეიშვილი გახლდათ.

მაშ ასე, 1997-99 წლების პერიპეტიებს ლაშა ჯაკობია იხსენებს...

დავით **თავართქილაძე**


ლაშა ჯაკობია

**1997 წელს**, როცა საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში მიმიწვიეს, უკვე ლიეჟის „სტანდარდის" ფეხბურთელი ვიყავი. 16-წლამდელთა ნაკრებში საფეხბურთო სკოლა „მაისიდან" მოვხვდი. **რევაზ გაგუას** გაწვრთნილი გუნდი საბერძნეთში წავედით ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, სადაც 4 გოლი გავიტანე - სამი ბერძნებთან, ერთი - ბულგარეთთან. ფინალური ეტაპის საგზურიც მოვიპოვეთ და გერმანიაში წავედით, სადაც ორი გოლის გატანა მოვახერხე. ფინალურ ეტაპზე ჯგუფიდან ვერ გავედით, თუმცა ამის კარგი შანსი გვქონდა. ერთი სიტყვით, 16-წლამდელთა ნაკრებში ჩემი გამოსვლის შემდეგ გაჩნდა „სტანდარდის" ინტერესი და ასე წავედი ბელგიაში.

იქ ჯერ „სტანდარდის" ასაკობრივ გუნდში ვთამაშობდი, მერე კი დუბლებში გადავედი და 1997-98 წლების სეზონში დუბლიორთა ბომბარდირიც გავხდი, მომდევნო სეზონიდან კი „სტანდარდის" პირველ გუნდში გადამიყვანეს.

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში პირველად რომ მიმიწვიეს, გუნდში ჩემზე უფროსები თამაშობდნენ. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, თავი ნორმალურად წარმოვაჩინე. ევროშესარჩევში პირველი მატჩი რუმინეთის ნაკრებთან გვქონდა. **კრისტიან კივუ, კატალინ მუნტიანუ, ადრიან მუტუ** - ამ ფეხბურთელებს მაშინ არავინ იცნობდა. თამაში რუსთავში იყო, სადაც მაყურებელი მრავლად მოვიდა. ჩვენს გუნდს **ვახტანგ კოპალეიშვილი** წვრთნიდა. მისი დიდი პლუსი ის იყო, რომ ძალიან კარგად იცოდა რომელი ფეხბურთელი რა პოზიციაზე გაემწესებინა და რა კონკრეტული დავალება მიეცა. ეს ფაქტორი ძალიან მნიშვნელოვანია გუნდისთვის და თვითონ ფეხბურთელისთვის. მაგალითად, უკრაინაში თამაშისას თავდასხმის გარდა დაცვაში ჩამოსვლასაც კი მავალებენ. კოპალეიშვილმა კი დაცვითი ფუნქციებისგან სრულიად გამათავისუფლა, რითიც უკეთესი საშუალება მომეცა, რომ ჩემი თვისებები სრულად წარმომეჩინა. ისიც უნდა გავიხსენო, რომ ევროშესარჩევის დაწყებამდე პორტუგალიაში მიმდინარეობდა ტურნირი, რომელსაც „ოლიმპიური დღეები" ერქვა და ამ შეჯიბრებაში ჩვენ გავიმარჯვეთ. მოკლედ, შესარჩევი ეტაპის დაწყებისთვის საკმაოდ შეკრული და კარგად დაბალანსებული გუნდი გვყავდა. რაც შეეხება რუმინეთთან პირველ თამაშს, კოპალეიშვილმა გვითხრა - ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ მეტოქეს საკუთარი თამაში მოვახვიოთო. და ეს მოვახერხეთ კიდეც...

რუმინელთაგან ყველაზე გამორჩეული მუტუ იყო. კივუ და მუნტიანუ კი მაინცდამაინც არ ბრწყინავდნენ და მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ კივუ „აიაქსისა" და „ინტერის" ფეხბურთელი გახდებოდა. თამაში ჩვენი უპირატესობით კი წარიმართა, მაგრამ პირველი გოლი რუმინელებმა გაიტანეს, სტუმრებს ერთი საგოლე მომენტი ჰქონდათ და ისიც გამოიყენეს. ანგარიში მე გავათანაბრე - დაახლოებით 20 მეტრიდან მოჭრილი დარტყმით, „ბაჩოკით" დავარტყი და ბურთი „ცხრიანში" ალმოჩნდა. ძალიან დადებითი როლი შეასრულა გულშემატკივრის ფაქტორმა. რუსთავში მოსული ქომაგი მხურვალედ გვიჭერდა მხარს. გადამწყვეტი, გამარჯვების მომტანი გოლი კი 11-მეტრიანით **გივი კვარაცხელიამ** გაიტანა.

მომდევნო შეხვედრა საბერძნეთში გვქონდა, სადაც 1:2 წავაგეთ. ეს იყო ამ შესარჩევში ერთადერთი მატჩი, რომელზეც შეიძლება ითქვას, რომ მეტოქემ მართლაც გვაჯობა. მიუხედავად ამ მარცხისა, ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსს მაინც ვინარჩუნებდით, რადგან მომდევნო შეხვედრაში სტუმრად მაკედონიასთან 2:1 გავიმარჯვეთ. იმ შეხვედრაში ჩვენგან ერთი გოლი **გოგა ფარქოსაძემ** გაიტანა. ის ძალზე ნიჭიერი ფეხბურთელი იყო, თუმცა ადრეულ ასაკში წავიდა უცხოეთში, კერძოდ, ბილეფელდის „არმინიაში", მაგრამ საზარდულის ტრავმამ წინსვლაში ხელი შეუშალა. გამოვყოფდი აგრეთვე **მამუკა წერეთელს**, რომელიც მართლაც კარგი მონაცემების მცველი იყო...

მაკედონიის შემდეგ რუმინეთში 0:2 დავმარცხდით. ერთი გოლი მუტუმ გაგვიტანა. შესარჩევში ორი თამაში გვქონდა დარჩენილი და ორივე - შინ. მაკედონიას მცხეთაში იოლად ვძლიეთ - 3:0 და ბოლო მატჩი საბერძნეთისთვის რომ მოგვეგო, ფინალურ ეტაპზე ჩვენ გავიდოდით, თუმცა თბილისში, ეროვნულ სტადიონზე, მხოლოდ ფრეს (0:0) მივაღწიეთ. შესარჩევის ბოლო ორ თამაშში ტრავმის გამო ვერ დავეხმარე ჩვენს ნაკრებს.

იმ პერიოდში საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები, ცალკეული ფეხბურთელების ოსტატობის გარდა, როგორც გუნდი, არცერთ მეტოქეს არ ჩამოუვარდებოდა და ყველასთან შეეძლო წარმატების მიღწევა. ახლაც კი ძნელია იმის ახსნა, თუ რატომ ვერ მოვახერხეთ მაშინ ფინალურ ეტაპზე გასვლა...

სამაგიეროდ, ეს შევძელით მომდევნო შესარჩევ ციკლში. ასაკი ხელს მიწყობდა და საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებში ორ ევროშესარჩევში ამიტომაც ვითამაშე. 1998 წლის ოქტომბერში უნგრეთში ბულგარეთს 2:1 მოვუგეთ. ერთი გოლი მე გავიტანე, ერთიც **ზურაბ მენთეშაშვილმა**. შემდეგ ტურნირის მასპინძლებს, უნგრეთს გავეჯიბრეთ და შეხვედრა 0:0 დასრულდა. ამის შემდეგ პლეი ოფში ჩეხეთის ნაკრებს გადავეყარეთ.პირველი თამაში სტუმრად გვქონდა. ჩემი ორი გოლით 2:0-ს ვიგებდით და თითქოს გამარჯვება ხელიდან არ უნდა გაგვეშვა, მაგრამ... ისე მოხდა, რომ ჩეხებმა ანგარიშის გათანაბრება მოახერხეს და ფინალურ ეტაპზე გასვლა ამიტომაც გაგვირთულდა. ჩეხეთის ნაკრებში მაშინ **ტომაშ როსიცკი** და **მილან ბაროში** თამაშობდნენ. როსიცკი მაშინაც გამორჩეული მოთამაშე იყო. ძალიან მომეწონა ბაროშიც, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ **ვალერი აბრამიძემ** ის გვარიანად ამოკეტა. აბრამიძის გარდა, ჩვენს დაცვას **ოთარ ხიზანეიშვილი** და **ზურაბ ხიზანიშვილიც** ამაგრებდნენ. მოკლედ, იმ შესარჩევშიც საკმაოდ კარგი გუნდი გვყავდა. საპასუხო შეხვედრა ბათუმში გაიმართა. თამაშს დაახლოებით 10 000 მაყურებელი დაესწრო. **დავით დილმელაშვილის** გოლით დავწინაურდით. ჩეხებმა ანგარიში პირველივე ტაიმში გაათანაბრეს. მეორე ტაიმის ბოლოს კი **ვალერი გაგუამ** გამარჯვების გოლი გაიტანა და ფინალურ ეტაპზე გავედით.

იტალია, ირლანდია და ესპანეთი - ასეთი მეტოქეები გველოდა ფინალურ ეტაპზე. ცხადია, ძალიან მინდოდა მათთან თამაში, მაგრამ ტრავმის გამო ვერ მოვახერხე. საერთოდ, ტრავმებმა ძალიან გამაწვალა. უკვე იმ ზომამდე ვიყავი მისული, რომ ფეხბურთისთვის თავის დანებებაც კი მინდოდა. ხუთი ოპერაცია მაქვს გადატანილი, ოთხი - საზარდულზე, ერთიც მუხლის ჯვარედინა იოგებზე. ღმერთის მადლობელი ვარ, რომ ყოველივე ამის შემდეგ მოვახერხე ფეხზე დადგომა და ფეხბურთელის კარიერის გაგრძელება. ბელგიაში, შეიძლება ითქვას, თან გადამყვნენ, გვერდში მედგნენ, მაგრამ ამდენი ტრავმისა და უთამაშებლობის შემდეგ იქ ველარ გავჩერდებოდი და საქართველოში ჩამოვედი. ძალიან დამეხმარა აწ გარდაცვლილი **გოგიტა ლობჟანიძე**. 5-6 თვე ის ჩემ გვერდით იდგა და ყველანაირად ხელს მიწყობდა, მასაჟებს მიკეთებდა და სპეციალურ ვარჯიშებს მინიშნავდა. მხოლოდ წლების შემდეგ მოვახერხე ისეთ ფორმაში შესვლა, რომ კარიერა უკრაინაში გამეგრძელებინა. ახლა კიევის „არსენალის" ფეხბურთელი ვარ და სიმართლე გითხრათ, სხვა ქვეყანაში წასვლას ისევ უკრაინაში თამაში მირჩევნია. იქაურ ჩემპიონატში თამაში იოლი ნამდვილად არ არის...

დანიშვნა

# ჩიხრაძე ცხადაძესთან იმუშავებს

**გიორგი ჩიხრაძე** ბაქოს „ინტერში" **კახა ცახდაძეს** დაეხმარება. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონის წინადადებას დათანხმდა და ასისტენტად თანამემამულის წაყვანა გადაწყვიტა. ჩიხრაძემ „ამერში" წლების განმავლობაში იმუშავა, გუნდის ყველა წარმატება მის სახელს უკავშირდება, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო პირველ ლიგაში დარჩენილ კლუბში მუშაობა აღარ ისურვა და არცაა გასაკვირი - მისი კვალიფიკაციის სპეციალისტი უმაღლეს ლიგაშიც არ არის ბევრი.

მართალია ამტკიცებენ, ჩიხრაძის კანდიდატურას ახალგაზრდულ ნაკრებში არ განიხილავდნენო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ეს ხმებიც ფედერაციის კულისებიდან გვესმის. „ამერის" აწ უკვე ყოფილი მთავარი მწვრთნელი ჯერ აზერბაიჯანში გაემგზავრა, იქიდან კი ანთალიას მიაშურა, სადაც „ინტერი" ემზადება.

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მეკარე **გიორგი ლომაიას**, ის ბაქოელებს თურქეთში 17 ივნისს შეუერთდება.

**მერაბ მამულაშვილი**


გიორგი ჩიხრაძე

დავით ყიფიანის სახელობის ტურნირი

# ხვალ იწყება...



**18 ივნისს** ლეგენდარული დავით ყიფიანის დაბადების დღეა. ამ თარიღის აღსანიშნავად, 35-ე საფეხბურთო სკოლაში 1998 წელს დაბადებულ ბავშვთა შორის 17-18 ივნისს დავით ყიფიანის სახელობის ტურნირი გაიმართება. გათამაშებაში 8 გუნდი მონაწილეობს. გუშინ გაიმართა წილისყრაც, რომელმაც ასეთი შედეგები მოგვცა:

I **ჯგუფი - ირაო, 35-ე საფეხბურთო სკოლა, OFF (ოუფენ ფან ფუტბოლი - მცხეთა), ოლიმპიკი.**

II **ჯგუფი - ნორჩი დინამოელი, თენგიზ სულაქველიძის საფეხბურთო აკადემია, ოლიმპი.**

ტურნირის სპონსორთა რიცხვი გაიზარდა - „ქართულ ფოლადს", „სახალხო აფთიაქს", ქართული ჭიდაობის ფედერაციასა და ჟურნალ „ათიანს" ფარმაცევტული კომპანია GPC-იც დაემატა. სპონსორების მიერ შეკვეთილი მედლები (საპრიზო ადგილებისთვის, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის, საუკეთესო გამთამაშებლისა და ბომბარდირისთვის) უკვე დამზადებულია. შეგახსენებთ, რომ ტურნირის ორგანიზატორები არიან „კახი ასათიანის სახელობის ფონდი", საერთაშორისო პროექტი „ოუფენ ფან ფუტბოლი" და მცხეთა-მთიანეთის ფეხბურთის რეგიონული ფედერაცია.

ხვალ, 17 ივნისს, 35-ე საფეხბურთო სკოლაში ტურნირი 10 საათზე დაიწყება. 20-20-წუთიანი მატჩები ერთმანეთის პარალელურად ორ ხელოვნურსაფრიან მოედანზე გაიმართება. თამაშის ფრედ დასრულების შემთხვევაში, გამარჯვებულს პენალტების სერია გამოავლენს. გათამაშების პირველ დღეს ჯგუფებში 3-3 ტური ჩატარდება. 18 ივნისს მეოთხე, მესამე, მეორე და პირველ ადგილებზე გასული გუნდები, შესაბამისად, მეშვიდე, მეხუთე, მესამე და პირველი ადგილებისთვის პლეი ოფის სისტემით გამართავენ მატჩებს და გამარჯვებულებსაც გამოავლენენ.

**დავით ცაბაძე**

ხსოვნის ტურნირი

# პრიზი მასპინძლებს დარჩათ

**ფოთში** ჩატარდა საქალაქო ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის ბ. ბარამიას ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ფოთის სამი, ზუგდიდის ორი, სენაკის, ჩხოროწყუს და სამტრედიის 1996 წელს დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა გუნდების მონაწილეობით. ორ-ორმა გუნდმა ნახევარფინალურ ორთაბრძოლებში გაარკვიეს ფინალისტის ვინაობა. პირველ ნახევარფინალში ფოთის „კოლხეთი 1" შეხვდა ზუგდიდის „მგლებს" და 2:1 დაამარცხა. მეორე ნახევარფინალში სენაკის „ტეხურამ" სამტრედიას სძლია - 1:0. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში სამტრედიის გუნდმა ზუგდიდის „მგლებს" მოუგო - 5:0. ფინალში „კოლხეთი 1" და „ტეხურა" დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩი დასრულდა ფოთელთა გამარჯვებით - 3:0. მათვე ტურნირის მთავარი პრიზი გადაეცათ. დაწესებული იყო სპეციალური პრიზებიც.

დაბადებიდან 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გამარჯვებული გუნდის მწვრთნელს **ნუგზარ ლემონჯავას** გადაეცა პრიზი სპორტში გაწეული ღვაწლისთვის

ტურნირი ფოთის მერიის სპორტის სამსახურის (უფროსი **ზურაბ ტიბუა**) და ქალაქის ფეხბურთის ფედერაციის (პრეზიდენტი **თემურ ბარქაია**) თაოსნობით ჩატარდა.

**„ლელოს" კორ.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია სამძიმარს უცხადებს ეროვნული ნაკრების ფიზიოთერაპევტს ანზორ გაბიტაშვილს ძმის**

**ვარდენ გაბიტაშვილის**

**გარდაცვალების გამო.**

**დაკრძალვა 18.06. გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინში.**

მილანი

# სისოხო მეცხრე ცაზეა

## მილანში ახალგაზრდებს ელიან

„მილანის“ ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მომავალი სეზონიდან „როსონერიში“ **ალი სისოხო** იასპარეზებს. 21 წლის ფრანგი უკანახაზელი „პორტუში“ თამაშობდა და გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ. ალი ამპლუით მცველია და ძირითადად მარცხენა ფლანგზე თამაშობს, თუმცა საჭიროების შემთხვევაში, არც საპირისპირო ფრთაზე თაკილობს გადასვლას. გასულ სეზონში რამდენჯერმე მარცხენა ნახევარმცველის ფუნქციებიც იტვირთა და თუ ჟურნალისტებს დავუჯერებთ, ძალიან კარგადაც წარმოჩნდა. ერთი სიტყვით, საქმე უნივერსალთან გვაქვს. სისოხო ტექნიკით, მაღალი სისწრაფითა და დრიბლინგის უნარით გამოირჩევა. „პორტუს“ მესვეურებმა ნიჭიერი ფეხბურთელი რამდენიმე წლის წინ 300 000 ევროდ იყიდეს, „მილანს“ კი 15 მილიონად დაუთმეს. „როსონერის“ ვებგვერდის ინფორმაციით, სამედიცინო შემოწმების გავლის შემდეგ ფეხბურთელი „როსონერისთან“ ხუთწლიან ხელშეკრულებას გააფორმებს და გასამრჯელოდ ყოველწლიურად მილიონ ევროს მიიღებს.

„მილანში“ გადაბარგებით, უბედნიერესია თავად ფეხბურთელი და „კორიერე დელო სპორტთან“ საუბარში, ემოციებს ვერ მალავს: „სეზონის დასრულებისთანავე, „ლიონის“ მესვეურებმა წინადადებით მომმართეს და მათთან გადასვლა შემომთავაზეს. თუმცა, ცოტა ხნით მოცდა ვამჯობინე და როგორც შემდეგ აღმოჩნდა, აბსოლუტურად სწორად მოვიქეცი. „მილანის“ შეთავაზებაზე ბევრი ნამდვილად არ მიფიქრია, რადგან ასეთი შანსი შეიძლება ცხოვრებაში ერთხელ მოგეცეს. „როსონერი“ უდიდესი ისტორიის მქონე გუნდია და იქ მოხვედრა, ჩემთვის ერთ რამედ ღირს. როგორც მითხრეს, შეკრება ექვსს ივლისს დაგვეწყება და მეც ლეონარდოს განკარგულებაში ვიქნები. ერთი სული მაქვს, ეს დღე როდის დადგება და გუნდს როდის შევუერთდები. ადრიანო გალიანისთან უკვე მქონდა საუბარი და მინდა გითხრათ, რომ ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. ამ ადამიანმა და მთლიანად გუნდის მესვეურებმა, ძალიან კარგად იციან, რას აკეთებენ. დარწმუნებული ვარ, „მილანში“ უამრავ ტიტულს მოვიგებ. მაქვს თუ არა სასტარტოში მოხვედრის გარანტია? - თქვენ ალბათ ხუმრობთ. როგორ შეიძლება „მილანის“ დონის გუნდში, ძირითად შემადგენლობაში მოხვედრა ვინმეს გარანტირებული ჰქონდეს. მით უმეტეს, ახალ ფეხბურთელს, რომელმაც ჯერ ადაპტაცია უნდა გაიაროს. თუმცა, იმედი მაქვს, ახალ გარემოსთან შეჩვევა არ გამიჭირდება. რჩევა-დარიგებებს ისეთი ფეხბურთელები მომცემენ, რომლებსაც ზურგს უდიდესი გამოცდილება უმაგრებთ. ამპლუაზე რა გითხრათ, სადაც მწვრთნელი დამავალებს, იქ დავდგები და ვეცდები ჩემი საქმე კარგად გავაკეთო. მაგრამ ისე, ყველაზე უფრო კომფორტულად თავს მარცხენა მცველის პოზიციაზე ვგრძნობ“.



ალი სისოხო

აღნიშნულ ტრანსფერზე და სამომავლო გეგმებზე **ადრიანო გალიანიმაც** ისაუბრა: „კარგად გვაქვს გაცნობიერებული, რომ გუნდს ახალი სისხლი სჭირდება. „მილანის“ ფეხბურთელთა საშუალო ასაკი საკმაოდ დიდია და ახალგაზრდების გადაბირება ჰაერივით გვესაჭიროება. ამ მიმართულებით უკვე აქტიურად ვმუშაობთ და პირველი შედეგებიც გვაქვს. რამდენიმე დღის წინ, ტიაგო სილვა გავიფორმეთ, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ 24 წლის გახლავთ, სულ მალე კი ალი სისოხოსთან გავაფორმებთ ხელშეკრულებას. კიდევ რამდენიმე ფეხბურთელთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს და იმედია, უახლოეს მომავალში მათაც გადმოვიბირებთ. ჩვენი მიზანია, ევროპული ფეხბურთის მწვერვალზე დავბრუნდეთ და დარწმუნებული ვარ, ამას მოვახერხებთ კიდეც“.

**ლაშა ნიკლაური**

ვეტერანი

# დი ვაიო ბოლონიაში რჩება

„ბოლონიამ“ რომ სერია A-ში ადგილი შეინარჩუნა, ამაში ლომის წილი **მარკო დი ვაიოს** მიუძღვის. ვეტერანმა ფორვარდმა, ყველასთვის მოულოდნელად, დიდებული სეზონი ჩაატარა, რაზეც მის მიერ გატანილი 24 გოლი ნათლად მეტყველებს. ბომბარდირთა დავაში იგი მხოლოდ **ზლატან იბრაჰიმოვიჩს** ჩამორჩა, ვინც 25 გოლს მოუყარა თავი. ასეთი ტრიუმფალური სეზონის შემდეგ, ბუნებრივია, რომ ამ ფეხბურთელის გადაბირების სურვილი არაერთმა გუნდმა გამოთქვა. დი ვაიოს ასაკიდან გამომდინარე, მასზე გრანდები არ ნადირობენ, მაგრამ რამდენიმე ერთობ ამბიციური კლუბი კი ნამდვილად აქტიურობს. მათ შორის არიან „პალერმო“, „ჯენოა“ და „უდინეზე“.

რამდენიმე კვირის წინ, მარკომ „ბოლონიას“ მესვეურებს ხელფასის მომატება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი წასვლით დაიმუქრა. კლუბის წარმომადგენლებმა თავდამსხმელის მოთხოვნა ვერ დააკმაყოფილეს და მიზეზად ეკონომიკური კრიზისი დაასახელეს. ამის შემდეგ, დაირხა ხმები, რომ მარკო დღე დღეზე „ბოლონიას“ დატოვებდა სხვა გუნდში გადაბარგდებოდა. თუმცა, გუშინ ფეხბურთელის აგენტმა ყველა ამ ინფორმაციას ჭორი უწოდა და განაცხადა, რომ დი ვაიო კარიერას „როსობლუში“ გააგრძელებს. მოვუსმინოთ **მარკო პასტორელოს**:

„ტიფოზებმა რატომღაც ჩათვალეს, რომ მარკო გუნდიდან მიდიოდა და მას ბევრმა მოღალატეც კი უწოდა. დასამალი რა გვაქვს, ხელფასის მომატებაზე მოლაპარაკებებს ვმართავდით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ამ თემით ვსპეკულირებდით. კლუბის წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ ამის რესურსი დღეს უბრალოდ არ აქვთ და საკითხი ამით ამოვწურეთ. მინდა განვაცხადო ის, რაც „ბოლონიას“ გულშემატკივრებს ძალიან გაახარებთ, მარკო გუნდში რჩება და არსად წასვლას არ აპირებს“.

**ლაშა ნიკლაური**



მარკო დი ვაიო

ევროპის ჩემპიონატი. U21



ესპანეთი-გერმანია. მარკო მარინი ჩიკოს გაურბის

# ინგლისი ათი კაცითაც იგებს

**გუშინ შვედეთში სტარტი აიღო ევროპის ახალგაზრდულმა ჩემპიონატმა. საქმეში B ჯგუფში მონაწილე გუნდები ჩაებნენ - ინგლისი, ფინეთი, ესპანეთი და გერმანია. ეს ჯგუფი უკვე მონათლეს „სიკვდილის ჯგუფად“, გუშინ შედარებით აუტსაიდერმა ფინეთმაც აჩვენა, რომ ყველასთვის სერიოზული მეტოქეა და იოლად არაფერს დათმობს...**

| ინგლისი–ფინეთი | 2:1 |
|---|---|

**ინგლისი (4-3-3):** ჰარტი - ქრენი, რიჩარდსი (89. ტომკინსი), მანსიენი, ჯიბსი - მუამბა, კატერმოლი, ნოუბლი - უოლკოტი (46. კემპბელი), აგბონლაორი (86. როდველი), მილნერი.

**ფინეთი (4-2-3-1):** იაკოლა - აჰო, პორტინი, ტურუნენი, რაიტალა - ჰამალაინენი (80. ვასარა), მ. ჰეტემაი (86. ჰაკოლა) - სპარვი, პარიკა (65. პუკი), პ. ჰეტემაი - სადიკი.

**გოლები:** 1:0 კატერმოლი (15), 1:1 სპარვი (33-პენ), 2:1 რიჩარდსი (53)

**გაძევება:** მანსიენი (31. ინგლისი)

**სტიუარტ პირსის** ნაკრებმა ახალგაზრდული ჩემპიონატის სადებიუტო მატჩი მოიგო, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელებმა მოედანზე ტაიმზე მეტი 10 კაცის შემადგენლობით გაატარეს. ფინეთის ნაკრები, რომელსაც აუტსაიდერებს მიაკუთვნებდნენ, კერკეტი კაკალი გამოდგა. „მანჩესტერ სიტის“ მცველმა **ნედუმ ონუჰამ** გამოჯანმრთელება ვერ მოასწრო, ამიტომ ალბიონელთა დაცვის ცენტრში მის თანაგუნდელ **მიკა რიჩარდსს მაიკლ მანსიენი** შეუწყვილდა. პირსმა საყვარელი 4-3-3 სქემით ათამაშა გუნდი, შეტევაში **ჯეიმს მილნერს** პრემიერლიგის ორი უსწრაფესი ფორვარდი, **თეო უოლკოტი** და **გაბრიელ აგბონლაორი** ეხმარებოდნენ. ტრიბუნებზე ფინელებს მხურვალე მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონდათ.

თამაში ფინელებმა ყოჩაღად დაიწყეს, ერთ ეპიზოდში მანსიენი და **ჰარტი** ისე დაიბნენ, კინაღამ ფინელებს გოლი აჩუქეს. აგბონლაორამდე ბურთი არ მიდიოდა, ასე რომ, მე-15 წუთზე გატანილი გოლი თამაშის კონტექსტში ნაკლებად ჯდებოდა - მილნერ-აგბონლაორის კომბინაცია გოლით **ლი კატერმოლმა** დაასრულა, მან **ანსი იაკოლას** კარის შორეულ კუთხეში გაიტანა. ფინელთა პასუხსაც ზუსტად 15 წუთი დასჭირდა, მათი ფორვარდი **ბერატ სადიკი** მანსიენმა საჯარიმოში მოცელა, რისთვისაც წითელი ბარათი დაიმსახურა, პენალტი გოლად ფინელთა კაპიტანმა **ტიმ სპარვმა** აქცია - 1:1. პირსმა **მარტინ ქრინი** დაცვის ცენტრში შეწია (პრინციპში ეს მისი ორიგინალური პოზიციაა) ხოლო დაცვის მარჯვენა ფლანგზე ჯეიმს მილნერი დახია.

მეორე ტაიმში ინგლისელებმა მალე შეძლეს დაწინაურება, მილნერის ჩაწოდებულ კუთხურს რიჩარდსის თავური მოჰყვა დაახლოებით 10 მეტრიდან - 2:1. ამ გოლით სტიუარტ პირსმა B ჯგუფში პირველი სამი ქულა მოიპოვა. ფინეთი ბევრს ცდილობდა, მაგრამ სხვა მხრივ ბრწყინვალედ მოთამაშე **პერპარიმ ჰეტემაი** დიდი მანძილით აცილებდა ჰარტის კარს ბურთს. შემდეგ თამაშში პირსის გუნდს ესპანეთის ნაკრები ელის, ინგლისელებს არ ეყოლებათ დისკვალიფიცირებული მანსიენი და ალბათ არც გამარჯვების გოლის ავტორი რიჩარდსი, რომელმაც ტრავმა მიიღო.

**სტიუარტ პირსი** (ინგლისი): „ამ თამაშით, რაც დღეს ვაჩვენეთ ევროპის ჩემპიონატს ნამდვილად ვერ მოვიგებთ. ფეხბურთელებმა სულის სიმტკიცე კი გამოავლინეს, თუმცა გუნდურ თამაშში მოვიკოჭლებთ. თეო უოლკოტის შეცვლის მიზეზი ტრავმა არ არის, გავრისკე, მოგება მსურდა და ამისთვის კი ორი ფორვარდის უკან სოლიდური, სამკაციანი ნახევარდაცვის ხაზი გვჭირდებოდა, თეოს ადგილი კი აღარ დარჩა „.

**მარკუ კანერვა** (ფინეთი): „ძალიან მწყდება გული, რომ უქულოდ დავრჩით, თუმცა ამავე დროს ვამაყობ ჩემი გუნდის მიერ ნაჩვენები თამაშით. შეცვლების შემდეგ ჩვენ რამდენიმე შანსი მოგვეცა გატანის, თუმცა ჩვენს ოპონენტებს არსენალში დამატებითი ენერგია აღმოაჩნდათ, ისინი ხომ პრემიერლიგის ფეხბურთელები არიან, ჩვენები კი აშკარად დაიღალნენ ბოლოსკენ„.

| ესპანეთი–გერმანია | 0:0 |
|---|---|

**ესპანეთი (4-2-3-1):** სერხიო ასენხო - სერხიო სანჩესი, ჩიკო, ტორეხონი, მონრეალი - ხავი მარტინესი, რაულ გარსია - სისი (70. კაპელი), გრანერო (87. ლეონი), ხურადო - კრკიჩი (82. ჩისკო).

**გერმანია (4-4-2):** ნოიერი - ბეკი, ჰიოვედესი, ბოატენგი, ბოინიში (38. შმელცერი) - კასტრო (86. ებერტი), ხედირა, ოზილ, მარინი (70. ბენ-ჰათირა) - იოზილი, დეიაგა.

ჯგუფის ფავორიტებმა „ულევიზე“ გამარჯვებული ვერ გამოავლინეს. პირველ ტაიმში ესპანელებმა უკეთ ითამაშეს, თუმცა მეორეში გერმანელებმა დაჯაბნეს მეტოქე. გოლის გატანის შანსები ორივე მხარეს ჰქონდა (**ტორეხონი, მარინი, დეიაგა**), თუმცა ყველაზე რეალური **მესუთ იოზილის** ერთი-ერთზე გასვლა იყო, კომბინაცია, რომელიც მეკარე **ნოიერმა** დაიწყო, იოზილმა ბრწყინვალედ დაასრულა, ის გასცდა მეკარეს, თუმცა **სერხიო ასენხიომ** ფეხით საოცრად მოიგერია ბურთი და ესპანეთს ქულა გადაურჩინა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**დღეს**

**A ჯგუფი**

შვედეთი-ბელარუსი

იტალია-სერბეთი

კონფედერაციათა თასი. ჯგუფური ეტაპი. B ჯგუფი

# როსიმ მეორე სამშობლო მიწასთან გაასწორა

## კაკამ სელესაო სირცხვილისგან იხსნა

**აშშ-იტალია 1:3**

**აშშ:** ჰოვარდი, სპექტორი, დემერიტი, ონიევი, ბერნშტაინი (85. კლისტანი), ბრედლი, ფილჰაბერი (72. ბიზლი), კლარკი, დემპსი, ალტიდორე (65. დეივისი), დონოვანი.

**იტალია:** ბუფონი, ძამბროტა, ლეგროტალიე, კიელინი, გროსო, პირლო, დე როსი, გატუზო (56. როსი), კამორანეზი (55. მონტოლივო), იაკუინტა, ჯილარდინო (68. ტონი).

**გოლები:** 1:0 დონოვანი (40-პენ), 1:1 როსი (58), 1:2 დე როსი (71), 1:3 როსი (90)

**გაძევება:** კლარკი (32. აშშ)

**ბრაზილია-ეგვიპტე 4:3**

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დანიელ ალვეში, ლუსიო, ჟუანი, კლებერი (83. სანტოსი), ელანო (63. რამირესი), კაკა, ჟილბერტო სილვა, ფელიპე მელო, რობინიო (63. პატო), ლუიშ ფაბიანო.

**ეგვიპტე:** ელ ჰადარი, აჰმედ საიდი, ვაელ გომაა, აჰმედ ფათჰი, შაიედ მოავადი, მოჰამედ შავქი, ჰოსნი აბდ რაბუ (75. აჰმედ ალ მუჰამადი), აჰმედ ჰასანი (51. აჰმედ ეიდი), მოჰამედ აბუთრიქა, მოჰამედ ზიდანი.

**გოლები:** 1:0 კაკა (5), 1:1 ზიდანი (9), 2:1 ლუიშ ფაბიანო (12), 3:1 ჟუანი (37), 3:2 შავქი (54), 3:3 ზიდანი (55), 4:3 კაკა (90-პენ)

**გაძევება:** აჰმედ ალ მუჰამადი (89)

იტალიას პირველივე შეხვედრაში მძიმე გამოცდის ჩაბარება მოუხდა. ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მსოფლიოს ჩემპიონების წინააღმდეგ ძალიან ღირსეულად ითამაშა. შესაძლოა, ანგარიში ამაზე არ მეტყველებს, მაგრამ თამაშის სცენარიდან გამომდინარე ამერიკელების გაკრიტიკება სამართლიანი საქციელი არ იქნება. „სკუადრა აძურა" საათზე მეტი ხნის განმავლობაში რიცხობრივ უპირატესობაში იმყოფებოდა. ბუნებრივია, ამ ფაქტმა შეხვედრის შედეგზე პირდაპირი გავლენა იქონია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკელებმა ანგარიში სწორედ მას შემდეგ გახსნეს, რაც **კლარკს** მსაჯმა წითელი ბარათი აუფრიალა. **დონოვანმა** პენალტი გამოიყენა. ამერიკა „ვილიარეალის" ფორვარდმა **როსიმ** გაანადგურა. სხვათა შორის, ის ამერიკაშია დაბადებული და ჟურნალისტები ხუმრობდნენ, ვილიარეალელმა მისი მეორე სამშობლო არ დაინდოო. აშშ-ის კარში როსის გარდა **დე როსიმაც** გაიტანა. მეორე ტაიმში იტალიელებმა ბევრად კარგად ითამაშა. **მარჩელო ლიპის** ბიჭებმა გააზრებული შეტევებით სრულიად დამსახურებული გამარჯვება იზეიმეს.

სკუადრა აძურას დამრიგებელი ძალიან კმაყოფილი დარჩა. აი, რა განაცხადა ბატონმა ლიპიმ: *„ამერიკელებმა ძალიან კარგად ისპარეზეს, მაგრამ ჩვენ უფრო მაღალი კლასის გუნდს წარმოვადგენთ და გადამწყვეტ მომენტებში უკეთ ვითამაშეთ. ბიჭებმა ტაქტიკური მონახაზი საკმაოდ კარგად აღიქვეს და ჩემი მითითებებიც კარგად შეასრულეს. ძალიან მიხარია, რომ გოლის გაშვების შემდეგ ინიციატივას დავეუფლეთ, ფარ-ხმალი არ დავყარეთ და გარდატეხა შევიტანეთ. როსის არაჩვეულებრივი დღე ჰქონდა. დღევანდელი შედეგით კმაყოფილი ვარ. ბუნებრივია, ხარვეებიც გვქონდა. შემდგომ დღეებში მათ აღმოფხვრაზე სერიოზულად ვიმუშავებთ".*

ბრაზილიის ნაკრები სამარცხვინო შედეგისგან მადრიდის „რეალის" ახალწვეულმა **კაკამ** გადაარჩინა. სამეფო კლუბის გამთამაშებელმა ბრაზილია მეხუთე წუთზე დააწინაურა, თუმცა სელესაომ უპირატესობა ვერ შეინარჩუნა და სამი ქულის მოსაპოვებლად ისევ და ისევ კაკას გამჭრიახობა გახდა საჭირო. მან პენალტი გაიტანა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ეგვიპტის ნაკრებმა ყველაზე ტიტულოვანი ეროვნული გუნდის წინააღმდეგ ძალიან კარგად ითამაშა. არაბებს ოდნავ მეტად რომ გამართლებოდათ, მოიგებდნენ კიდეც, მაგრამ ბოლოს ყველაფერი ისევ და ისევ კლასმა და გამოცდილებამ გადაწყვიტა. მიუხედავად ყველაფრისა, უნდა ითქვას, რომ გუშინ საღამოს ბრაზილია ბრაზილიას არ ჰგავდა. დუნგამ ამას ასეთი ახსნა მოუნახა:

*„ვაღიარებ, ცუდად ვითამაშეთ. მართალია, ოთხი გოლი გავიტანეთ, მაგრამ თამაშის ხარისხის თვალსაზრისით ძალიან ბევრი პრობლემა გვქონდა. ჩემი აზრით, ამას ერთადერთი ახსნა აქვს. ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელები მომქანცველი საკლუბო სეზონის შემდეგ საშინლად გადაღლილები არიან. საკლუბო სეზონს თავი რომ დავანებოთ, ბოლო ორმა საკვალიფიკაციო ორთაბრძოლამაც გადაგვღალა. დარწმუნებული ვარ, ბიჭები დასვენებული რომ ყოფილიყვნენ, დიდი ანგარიშით მოვიგებდით, თუმცა არ შემიძლია, ეგვიპტელებს კარგი თამაში არ მივულოცო".*

დიახ, ეგვიპტემ მართლაც კარგად ითამაშა. განსაკუთრებით **მოჰამედ ზიდანი** აქტიურობდა. დიდი **ზიზუს** მოგვარემ ბრაზილიელი მცველები არად ჩააგდო და ძალიან ბევრი პრობლემა შეუქმნა. სხვათა შორის, ესპანურ მედიაში მოჰამედის „ატლეტიკოში" შესაძლო გადაბარგების შესახებ უკვე რამდენიმე სტატია დაიწერა.



როსის გააქვს მეორე გოლი ამერიკელთა კარში

ინტერვიუ

ლუის სესარ მენოტი



# რა დროს კონფედერაციათა თასია?!

**კონფედერაციათა თასს ესპანეთში ძალიან დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს. იქაური გულშემატკივრები და ჟურნალისტები ამ ტურნირს 2010 წლის მუნდიალის გენერალურ რეპეტიციად მიიჩნევენ და ფიქრობენ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ერთი წლით ადრე სამხრეთ აფრიკაში წარმატებული თამაშით ყველაზე ამბიციური მიზნის შესრულების შანსს გაიუმჯობესებენ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ესპანელები აღნიშნულ ტურნირს ძალიან სერიოზულად ეკიდებიან და მასთან დაკავშირებით ნებისმიერი აზრი აინტერესებთ. "დიარიო ასის" კორესპონდენტი, ტომას გუაში არ მალავს, რომ მენოტისგან ინტერვიუს აღება სწორედ ამ მიზნით გადაწყვიტა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ცნობილ ჟურნალისტს, სახელგანთქმულმა სპეციალისტმა იმედი გაუცრუა.**

**- ამ ტურნირისგან რას ელით?**

- სიმართლე გითხრათ, ამ სეზონში ისეთი სიამოვნება განვიცადე, სამხრეთ აფრიკაში შეკრებილი ნაკრებები ვერაფრით გამაკვირვებენ. სიამოვნება "ბარსელონამ" მომანიჭა. კატალონიელებმა სამი ჯილდო მოიპოვეს და გამოგიტყდებით, ასეთი ემოციების შემდეგ კონფედერაციათა თასი დიდად არც მაინტერესებს, თუმცა გულგრილიც არ ვარ. მე ერთი რამის თქმა შემიძლია. ფეხბურთელები ძალიან დაღლილები არიან. ყველას შვებულებაში გასვლა და ოჯახის წევრებთან ერთად დასვენება უნდოდა, მაგრამ მათ ისევ ათამაშებენ. ამ პირობებში საუკეთესო ფეხბურთს ნამდვილად არ ველოდები.

**- სხვათა შორის, აზერბაიჯანთან ამხანაგური შეხვედრის გამართვისთვის ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციამ 750 ათასი ევრო მიიღო.**

- ღმერთო ჩემო, ეს ძალიან დიდი თანხაა. გაუგებარია, რატომ იხარჯება ამხელა თანხები. თუმცა ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არ არის. აშკარად ვხედავ, რომ ფეხბურთს კატასტროფა ემუქრება. კონფედერაციათა თასს რაც შეეხება, ამ ტურნირს რომ ვუყურებ, ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოს ბერლინის ფილარმონიის ორკესტრი დასაკრავად ბოლივიის მთებში წაიყვანეს.

**- როგორც ვხედავ, ამ ტურნირისგან არაფერს ელით. არადა, მეგონა, საინტერესო განცხადებებს მოვისმენდი.**

- აბა რა გითხრათ. მე ჩავი მეცოდება, ის თავმოყვარე ადამიანია და ტრიუმფალური სეზონის დასრულების შემდეგ ისევ აიძულებენ, რომ ყველაფერი თავიდან დაამტკიცოს. ვიცი, ის თავს არ დაზოგავს, მაგრამ მიპასუხეთ, რა გამართლება აქვს ამ ყბადაღებულ კონფედერაციათა თასს? ძალა გამოცლილ ფეხბურთელებს რატომ აიძულებენ, რომ ძალიან შორს, სამხრეთ აფრიკაში გაფრინდნენ და ისევ ფეხბურთი ითამაშონ? ბიჭები ახლა იბისას მზეს უნდა ეფიცხებოდნენ, სინამდვილეში კი სამხრეთაფრიკულ ზამთარს გაუგეს გემო.

**- თქვენ როგორ მოიქცეოდით?**

- ალბათ, ახალგაზრდა ფეხბურთელებს წავიყვანდი და მათ მივცემდი შესაძლებლობების გამომჟღავნების შანსს. ყოველ შემთხვევაში, ჩემპიონთა ლიგისა და პრიმერა დივიზიონის ჯოჯოხეთურ ბრძოლაგამოვლილ ბიჭებს კიდევ უფრო მეტად ვერ დავღლიდი. ისინი უბრალოდ მეცოდებიან.

**- ბრაზილიის ნაკრებზე რას იტყვით?**

- არ მომწონს. ურუგვაის დამაჯერებლად კი მოუგეს, მაგრამ ჩემი აზრით, ეს შემთხვევითობის ბრალი უფრო იყო. ურუგვაის მეკარემ ისეთი შეცდომები დაუშვა, ამას ჩემი შვილიშვილიც კი არ იკადრებდა. ხდება ხოლმე, ფეხბურთს ძალიან ბევრი კურიოზი ახსოვს.

**- კაკაზე რაღას გვეტყვით?**

- მას გუნდისთვის ძალიან დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია, მაგრამ ღრმად მწამს, რომ კაკა თავგადასავლების მოყვარული ფეხბურთელია და ტაქტიკურ თამაშს კარგად ვერ ეგუება. ამავდროულად ვიტყვი, რომ მე, ინიესტა და ჩავი ბევრად უფრო მომწონს. მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი ბევრად უფრო მაღალია. კაკა მესია, ოღონდ ლეოს უნარების გარეშე.

**- ეს როგორ გავიგოთ, კაკას დასცინით?**

- არ დავცინი, ღმერთმა დამიფაროს. ჩემს აზრს მოგახსენებთ. კაკა დიდი ფეხბურთელია, მაგრამ მე უფრო დიდ ფეხბურთელებსაც ვიცნობ.

**- მანუელ პელეგრინის კარგად იცნობთ?**

- დიახ, ძალიან კარგად.

**- როგორ ფიქრობთ, ის „რეალისთვის" შესაბამისი მწვრთნელია?**

- სხვათა შორის, ჩილეში ლექციებს რომ ვატარებდი, პელეგრინი გულმოდგინედ მისმენდა ხოლმე. მას განუმეორებელი შანსი აქვს. „რეალი" განსაკუთრებული გუნდია. დარწმუნებული ვარ, მადრიდში პელეგრინის ძალიან მძიმე სამუშაო ექნება, მაგრამ ყველაფერი მასზეა დამოკიდებული. რამდენადაც ვიცი, მანუელი ყველაფრისთვის მზად არის. ვნახოთ, კლუბი მას რის საშუალებას მისცემს.

**- მარადონაზეც მინდა გკითხოთ, როგორ ფიქრობთ, დიეგო სამსახურს დაკარგავს?**

- არ ვიცი, ეს გრონდონას ჰკითხეთ. ბოლივიასთან და ეკვადორთან წაგებამ მას რეპუტაცია შეურყია, მაგრამ გამოუვალი მდგომარეობა არ არსებობს.

**- როგორ ფიქრობთ, მარადონას შიში ხომ არ გაჩნდა?**

- მე რომ მარადონა ვიყო, ვიტყოდი, არავითარი შიში, მე მხოლოდ ბრძოლა, გამარჯვება და ტიტულები მწყურია-მეთქი. დიეგო ძალიან დიდი იდიოტი უნდა იყოს, ახლა რამემ რომ შეაშინოს. არ ვიცი, ჩემთვის ეს წარმოდგენელია. პირიქით, დიეგომ ამ წარუმატებლობების შემდეგ საკუთარ თავში ძალა უნდა გამონახოს და ყველას დაუმტკიცოს, რომ კარგი მწვრთნელია. მე მას ვიცნობ და ვერ დავიჯერებ, რომ ამხელა ჟინისა და აზარტის მქონე კაცი ასე იოლად დაყრის ფარ-ხმალს. მარადონას შეშინება იოლი არ გეგონოთ.

**- საუბრის მიწურულს ისევ კონფედერაციათა თასზე გკითხავთ. როგორ ფიქრობთ, ამ ტურნირის მოგება ესპანეთს მუნდიალზე გამარჯვებაში რამდენად დაეხმარება?**

- არანაირად (იცინის). მუნდიალი ერთი წლის შემდეგ გაიმართება და დღეს არავინ იცის რომელი გუნდი როგორ ფორმაში იქნება. კიდევ ერთხელ გიმეორებთ, კონფედერაციათა თასი სრულიად უაზრო ტურნირია. ბიჭებს ნუ ტანჯავთ, გაუშვით, დაისვენონ.

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონფედერაციათა თასი 2009

# მატა, მელო, ალტიდორი, აქრამი, პატო, როსი...

## ფეხბურთელები, რომლებსაც კონფედერაციათა თასზე კარგად უნდა დააკვირდეთ

გუშინ, სამხრეთ აფრიკაში კონფედერაციათა თასის გათამაშება დაიწყო. პრესტიჟული ტიტულის მოსაპოვებლად რვა გუნდი იბრძვის, გამარჯვებული 2.7 მილიონ ევროს მიიღებს. ვერ ვიტყვით, რომ ეს გრანდიოზული ტურნირია, რომელიც წარმოუდგენლად დიდ ინტერესს იწვევს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ეს გახლავთ გაისად გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის გენერალური რეპეტიცია. იმისათვის, რომ კონფედერაციათა თასი თქვენთვის კიდევ უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდეს, გადავწყვიტეთ, წარმოგიდგინოთ ის ფეხბურთელები, რომლებიც ამ ტურნირზე დიდი ყურადღებით დაკვირვებას იმსახურებენ, რადგან მათ დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ამ ახალგაზრდა მოთამაშეების პირველი გამოსვლა დიდ საფეხბურთო სცენაზე.

### ხუან მანუელ მატა
### ესპანეთი, ვალენსია, 21 წლის
### ინსტინქტის ფეხბურთელი

პერსპექტიული ესპანელი ნახევარმცველი ამბობს, ფეხბურთს ისე ვთამაშობ, რომ მოედანზე ყოფნისას საერთოდ არ ვფიქრობო. „ვალენსიაში“ მადრიდის „რეალიდან“ გადავიდა, სადაც მეორე გუნდში თამაშობდა და ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი იყო. „ღამურებში“ გატარებულ მეორე სეზონში კი **მატა** გუნდის შეუცვლელი ფიგურა და ერთ-ერთი ლიდერი გახდა. 37 მატჩში მან 11 გოლის გატანა მოახერხა. მატა უმეტესად მარცხენა ფლანგზე ბრწყინავს და შესანიშნავი ჩაწოდებებით თუ დაბალი პასებით ამარაგებს ცენტრფორვარდ **დავიდ ვილიას**. ამასთან, მას თავდასხმაშიც შეუძლია თამაში და მთავარი კოზირი მისი ფლანგური გარღვევებია.

ფეხბურთის თამაშთან ერთად, მატა უმაღლეს სასწავლებელში ჟურნალისტიკას სწავლობს. ნახევარმცველი ძალიან სწრაფია და ბურთის გარეშეც ეფექტურად თამაშობს. 2006 წელს ის ესპანეთის 19-წლამდელთა ნაკრებთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა და იმ ტურნირზე ხუთ თამაშში ოთხი გოლის გატანა მოახერხა. 21-წლამდელთა ნაკრებში დებიუტი კი უკვე 18 წლისას ჰქონდა.

### ფელიპე მელო
### ბრაზილია, ფიორენტინა, 25 წლის
### აგრესორი

დაუჯერებლად დინამიკური, მოქნილი და ამავე დროს რობუსტული - აი, ასეთი უნდა იყოს საყრდენი ნახევარმცველი. ბრაზილიელი **ფელიპე მელო** ამ კრიტერიუმებს უკვე აკმაყოფილებს. 25 წლის საყრდენმა ევროპული ფეხბურთი ესპანეთში გაიცნო, სადაც „მალიორკას“, „რასინგისა“ და „ალმერიას“ ღირსებას იცავდა, წინა ზაფხულში კი იტალიას მიაშურა - „ფიორენტინამ“ ის რვა მილიონ ევროდ იყიდა.

„ფიორენტინაში“ მოლოდინი გაამართლა და იტალიის ჩემპიონატში 29 მატჩი ჩაატარა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მელომ 11 (!) ყვითელი ბარათი მიიღო, ორჯერ კი მოედნიდან გააძევეს. მისთვის ახლა მთავარი ის არის, რომ დამშვიდდეს და კრიტიკულ სიტუაციებში მოქცევა ისწავლოს. მელო მილანის „ინტერის“ მთავარი მწვრთნელის, **ჟოზე მოურინიოს** ყურადღების ცენტრში მოექცა, მაგრამ რამდენიმე დღის წინ განაცხადა, „ფიორენტინასთან“ კონტრაქტი უნდა გავაგრძელოო. გუნდის სპორტული დირექტორი **პანტალეო კორვინო** ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ მელო შეინარჩუნოს და თვითონ ფეხბურთელსაც ფლორენციაში დარჩენა უნდა.

ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კარლოს დუნგას** კი მელოს დიდი იმედი აქვს. დუნგამ საყრდენი ნახევარმცველი „სელესაოში“ პირველად თებერვალში, პირდაპირ იტალიის ნაკრების წინააღმდეგ ათამაშა, თანაც შეუცვლელად და ამ უკანასკნელმაც თავისი საქმე იდეალურად გააკეთა: მელომ „სკუადრა აძურას“ დირიჟორი **ანდრეა პირლო** თამაშიდან გამოთიშა. იგი კონფედერაციათა თასზე ბრაზილიის ნაკრების ერთ-ერთი დასაყრდენი იქნება.

### ჯოზი ალტიდორი
### აშშ, ვილიარეალი, 19 წლის
### რეკორდსმენი

თუკი ფეხბურთელი ახალგაზრდაა, ნიჭიერი, უკვე ევროპაშიც დაფასებული მოთამაშეა და ამავე დროს, ამერიკელია, დიდი შანსია, რომ მიუხედავად ასაკისა, უკვე რეკორდსმენი იყოს. აი, ამერიკელი (წარმოშობით ჰაიტელი) **ჯოზი ალტიდორის** რეკორდებიც: ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი, რომელმაც მლს-ის პლეი ოფში გოლი გაიტანა (16 წლის ასაკში); ყველაზე ახალგაზრდა ამერიკელი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში გოლი გაიტანა (ასევე 16), ყველაზე ახალგაზრდა ამერიკელი, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მატჩში ჰეთთრიკი შეასრულა და პირველი ამერიკელი, რომელმაც ესპანეთის პრიმერა დივიზიონში გოლის გატანა მოახერხა.

როგორ ახერხებს ამ ყველაფერს ეს 19 წლის ბიჭი? ალტიდორი კარზე დაგეშილი ფორვარდია, რომელიც მუდმივად მოძრაობს, მცველები მუდმივი წნეხის ქვეშ ჰყავს, ტექნიკურად უკვე განსწავლული ფეხბურთელია და აქვს წარმოუდგენლად ძლიერი დარტყმა. უბურთოდაც შესანიშნავად თამაშობს და თანაგუნდელებს ხშირად უხსნის დერეფნებს მეტოქის კარისკენ. მადრიდის „რეალის“ თავკაცმა **მანუელ პელეგრინიმ** ალტიდორი 10 მილიონ ევროდ იყიდა, თუმცა ესპანეთში ჯერჯერობით იმედებს ვერ ამართლებს. აი, ამერიკაში კი უკვე ძალიან დაფასებული ფეხბურთელია. თავად განსაჯეთ, ალტიდორი აშშ-ში კომპიუტერული თამაშის „ფიფა 2008“-ის ყდაზე მოხვდა - **რონალდინიოსთან** და **გილერმო ოჩოასთან** ერთად.

„ვილიარეალში“ გასული სეზონის პირველ წრეში მან მხოლოდ ექვსი თამაში ჩაატარა, ზამთარში კი „ხერესში“ გაანათხოვრეს, რათა სათამაშო პრაქტიკა ჰქონოდა.

### ნაშათ აქრამი
### ერაყი, ტვენტე, 24 წლის
### ელეგანტური

**ნაშათ აქრამი** ჯერ კიდევ 16 წლის ასაკში მიიჩნეოდა აზიის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად. ის წმინდა წყლის ფლეიმეიქერია და ამ პოზიციაზე მოთამაშე ფეხბურთელისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება აქვს. მოძრავია, მოედნის ხედვაც უვარგა, შეტევაში ძალიან ეფექტური და კრეატიულია, ახასიათებს ფეხბურთის თამაშის ინტელიგენტური სტილი და აქვს მზაკვრული პასები. ამასთან ერთად, აქრამი ერაყის ნაკრების კაპიტანია.

2007 წელს ერაყმა აზიის ჩემპიონატი რომ მოიგო, აქრამს აბსოლუტურად ყველა გოლში ჰქონდა მონაწილეობა მიღებული. თუ საჭიროა, შეუძლია საყრდენი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებაც. საკლუბო დონეზე უთამაშია ერაყში, საუდის არაბეთსა და ემირატებში, ახლა კი ჰოლანდიური „ტვენტეს“ ღირსებას იცავს და პირველი ერაყელი მოთამაშეა, რომელიც წამყვან ევროპულ საფეხბურთო ქვეყანაში მოხვდა. ერაყში იმედი აქვთ, რომ აქრამის შემდეგ, ერაყელი ფებურთელების ევროპაში გადინება დაიწყება.

2008 წლის იანვარში აქრამი პრემიერლიგაში უნდა გადასულიყო და ტრანსფერი თითქმის გაჩარხული გახლდათ - ერაყელი „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი ხდებოდა, მაგრამ გარიგება ჩაიშალა - ერაყელს ინგლისში მუშაობის უფლება არ მისცეს, რადგან ერაყი იმხანად ფიფას რეიტინგში 72-ე ადგილზე იყო და იმისათვის, რომ აზიელი პრემიერლიგაში მოხვდეს, მისი ქვეყანა რეიტინგში 70 საუკეთესო გუნდს შორის უნდა იყოს. იმის გამო, რომ ერაყის ნაკრებს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი აღარ აქვს, კონფედერაციათა თასი ნაშათ აქრამისთვის თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსია.

### ალეშანდრე პატო
### ბრაზილია, მილანი, 19 წლის
### დუნგას იმედი

**ალეშანდრე პატო** ამ კომპანიაში ყველაზე ცნობილი მოთამაშეა - სწრაფი, ტექნიკური და ჰაეროვანი თავდამსხმელი. *„ძალიან მოხდენილი დარტყმა აქვს და თანაც, ძალიან სწრაფია. ორჯერ უფრო სწრაფი, ვიდრე ჩვეულებრივი ათლეტი,“* - ეს სიტყვები მის ყოფილ თავკაც **კარლო ანჩელოტის** ეკუთვნის. პატომ ტექნიკა და ცივსისხლიანობა მეტოქის კართან ფუტზალიდან მიიღო, ფუტზალში კი ის 3 წლის ასაკში (!) გამოჩნდა.

უნიჭიერესი ბრაზილიელი უკვე რამდენიმე რეკორდის ავტორია: 2006 წლის მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე ის ფიფას ეგიდით ჩატარებულ მატჩებში გოლის ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა ავტორი გახდა (17 წლისა და 102 დღის იყო), რითაც **პელეს** მიერ დამყარებული უძველესი რეკორდი დაამხო. „მილანში“ გადასვლის შემდეგ კი ბრაზილიის ეროვნულ ნაკრებსაც გაუშინაურდა, სადაც 54 მატჩში 24 გოლი აქვს გატანილი.

### ჯუზეპე როსი
### იტალია, ვილიარეალი, 22 წლის
### არატიპური იტალიელი

მას არატიპურ იტალიელ ფეხბურთელს უწოდებენ - შესაძლოა იმიტომაც, რომ თავიდან „მანჩესტერ იუნაიტედში“ გამოჩნდა, ახლა კი ესპანური „ვილიარეალის“ ერთ-ერთი ლიდერია. **ჯუზეპე როსის** მთავარი პლუსები სისწრაფე, ტექნიკა, დრიბლინგები, მოედნის კარგი ხედვა და სტანდარტული მდგომარეობების შესრულების უნარია. ტანდაბალ იტალიელს მცველების აწიოკება შეუძლია და მეტოქე გუნდის უკანახაზელებს მუდმივად წნეხის ქვეშ ამყოფებს. „აძურას“ თავკაცი **მარჩელო ლიპი** 22 წლის როსიზე დიდ იმედებს ამყარებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ფელიპე მელო


ალეშანდრე პატო


ნაშათ აქრამი

ამბები

### ებერტი: ჰოფენჰაიმი თუ ვერდერი?

„ბერლინერ ცაიტუნგის“ ცნობით, „ჰერტას“ მარჯვენა ნახევარმცველ **პატრიკ ებერტს** ბრემენის „ვერდერი“ და „ჰოფენჰაიმი“ ეპატიჟებიან. 22 წლის ებერტი ბავშვობიდან „ჰერტას“ ღირსებას იცავს და დღესდღეობით გერმანიის ნაკრების გაფართოებულ სიაშიც მოიაზრება. ბუნდესლიგაში მას დებიუტი 2006 წელს ჰქონდა. ახლა ებერტი ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე თამაშობს.

### კეჟმანი მიუნხენში?

„მიუნხენერ თაგესცაიტუნგის“ ცნობით, დიდი შანსია, სერბი თავდამსხმელი **მატეა კეჟმანი** მეორე ბუნდესლიგურ „მიუნხენ 1860“-ში გადავიდეს და ჩვენებური **მათე ღვინიანიძის** თანაგუნდელი გახდეს. კეჟმანის გადაბირება თურმე „ლომების“ მენეჯერმა მიროსლავ სტევიჩმა მოისურვა. 30 წლის კეჟმანს პსჟ-სთან კონტრაქტი უმთავრდება და ამრიგად, უფასოა. ფეხბურთელის მრჩეველი **ნორბერტ პფლიპენი** არ გამორიცხავს, რომ მატეამ მართლაც მოირგოს „მიუნხენ 1860“-ის ფორმა.

### ლავი ვოლფსბურგსაც მოუნდა

ადრეც გაცნობეთ, რომ ცსკა-ს ბრაზილიელი თავდამსხმელი **ვაგნერ ლავი** „შტუტგარტში“ **მარიო გომესის** შემცვლელად მოიაზრება. ახლა კი ირკვევა, რომ ამ თავდამსხმელით გერმანიის ჩემპიონი „ვოლფსბურგიც“ სერიოზულად დაინტერესდა. მოგეხსენებათ, დიდი შანსია, რომ „ვოლფსბურგი“ **ედინ ჯეკომ** დატოვოს და „მგლების“ ახალი მენეჯერი და მწვრთნელი **არმინ ფეე** მის ერთ-ერთ სავარაუდო შემცვლელად სწორედ ბრაზილიელს მოიაზრებს.

### რომა შტუტგარტელით დაინტერესდა

ტურინის „იუვენტუსის“ შემდეგ, „შტუტგარტის“ ახალგაზრდა მცველ **სერდარ ტასკის** გადაბირების სურვილი „რომას“ ბოსებმაც გამოთქვეს. „კიკერი“ იუწყება, რომ „რომას“ ხელმძღვანელები შტუტგარტელ კოლეგებს დაუკავშირდნენ და წარმოშობით თურქ, ისე კი გერმანიის ნაკრების წევრ ტასკიზე ჩამოუგდეს სიტყვა. ფეხბურთელის მრჩეველი **ული ფერბერი** ამბობს, სერდარს ჯერჯერობით გუნდის გამოცვლას არ ვურჩევ, ახალგაზრდაა და უმჯობესია, ამ ეტაპზე „შტუტგარტში“ დარჩესო.

### ენგელაარი პანათინაიკოსში მიდის

„შალკეს“ ჰოლანდიელი ნახევარმცველი **ორლანდო ენგელაარი**, რომელმაც გელზენკირხენულ კლუბში იმედები ვერ გაამართლა, „პანათინაიკოსში“ გადადის. ერთი წლის წინ „შალკემ“ „ტვენტეს“ ენგელაარის სანაცვლოდ 5.5 მილიონი ევრო გადაუხადა, ახლა კი იძულებულია, ნახევარმცველი 4 მილიონად დათმოს. „შალკეს“ შეფ **იოზეფ შნუზენბერგის** თქმით, ტრანსფერი გადაწყვეტილი ჯერ არ არის, მაგრამ ყველა გზა იქითკენ მიდის, რომ ენგელაარი კარიერას საბერძნეთში გააგრძელებს. აღსანიშნავია, რომ „პანათინაიკოსი“ მომავალ სეზონში ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს.

უცხოური ფეხბურთი

იუბილე


ოლივერ კანი 40 წლის გახდა

# ტიტანი 40 წლისაა

„ბაიერნის", გერმანიისა და ზოგადად მსოფლიო ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა **ოლივერ კანი** გუშინ 40 წლის გახდა. ტიტანმა აქტიური სპორტული კარიერა ზუსტად ერთი წლის წინ დაასრულა და ნამდვილად არ იქნება გადაჭარბებული თუ ვიტყვით, რომ ის ყველა დროის საუკეთესო გერმანელი მეკარეა. მიუნხენის „ბაიერნთან" ერთად მან ფაქტობრივად ყველა საკლუბო ტიტული მოიგო: რვაჯერ გახდა გერმანიის ჩემპიონი, 6-ჯერ გერმანიის თასის მფლობელი და გარდა ამისა, მოგებული აქვს ჩემპიონთა ლიგა და საკონტინენტთაშორისო თასიც (2001 წელს). გერმანიის ნაკრებთან ერთად კი, „ტიტანი" 2002 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა და მუნდიალის საუკეთესო მეკარედ დაასახელეს. 1996 წელს კი ოლი ბუნდესგუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონი გახდა, თუმცა მაშინ ის ბუნდესგუნდში მხოლოდ მესამე გოლკიპერი იყო.

გარდა 2002 წელს მოპოვებული წოდებისა (მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი), კანი სამჯერ აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო მეკარედ და ოთხჯერ ევროპის წლის საუკეთესო მეკარედ. დაუვიწყარია მისი კარიერის სხვადასხვა ეპიზოდიც. ჩემპიონთა ლიგის 1999 წლის ფინალი, ბოლო წამს მოპოვებული გერმანიის ჩემპიონობა (2001 წელს), 2002 წლის მუნდიალის ფინალი, რომელიც გერმანიამ მისი შეცდომებით წააგო, 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში მოგერიებული თერთმეტმეტრიანები და ა.შ.

დღესდღეობით კანი ისვენებს. სეზონის დამთავრებამდე მას „შალკეს" მენეჯერის პოსტი შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა, ზაფხულამდე არც ერთ საქმეს ხელს არ მოვკიდებო. ახლა კი უკვე გამორიცხული აღარ არის, რომ კანი ფეხბურთში ფუნქციონერის რანგში დაბრუნდეს.

**გოტფრიდ ლენცი**




**გამოვიდა ივნისის ნომერი**

ცხოვრება დიდი ტრანსფერის შემდეგ

# კრისტიანო რონალდო ბექჰემისებრთა ოჯახიდან

**კრისტიანო რონალდოს** ამბავი პრაგმატიზმისა და პოპულიზმის დაპირისპირების კლასიკური ნიმუშიაო, ამტკიცებს BBC-ის სპორტული განყოფილების ერთ-ერთი რედაქტორი **მაიქ ბოსი** და ინგლისური პრესისთვის ბოლო ხანს ყველაზე მნიშვნელოვან თემას ეხმაურება - საქართველოში ძნელია იმის თვალნათლივ წარმოდგენა, თუ სტატიათა რა ნიაღვარი მოჰყვა პორტუგალიელი ვარსკვლავის „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „რეალში" 80 მილიონ ფუნტად გადასვლას. იბეჭდება ყველა ჯურის წერილი, ინფორმაციულით დაწყებული ანალიტიკურითა და ყვითლით დამთავრებული.

მისტერ ბოსის რწმენით კი ამ ისტორიაში პრაგმატიზმი მანჩესტერელთა მხარესაა, ხოლო პოპულიზმი - მადრიდელთა. თუმცა, მადრიდელთა შექანებულ პროექტს, რონალდო და **კაკა** იმიტომ იყიდონ, რომ მათი მაისურები კარგად გაიყიდება, გარკვეული გაგებით ასევე შეიძლება პრაგმატული ეწოდოსო - ბრძანებს რედაქტორი.

მოგეხსენებათ, ესპანეთის დედაქალაქში გალაქტიკური იდეებით შეპყრობილი **ფლორენტინო პერესი** დაბრუნდა. რა საკვირველია, მისი დაბრუნება უპირველეს ყოვლისა გასულ სეზონში „ბარსელონას" მიერ „რეალის" დაუნდობელმა ჩაგვრამ განაპირობა, მაგრამ მთელ ამ ისტორიაში კომერციულ მხარესაც რომ დიდი ადგილი უჭირავს, რაც უნდა ლაპარაკი.

მისტერ ბოსი „რეალის" შექანებულ კომერციაზე თავის მოსაზრებებს ფაქტებით ამაგრებს: 2003 წელს, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედიდან" „რეალში" **დევიდ ბექჰემი** გადავიდა, ესპანურმა გუნდმა მისი მაისურების გაყიდვითა და მასთან დაკავშირებული სხვა სარფიანი პროექტების წყალობით, 600 მილიონი დოლარი მოიგო. ინგლისელი ფეხბურთელის „ბერნაბეუზე" ყოფნის ოთხი წლის განმავლობაში „სამეფო კლუბის" მოგება 137 პროცენტამდე გაიზარდა. მარტო პირველ ექვს თვეში გაყიდა ბექჰემმა ერთი მილიონი მაისურა, არადა, ეს ის დროა, როდესაც მადრიდული კლუბი გალაქტიკოებითაა გადავსებული. იქ თამაშობენ **ზინედინ ზიდანი, რაული** და „ნამდვილი" **რონალდო**.

აი, რას ამბობს ქოვენთრის უნივერსიტეტის პროფესორი, სპორტული ბიზნესის ექსპერტი, **საიმონ ჩედვიკი**: „*გლობალური მარკეტინგის თვალსაზრისით, რონალდო შეიძლება ბექჰემისებრთა ჯგუფის წარმომადგენლადაც მივიჩნიოთ. „რეალმა" კიდევ რამდენიმე ვარსკვლავი რომ იყიდოს, მოედანსა და მის გარეთ მთავარი ყურადღება მაინც რონალდოსა და კაკას მიექცევა. ეს ორი კაცი თავისი ტრანსფერის საფასურს რამდენჯერმე ამოიღებს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ჯამაგირსაც საოცრად დიდს დაუნიშნავენ*".

თუკი საქმეს მანჩესტერელთა მხრიდან შევხედავთ, აქ აშკარად ჩანს მარტივი პრაქტიციზმი, ყოვალგვარი ჟრიამულის გარეშე. აშკარაა ისიც, რომ ინგლისის ჩემპიონმა პორტუგალიელი სერ **ალექს ფერგიუსონის** ნებართვით გაყიდა. ჩანს ისიც, რომ „იუნაიტედის" თავკაცი ამერიკელ მეპატრონეებს, ძმებ **გლეიზერებს** საერთოდ არ ჰყავთ შეზღუდული - არადა, გეხსომებათ, რა ამბავი იყო, როდესაც ამერიკელები მანჩესტერულ კლუბს ყიდულობდნენ. ან კი, რა შედარებაა 1980-იან წლებთან, როდესაც ფერგიუსონი პირველად მივიდა „მანჩესტერში". მაშინდელმა თავმჯდომარემ, **მარტინ ედვარდსმა** ფერგის კატეგორიულად განუცხადა, რომ უფულობის გამო ახალ ფეხბურთელებს ვერ იყიდდნენ და თანხების ლიმიტიც დაუწესა. გლეიზერებთან საქმე გაცილებით მარტივად და მკაფიოდაა. ამერიკელები, რომელთაც „მანჩესტერ იუნაიტედის" შესაძენად ბანკისგან უზარმაზარი ვალი აიღეს, ყოველ ფეხის ნაბიჯზე პრაქტიკული მოსაზრებით ხელმძღვანელობენ და მწვრთნელისგანაც ასეთ გადაწყვეტილებას მიესალმებიან.

„*აქ ყველაფერი მარტივადაა, მას წასვლა უნდოდა და გავუშვით*, - განუმარტა ალექს ფერგიუსონმა გაზეთ „დეილი მეილის" კორესპონდენტს, - *ადრე თუ გვიან, ეს უნდა მომხდარიყო. მე თუ მკითხავთ, კიდევ დიდხანს გავაჩერეთ*".

კიდევ, ძალიან თავისებური და სახალისოა ერთი რამ. ტრანსფერის წინა პერიოდში, ჩვეულებრივ, მყიდველი გუნდი ხმაურობს, ყვირის, რომ ახალ ვარსკვლავს იძენს, ან ფაქტობრივად უკვე შეიძინა და ასე შემდეგ, გამყიდველი გუნდი კი ჩუმადაა და პერიოდულად კბილებიდან გამოსცრის, რომ ჯერ არაფერია გადაწყვეტილი. კრისტიანო რონალდოს შემთხვევაში კი ყველაფერი პირიქით მოხდა. სად იყო „რეალი", „მანჩესტერ იუნაიტედმა" თავის ვებგვერდზე პორტუგალიელის გაყიდვის ამბავი რომ ამცნო მსოფლიოს.

თუმცა, ამ გარიგების ისტორიაში აი, რა არის ძალიან საინტერესო. ის, რაზეც ხმამაღლა ჯერ არსად არაფერი თქმულა: როგორი სტრუქტურით იხდის „რეალი" სატრანსფერო თანხას? ვითომ, ერთბაშად?

**ლუკა სიხარულიძე**




დორტმუნდი

# შალკე ისე მძულს, როგორც შავი ჭირი!

## ბორუსიას ახალწვეულმა გელზენკირხენულ კლუბს მუშტი მოუქნია

დორტმუნდის „ბორუსიას" ახალწვეული, 20 წლის **კევინ გროსკროიტცი** სულით და გულით დორტმუნდელია, რასაც ამ უქმეებზე „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში გაუსვა ხაზი. „როტ ვაის ალენიდან" შეძენილმა ფორვარდმა „დორტმუნდთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რაც მისთვის ბავშვობის ოცნების ასრულებას ნიშნავს. „*ძალიან პატარა ვიყავი, როცა „ბორუსიაში" თამაშზე ვოცნებობდი*," - აცხადებს გროსკროიტცი და ეს ნამდვილად არ არის გასაკვირი, რადგან მამამისი, 42 წლის **მარტინ გროსკროიტცი** დორტმუნდული კლუბის თავგადაკლული ქომაგია და სახელგანთქმულ „სამხრეთ ტრიბუნაზე" მუდმივად აქვს აბონემენტი.


კევინ გროსკროიტცი

„*ბორუსიას" გენი დაბადებიდან მომყვება. პატარაობისას ამ გუნდის ლოგოტიპებით დამშვენებულ ქვეშაგებში მეძინა ხოლმე*," - ამბობს კევინი. გროსკროიტცი დორტმუნდში დაიბადა და გაიზარდა, 17 წლამდე „ბორუსიას" ბავშვთა გუნდში თამაშობდა, მაგრამ მერე დაიწუნეს - ფიზიკურად კარგად არ ხარ მომზადებულიო. ამის შემდეგ, კევინმა „ალენს" მიაშურა, სადაც სრულყოფილ ფეხბურთელად ჩამოყალიბდა, ფიზიკურადაც მოძლიერდა და გამოცდილებაც შეიძინა. 2008 წელს მან ფაქტობრივად მარტომ ალაზევა გუნდი რეგიონალლიგიდან მეორე ბუნდესლიგაში. ახლა კი ბავშვობის ოცნება აიხდინა და „ბორუსიას" პირველი გუნდის წევრია.

„*როცა „დორტმუნდის" მენეჯერმა მიხაელ ცორკმა დამირეკა, სიხარულით კინაღამ გავგიჟდი*," - აცხადებს გროსკროიტცი, რომელმაც „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2012 წლამდე გააფორმა. მისი გადაბირება „კიოლნს", მიონხენგლადბახის „ბორუსიას" და „ჰოფენჰაიმსაც" სურდათ, მაგრამ დააგვიანეს - პრინციპში, შანსიც არ ექნებოდათ. რა მოხდებოდა, გროსკროიტცი „შალკეს" მესვეურებს რომ მოესურვებინათ? კევინი: „*რაკი ბავშვობიდან „დორტმუნდს" ვქომაგობ, ცხადია, „შალკეს" ვერ ვიტან. თუმცა ეს მაინც რბილი ნათქვამია. არ არსებობს თანხა ან ხელფასის ოდენობა, რომელიც „შალკეში" გადასვლას გადამაწყვეტინებს. „შალკე" და ყველა შალკელი ისე მძულს, როგორც შავი ჭირი!*"

„დორტმუნდისთვის" კი გროსკროიტცი ბოლომდე დაიხარჯება და თავს არ დაზოგავს. „*ცხადია, ძირითად შემადგენლობაში თამაშზე ვოცნებობ. ჩემს შანსს დაველოდები და როცა იურგენ კლოპი მოედანზე შემიშვებს, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ვიბრძოლებ*," - ამბობს „შალკეს" მოძულე დორტმუნდელი.

**გოტფრიდ ლენცი**

ბუნდესლიგა



ლუის ვან გაალი ბაიერნში დაინიშნა, ჰანს მაიერმა კი მიონხენგლადბახის ბორუსია დატოვა

# ვან გაალი და კომპანია

## მომავალ სეზონს რვა გუნდი ახალი დამრიგებლით ხვდება

**მას მერე, რაც სეზონი დამთავრდა, ბუნდესლიგა დიდ ალიაქოთშია. გუნდები არა მარტო ფეხბურთელებს, არამედ მწვრთნელებსაც წინდებივით იცვლიან - უფრო სწორად, უკვე გამოიცვალეს. მოდით, ერთად შევაჯამოთ გერმანიაში მომხდარი ყველა სამწვრთნელო გადაადგილება.**

ახალი სეზონისთვის მოსამზადებელ პროცესს რვა გუნდი ახალი დამრიგებლით დაიწყებს. ამას ემატება სამი ახალწვეული გუნდის მწვრთნელები, რომლებიც ისევე, როგორც მიუნხენის „ბაიერნის" ახალი თავკაცი **ლუის ვან გაალი**, ბუნდესლიგის დებიუტანტები არიან.

ამრიგად, მომავალი სეზონისთვის მზადებას თვრამეტი გუნდიდან მხოლოდ შვიდი დაიწყებს შარშანდელი მწვრთნელით. ასეთი დიდი სამწვრთნელო გადაადგილებები ბუნდესლიგაში 1978-79 წლების სეზონის შემდეგ აღარ ყოფილა. მაშინ, წინა სეზონთან შედარებით, ახალ სეზონს 12 გუნდი შეხვდა ახალი დამრიგებლით.

რაც ყველაზე საინტერესოა, წელს ბუნდესლიგაში მოვლენები ძალიან სწრაფად განვითარდა - სამწვრთნელო ტრანსფერები არნახულად მოკლე დროში მოხდა. „ბაიერნში" ლუის ვან გაალი დაინიშნა, „ჰამბურგში" **ბრუნო ლაბადია**, მიონხენგლადბახის „ბორუსიაში" **მიხაელ ფრონტცეკი**, „შალკეში" **ფელიქს მაგათი**, „ლევერკუზენში" **იუპ ჰაინკესი**, „ვოლფსბურგში" **არმინ ფეე**, ხოლო „კიოლნში" კი **ზვონიმირ სოლდო**.

საინტერესოა ისიც, რომ გერმანიის ჩემპიონატის ბოლო ორ სეზონში ხუთი საუკეთესო გუნდიდან სამმა შეიცვალა დამრიგებელი. ამას გარდა, ორივე სეზონში მწვრთნელები იმ გუნდებმაც გამოიცვალეს, რომლებიც ჩემპიონები გახდნენ: შარშან **ოტმარ ჰიტცფელდმა** „ბაიერნი" დატოვა, წელს კი **ფელიქს მაგათმა** „ვოლფსბურგი".

„მაინცის" თავკაც **იორნ ანდერსენს**, „ფრაიბურგის" დამრიგებელ **რობინ დუტს**, „ნიურნბერგის" მწვრთნელ **მიხალ იონინგს**, სოლდოს და ვან გაალს ბუნდესლიგაში სამწვრთნელო დებიუტი ექნებათ. გასულ სეზონში კი დებიუტი ოთხმა სპეციალისტმა იზეიმა: **მარტინ იოლი** (ჰამბურგი), **იურგენ კლინსმანი** (ბაიერნი), **ბრუნო ლაბადია** (ლევერკუზენი) და **ფრედ რუტენი** (შალკე). აღსანიშნავია, რომ ამ ოთხეულიდან იმედები მხოლოდ იოლმა გაამართლა (ისიც მეტ-ნაკლებად) და დანიშვნიდან ერთი წლის შემდეგ პოსტი თვითნებურად დატოვა - ისევე, როგორც ლაბადიამ, რომელმაც „ლევერკუზენი" მიატოვა და „ჰამბურგში" „გაიქცა". კლინსმანმა და რუტენმა კი ყველას იმედები გაუცრუეს. „ბაიერნისა" და „შალკეს" ხელმძღვანელებმა მათ პოსტები ნაადრევად, ვადამდე ადრე დაატოვებინეს.

თუკი ბუნდესლიგის ისტორიას გადავხედავთ, დავინახავთ, რომ ლიგის დაარსებიდან (1963) დღემდე, მხოლოდ ორმა მწვრთნელმა მოახერხა თავის სადებიუტო სეზონში გუნდის გაჩემპიონება. ესენი იყვნენ **ბრანკო ზებეცი**, რომელმაც 1968/69 წლების სეზონში „ვერცხლის სინი" „ბაიერნს" მოაპოვებინა და **ერნსტ ჰაპელი**, რომელმაც გერმანიის ჩემპიონატი თავის სადებიუტო სეზონში (1981/82) „ჰამბურგით" მოიგო. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ვან გაალს და კომპანიას არაფრის გარანტია არ აქვთ, თუმცა ჰოლანდიელს შესანიშნავი შანსი მიეცა, რომ პირველსავე სეზონში ჩემპიონობა იზეიმოს. მით უმეტეს, რომ ბოლო დროს რეკორდმაისტერი სეზონის გამოშვებით ხდება გერმანიის ჩემპიონი და რაკი წელს „ვერცხლის სინი" „ვოლფსბურგმა" მოიგო, ახლა თითქოს ისევ „ბაიერნის" ჯერია.

ვან გაალი ბუნდესლიგის ისტორიაში რიგით მეთერთმეტე ჰოლანდიელი მწვრთნელია და უნდა აღინიშნოს, რომ აქამდე გერმანიის ჩემპიონობა არც ერთ ჰოლანდიელ მწვრთნელს არ უზეიმია. ამრიგად, ვან გაალს შეუძლია, პირველი ჰოლანდიელი სპეციალისტი იყოს, რომელიც გერმანიაში სერიოზულ წარმატებას მიაღწევს. აღსანიშნავია, რომ ლუისამდე, გერმანიაში მოღვაწე ჰოლანდიელ მწვრთნელებს შორის, ყველაზე მეტს **ჰუუბ სტევენსმა** მიაღწია. მან 1997 წელს „შალკეს" უეფას თასი მოაგებინა და ორჯერ აღებინა გერმანიის თასი. სტევენსმა 2005 წელს „კიოლნი" მეორიდან პირველ ბუნდესლიგაში გადაიყვანა, 2007 წელს კი „ჰამბურგი" მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებისგან იხსნა.

ბაიერნი

# მიუნხენში ბოსინგვა დააკონკრეტეს

## ტონის რიგი უდგას, რას იზამს რიბერი?

„კიკერის" ინფორმაციით, ლონდონის „ჩელსის" მარჯვენა მცველი **ხოსე ბოსინგვა** მიუნხენის „ბაიერნს" უფრო და უფრო უახლოვდება. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები წერენ, ლაპარაკია 10 მილიონ ევროზე, რაც რეკორდმაისტერმა „ჩელსის" ბოსინგვას სანაცვლოდ უნდა გადაუხადოს. პორტუგალიელი ლონდონურ კლუბში ზუსტად ერთი წლის წინათ გადავიდა.

„ბაიერნისთვის" დაცვის მარჯვენა ფლანგი პრობლემატური ზონაა. მოგეხსენებათ, **ვილი სანიოლი** იძულებული გახდა, კარიერა ნაადრევად დაესრულებინა, მის შემცვლელად მიუნხენელებმა **მასიმო ოდო** ინათხოვრეს, რომელმაც იმედები ვერ გაამართლა და „მილანში" დაბრუნდა, მეორე შემცვლელის, **კრისტიან ლელის** თამაში კი, გასულ სეზონში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. მართალია, „ბაიერნში" **ანდრეას გიორლიტცი** ბრუნდება (კარლსრუედან), ხოლო **ბრააფჰაიდის** ტრანსფერის შემდეგ, **ფილიპ ლამს** დაცვის მარჯვენა ფლანგზე გადანაცვლება შეუძლია, მაგრამ ბავარიელები მაინც თავს იზღვევენ და ბოსინგვას შეძენა სურთ.

საკმაოდ გაიწელა **დანიელ პრანჯიჩის** ტრანსფერი, მაგრამ როგორც ბავარიული გრანდის გენერალური მენეჯერის, **ული ჰიონესის** მომავალი შემცვლელი **კრისტიან ნერლინგერი** ამბობს, პრანჯიჩის კლუბ „ჰერენვენთან" შეთანხმების მიღწევას წინ აღარაფერი უდგას. ფეხბურთელთან კი მიუნხენელები დიდი ხანია, მორიგებულები არიან.

როგორც იცით, **ლუკა ტონი** „ბაიერნიდან" წასვლის ნომერ პირველი კანდიდატია. მას იტალიაში უხმობენ და მისით „ბარსელონაც" დაინტერესდა, რაც ლუკამ ოფიციალურადაც დაადასტურა. ახლა კი გაირკვა, რომ იტალიის ნაკრების გოლეადორის გადაბირება „ტოტენჰემსაც" მოუნდა. მაგრამ „ტოტენჰემის" შეფებს ტონის ხელფასი აშინებთ. მართალია, ტონის საბაზრო ფასი დიდი არ არის (სავარაუდოდ 4-5 მილიონი ევრო), მაგრამ იტალიელი ყოველწლიურად მინიმუმ 5 მილიონ ევროს ითხოვს. სწორედ ამიტომ, „ტოტენჰემის" თავკაცი **ჰარი რედნაპი** „ბაიერნთან" მოლაპარაკების წამოწყებას აყოვნებს. ამასთან, გერმანული ტაბლოიდი „ბილდის" ცნობით, ტონის „ფენერბაჰჩეც" ეპატიჟება - გუნდი, რომლის მთავარ მწვრთნელად **კრისტოფ დაუმი** დაინიშნა. კითხვაზე, სად ითამაშებს მომავალ სეზონში, ლუკა პასუხობს, არ ვიციო. ფაქტია, რომ მას სათამაშო პრაქტიკა სჭირდება, რათა მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა არ დარჩეს. ამასობაში, ტონიმ გერმანული მედია გააკრიტიკა. *„რატომღაც გაზეთებში იწერება, რომ ჩემ გარდა, „ბაიერნის" ყველა ფეხბურთელი ჩინებულ ფორმაშია. მე კი ვფიქრობ, რომ იდეალურ ფორმაში ვარ და ცუდი სეზონიც არ ჩამიტარებია. გერმანიაში გატარებულ ორ სეზონში 61 გოლი გავიტანე და არა მგონია, სხვა რომელიმე ფორვარდს ასეთი შედეგი ჰქონდეს,"* - აღნიშნა მან.

მიუხედავად იმისა, რომ მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა **ფლორენტინო პერესმა** თქვა, „ბაიერნი" **ფრანკ რიბერის** არ ყიდის და ვალდებულები ვართ, ფრანგ ნახევარმცველს შევეშვათო, მიუნხენური კლუბის შეფები და გულშემატკივრები ძალიან ნერვიულობენ, რადგან რიბერის წასვლაზე უჭირავს თვალი. მეტიც: ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, თითქმის გადაწყვეტილია, რომ ფრანგი დრიბლიორი მიუნხენს დატოვებს. რიბოს მთხოვნელები არ აკლია და საინტერესო ისაა, რა თანხად დათმობს მას რეკორდმაისტერი.

*„ჩემი აზრით, რიბერი კაკაზე უკეთესი ფეხბურთელია. „რეალმა" კი, კაკაში 70 მილიონი ევრო გადაიხადა,"* - ამბობს „ბაიერნის" მენეჯერი ჰიონესი, რითაც ცდილობს, რიბერის ფასი აუწიოს. რამდენიმე დღის წინათ ულიმ თქვა, ფრანგის სანაცვლოდ 40-50 მილიონი რომ შემომთავაზონ, მაშინვე ყურმილს დავკიდებო. „რეალი" რიბერის თითქოს შეეშვა, მაგრამ ორიოდ დღის წინ **ზინედინ ზიდანმა** თქვა, დარწმუნებული ვარ, რიბო მადრიდში გადმოვაო. ერთი სიტყვით, „ბაიერნსა" და „რეალს" შორის არაპირდაპირი ვაჭრობა მიდის. საინტერესოა, რამდენის გადახდაზე ყაბულს „სამეფო გუნდი".



ხოსე ბოსინგვა ალბათ მიუნხენელი გახდება

დაპირისპირება

# მეტცელდერი ბოსებს მისდგა

მადრიდის „რეალის" გერმანელმა მცველმა **კრისტოფ მეტცელდერმა** სამეფო გუნდის ხელმძღვანელები გააკრიტიკა. მას არ მიაჩნია სამართლიანად ის, რომ მადრიდულმა გრანდმა **კრისტიანო რონალდოს** სანაცვლოდ 93 მილიონი ევრო გადაიხადა. *„ეს ტენდენცია ნამდვილად არ მახარებს. პირიქით, არ მიმაჩნია სწორად ის, რომ გუნდმა 93 მილიონი ევრო გადაიხადოს ფეხბურთელში, რომელიც ჩვეულებრივი ადამიანია და შეიძლება ტრავმა მიიღოს ან ცუდ ფორმაში იყოს,"* - განუცხადა მეტცელდერმა ინტერნეტგამოცემა „შპორტ აინსს".

თვითონ 28 წლის გერმანელს სერიოზული პრობლემები აქვს. ორი წელია, მეტცე „რეალში" ირიცხება და ამ ხნის განმავლობაში მადრიდული გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. მეტიც, მას გერმანიის ნაკრებშიც კი აღარ იძახებენ. შესაბამისად, დაირხა ხმები, რომ მეტცელდერი „რეალს" დატოვებს. მას ძალიან უნდა, რომ ბუნდესგუნდის თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** 2010 წლის მუნდიალზე იახლოს, ამ ეტაპზე კი ეს გამორიცხულია, რადგან სათამაშო პრაქტიკა არ აქვს. ხოლო იმისათვის, რომ პრაქტიკა ჰქონდეს, სასწრაფოდ კლუბი უნდა გამოიცვალოს. გერმანიაში მას რამდენიმე მთხოვნელი გამოუჩნდა.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



საფეხბურთო ბიზნესი

# სადმე შეიხი ხომ არ იმალება?

გუშინ, „პორტსმუთის“ პრობლემებზე საუბრისას სხვა მრავალთან ერთად ვწერდით, რომ ამ არეული კლუბის ახალი მეპატრონე არაბთა გაერთიანებული საამიროების მოქალაქე, ბიზნესმენი, **სულეიმან ალ-ფაჰიმია**. გავიდა 24 საათი და ბრიტანულმა პრესამ გამოჩხრიკა, რომ არც ბატონი ალ-ფაჰიმის საქმე ყოფილა მთლად საათივით აწყობილი - ინგლისელებს არაბი ბიზნესმენისთვის კითხვების დასმა მოუნდათ, განსაკუთრებით მისი მილიონების წარმოშობასთან დაკავშირებით. არა, ეჭვი კრიმინალზე კი არ აქვთ, გულს სხვა რალაც უღრღნით.



სულეიმან ალ-ფაჰიმი

და კიდევ ერთი მომენტი: გაჩნდა ეჭვი, რომ კლუბის 60 მილიონ გირვანქად გაყიდვაში რალაცნაირად პრემიერლიგის თავმჯდომარე, **დეივ რიჩარდსიცაა** გარეული. ბუნდოვანება რომ გავფანტოთ, პირდაპირ ვთქვათ: დოქტორ სულეიმანის ბიზნესი, კერძოდ კომპანია „ჰიდრა პროპერტიზი“, შესაძლოა, დამოუკიდებელი ერთეული კი არა, მსხვილი ბიზნესჯგუფის ნაწილი აღმოჩნდეს, იმ მსხვილ ბიზნესჯგუფს კი **შეიხ მანსურის** ძმა ფლობდეს. შეგახსენებთ, შეიხ მანსური პრემიერლიგის სხვა გუნდის, „მანჩესტერ სიტის“ მეპატრონე გახლავთ, ხოლო ინგლისში არ შეიძლება ორ კლუბს ერთი პატრონი ჰყავდეს.

პრესმდივანი **ივო ილიჩი**: *„სულეიმან ალ-ფაჰიმის კომპანიას როგორც მაშინ, როდესაც „პორტსმუთის“ შესაძენად საბუთები შემოჰქონდა, ახლაც, სწამს, რომ პრემიერლიგის ყველა პირობასა და კრიტერიუმს აკმაყოფილებს“.*

შეგახსენებთ, რომ პორტსმუთელთა კლუბში შექმნილი მდგომარეობა ძალიან რევს საკუთრივ ფეხბურთელთა გეგმებს, რის წინააღმდეგაც „პომპეისა“ და ინგლისის ნაკრების ფორვარდმა, **პიტერ კრაუჩმა** აიმაღლა ხმა.

**ლუკა სიხარულიძე**

ჭორ-მართალი

# რას იტყუება უოლტერი?

„ლივერპულმა“ დაადასტურა, რომ **ხავიერ მასკერანოსა** და **ჩაბი ალონსოს** შენარჩუნება სურს და შვებით დასძინა, რომ ამ ორი ფეხბურთელის თაობაზე კლუბისთვის ოფიციალურად ჯერ არავის მიუმართავს.

*„ჩვენ მასკერანოსა და ალონსოს თაობაზე არავინ შეგვხმიანებია“* - დაწერა კლუბის ვებგვერდმა აგორებული ჭორების გასაბათილებლად. ჭორი კი ამ ორი ფეხბურთელის გარშემო მართლაც მრავლადაა. ერთ-ერთი მაგალითად, ასეთი გახლავთ: 25 წლის მასკერანოზე ამბობენ, რომ ოჯახური მიზეზების გამო ინგლისიდან რომელიმე ესპანურენოვან ქვეყანაში აპირებს გადაბარგებას. ამ ამბისგან დამოუკიდებლად, როგორც მასკერანოს, ასევე ალონსოს სახელს ხან „რეალს“ უკავშირებენ და ხან „ბარსელონას“. ამბობენ, რომ ჩაბი ალონსოში მადრიდელები ფულსაც იხდიან და ხურდაში **ალვარო ნეგრედოსა** და **ალბერტო ბუენოსაც** აყოლებდნენ.



მარცხნივ ჩაბი ალონსო, მარჯვნივ ხავიერ მასკერანო

ვითარებაში უკეთ გასარკვევად, მასკერანოს აგენტს, **უოლტერ ტამერს** მერსისაიდელთა მწვრთნელი, **რაფა ბენიტესი** ელაპარაკა და შეხვედრიდან გამოსულმა გადაჭრით განაცხადა, რომ არგენტინელი... „ბარსელონაში“ არ მიდის.

*„ბარსელონელებს შეუძლიათ მასკერანოზე ფიქრს თავი დაანებონ. 50 მილიონი ფუნტიც რომ შემოგვთავაზონ, მას არ გავყიდით, რადგან ამ ნახევარმცველს ფასი არ აქვს* - თქვა ბენიტესმა ჯიუტად და დასძინა, - *მინდა ნებისმიერმა კლუბმა იცოდეს, რომ მასკერანო „ლივერპულში“ თავს ბედნიერად გრძნობს. მე ხავიერს ორჯერ თუ სამჯერ ველაპარაკე. ბოლოს ეს ერთი კვირის წინ მოხდა და მისი განწყობა ზუსტად ისეთი იყო, მე რომ ვინატრებდი. თავისი აგენტის ტელეფონიც მან მომცა და უოლტერ ტამერს ამის შემდეგლა შევხვდი. შეხვედრისას უოლტერმა ორ დაინტერესებულ კლუბზე მითხრა რალაც, მაგრამ მე კატეგორიულად მივუგე, რომ ეს თემა ყველამ უნდა დაივიწყოს“.*

თუმცა, ბენიტესის სამწუხაროდ მისი და აგენტ ტამერის შეხვედრიდან რამდენიმე დღეში პრესაში გამოჩნდა ამ უკანასკნელის ფრაზა, სადაც იგი, „ბარსელონას“ შემოთავაზებისთვის დიდ მადლობას უხდის და არწმუნებს, რომ მასკერანოს საკითხზე მოლაპარაკება სრულიად შესაძლებელია.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პასუხად ლივერპულელებმა განაცხადეს, რომ საბედნიეროდ მათ ჯერ არავინ შეხმიანებია.

**ლუკა სიხარულიძე**

ტრანსფერები

# სახალისო ჩანაფიქრი

როგორც ინგლისური „მირორი“ იუწყება, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა, **ალექს ფერგიუსონმა**, რომელიც შვებულებას ტრადიციულად სამხრეთ საფრანგეთში ატარებს, ესპანურ „ვალენსიას“ **დავიდ ვილიას** სანაცვლოდ ინგლისური ფეხბურთისთვის არნახული თანხა, 45 მილიონი ფუნტი შესთავაზა. მოგეხსენებათ, ინგლისის ჩემპიონი მადრიდში გაყიდული **კრისტიანო რონალდოს** შემცვლელის ძიებაშია.



ფერგიუსონის ეს ნაბიჯი თავდამსხმელის შეძენის გარდა „რეალზე“ ერთგვარი შურისძიებაცაა. თუკი „სამეფო გუნდს“ თავად სურს ვილიას შეძენა, „მანჩესტერ იუნაიტედი“ კი მას სწორედ „რეალისგან“ ალებული ფულით იყიდის, შედგება ფრიად სახალისო კომბინაცია, რომლის დასრულების შემდეგ მანჩესტერელებს თავდამსხმელიც დარჩებათ და გვარიანი თანხაც - მადრიდელებმა ხომ რონალდოში 80 მილიონი ფუნტი გადაუხადეს.

ალსანიშნავია, რომ ვილიას ყიდვა ფერგიუსონს აზრად ექსპრომტად არ მოსვლია. ინგლისის ჩემპიონთა თავკაცი ესპანელ თავდამსხმელს რამდენიმე წელიწადია აკვირდება. „მირორი“ წერს, რომ დღეს ფერგიუსონის ხელში 100 მილიონი ფუნტია. აქედან 80, როგორც ცნობილია, რონალდოს სანაცვლოდ „რეალმა“ გადაუხადა, 20 კი ზარდახშაში იმთავითვე მოეპოვებოდა.

მიმომხილველები წერენ, რომ მანჩესტერელთა თავკაცის პრიორიტეტი ვილიას გარდა „უიგანის“ მარჯვენაფლანგელი ანტონიო ვალენსიაა.

**ლუკა სიხარულიძე**

მოსალოდნელი ტრანსფერები



ზლატან იბრაჰიმოვიჩი

# იბრაჰიმოვიჩს ოჯახი აბრკოლებს

## კარვალიოს ინტერში უნდა

**კაკასა** და **კრისტიანო რონალდოს** „რეალში“ გადასვლით პრესამაც დაისვენა, „მილანის“ გულშემატკივრებმაც და **ფლორენტინო პერესმაც**. თუმცა, მასმედიას სალაპარაკოს რა გამოულევს და ბოლო დღეებია, ყველაზე ხშირად **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** „ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლასზე სპეკულირებენ. ჟურნალისტთა ნაწილი იმასაც ამტკიცებდა, რომ ტრანსფერი უკვე შემდგარი გახლდათ და შვედის კატალონიაში გადაბარგება, დღეების ამბავი იყო. თუმცა, ჯერჯერობით ზლატანი კვლავაც „ინტერის“ ფეხბურთელია და დიდია შანსი, არსადაც არ წავიდეს. ამის შესახებ, შვედურ გაზეთთან, „სპორტბლადეტთან“ საუბარში თავად ფეხბურთელმა განაცხადა:

*„რა დასამალია და, „ბარსელონას“ ინტერესი ძალიან მსიამოვნებს. კატალონიელების თამაშის მანერა ყოველთვის მომწონდა და „ასულგრანაში“ ასპარეზობაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი. თუმცა, ყველაფერი ისე არ ხდება, როგორც ჩვენ გვინდა. სავარაუდოდ, „ინტერში“ გავაგრძელებ კარიერას და ამას აქვს თავისი მიზეზები. მილანიდან ესპანეთში გადაბარგება ჩემი ოჯახისთვის დიდ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული და ამ ნაბიჯის გადადგმა ძალიან გამიჭირდება. მეუღლემ ესპანურად ერთი სიტყვაც არ იცის და თანაც, მილანში თავს შესანიშნავად გრძნობს. გაშინაურებულია აქაურობას და ახალ გარემოში გადასვლის არავითარი სურვილი არ აქვს. ორი შვილი მყავს, რომლებიც სკოლაში დადიან და განათლებას იღებენ“.*

იბრაჰიმოვიჩის „ბარსელონაში“ გადასვლის შანსებს **მასიმო მორატის** განცხადებაც ამცირებს. „ინტერის“ პრეზიდენტის თქმით, ფეხბურთელს მხოლოდ იმ შემთხვევაში გაასხვისებს, თუ მის სანაცვლოდ, რომელიმე კლუბი 90 მილიონ ევროს გადაიხდის.

იტალიური პრესა „ინტერთან“ დაკავშირებულ კიდევ ერთ ინფორმაციას ავრცელებს. დიდია შანსი, მომავალი სეზონიდან გუნდს **რიკარდო კარვალიო** შეუერთდეს. პორტუგალიელი ფეხბურთელი „ჩელსიში“ ყოფნით მეტად უკმაყოფილოა და ახალ ნავსაყუდელს ეძებს. ლონდონური კლუბიდან **ჟოზე მოურინიოს** წასვლის შემდეგ, რიკარდო სასტარტო შემადგენლობიდან ამოვარდა და ძირითადად, თადარიგში უწევს ყოფნა. არადა, ჟოზე მას ენდობოდა და შესაბამისად, წყალობდა. ბუნებრივია, კარვალიოს კვლავ მოურინიოსთან სურს დაბრუნება და თვალი „ინტერისკენ“ უჭირავს. პრესასთან საუბარში, ამის შესახებ თავად ფეხბურთელმა განაცხადა:

*„ლონდონური ყოფით ძალიან უკმაყოფილო ვარ და ყველაფერს ვილონებ, რომ ვითარება შეიცვალოს. ახალ მწვრთნელს იმედის თვალით შევყურებ და ვნახოთ, იქნებ მართლაც გამოსწორდეს მდგომარეობა. კარლო ანჩელოტის აუცილებლად დაველაპარაკები და გავიგებ, რა წარმოდგენა აქვს ჩემზე. თუ მენდობა და მათამაშებს, „ჩელსიში“ სიამოვნებით დავრჩები, თუ არადა, ახალი კლუბის ძიება მომიწევს“.*

**ლაშა ნიკლაური**

ჭადრაკი



# თბილისის მერიამ თამასა აწია

ერთ თვეში ორი დიდი საჭადრაკო საერთაშორისო ტურნირი თბილისში - ასეთი რამ მგონი, საქართველოს არც ახსოვს. არადა, ეროვნული ფედერაციის (პრეზიდენტი **გია გიორგაძე**) ინიციატივით გამართული ქალთა ასპარეზობა **მაია ჩიბურდანიძის** თასზე, როგორც გაუწყეთ, გასულ უქმეებზე დამთავრდა. სპონსორების თანადგომით საპრიზო ფონდმა 28 ათასი ლარი შეადგინა, რაც მანდილოსანთა შეჯიბრებისთვის საკმაოდ სოლიდური თანხაა. ორი დღის შემდეგ კი თბილისის ჭადრაკის სასახლეში ახალმა ღია საერთაშორისო ტურნირმა აიღო სტარტი თბილისის მერიის თასზე, რომელშიც 9 ქვეყნის (საქართველო, შვედეთი, ავსტრია, უკრაინა, რუსეთი, ირანი, ერაყი, სომხეთი, აზერბაიჯანი) 208 მოჭადრაკე ქალ-ვაჟი ჩაება. ამგვარი ინტერესი შემთხვევითი არ არის — დედაქალაქის მერიის ხელმძღვანელობამ საპრიზო ფონდის თამასა საკმაოდ მაღალ ნიშნულამდე აწია - 64 ათასი ლარი! გამარჯვებული 10 000 ლარს და სპეციალურ თასს დაისაკუთრებს. მეორე-მესამეადგილოსნები, შესაბამისად, 6 500 და 4 500 ლარს მიიღებენ. საერთოდ კი პრიზები პირველ თხუთმეტ ადგილზე გასული მოჭადრაკეებისთვის არის გათვალისწინებული. ცალკეა დაწესებული ფულადი ჯილდოები ქალთათვის, დაბალრეიტინგიანებისა და ურეიტინგოებისთვის, რომ არავინ დაიჩაგროს.

შეჯიბრებაში 30-მდე დიდოსტატი მონაწილეობს. მათ შორის არიან **ბაადურ ჯობავა** (რეიტინგი 2687), სომეხი **არმან პაშიკიანი** (2655), მოსკოველი **მიხეილ ქობალია** (2645), **მერაბ გაგუნაშვილი** (2591), **მიხეილ მჭედლიშვილი** (2586), **ლევან ფანცულაია** (2581), **თორნიკე სანიკიძე** (2559), **ნანა ძაგნიძე** (2541), **ლელა ჯავახიშვილი** (2463), **სალომე მელია** (2440), **ნინო ხურციძე** (2424), **მაკა ფურცელაძე** (2337), რომლებმაც პირველ ტურში წარმატებას მიაღწიეს.

ტურნირი შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართება. თითოეულ მოჭადრაკეს პარტიისთვის 90 წუთი ეძლევა, ყოველ სვლაზე 30 წამის დამატებით. ორი ან მეტი მონაწილის მიერ თანაბარი ქულების დაგროვების შემთხვევაში ადგილები პროგრესის კოეფიციენტით (თავისი რეგრესით) განაწილდება.

დღეს მეორე ტურში ინტერესს იწვევს **ალექსანდრე ყაშაშვილისა** და ბაადურ ჯობავას. არმან პაშიკიანისა და **აგასი ინანტეს** (ორივე — სომხეთი), **ინგა ხურცილავას** და **მიხეილ ქობალიას**, მერაბ გაგუნაშვილისა და **მოჰამედ ისმაილ ნამირის** (ერაყი), **მერი არაბიძისა** და მიხეილ მჭედლიშვილის, **ტურჩან მამედიაროვას** (აზერბაიჯანი) და თორნიკე სანიკიძის, **ოთარ ჯირკვალიშვილსა** და **ნანა ძაგნიძის** შეხვედრები.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო

წყალბურთი

# სამი ჯგუფის ექვსი შედეგი

საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეს“ საცურაო აუზში გუშინ დაიწყო ახალგაზრდა წყალბურთელთა საქართველოს პირველობა. სამ ასაკობრივ ჯგუფში დედაქალაქის 15 გუნდი მონაწილეობს, თითოეულში — ხუთ-ხუთი. მედლებისთვის ისინი წრიული სისტემით დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

გაცნობებთ პირველი დღის შედეგებს:

**1991-1992 წლებში დაბადებულნი:** „ლაგუნა ვერე“ — „ივერია-2“ 12:7, „ლიგამუსი“ — „დელფინი“ 16:1;

**1993-1994 წლებში დაბადებულნი:** „ივერია-2“ — ასკ 7:3, „ივერია-1“ — „ლაგუნა ვერე“ 15:1.

**1995-1996 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი-1“ — „ლიგამუსი-2“ 24:3, „ლიგამუსი-3“ — ასკ 5:2.

დღეს მეორე ტურის შეხვედრებია.

**ვაჟა დანელია**
ავტორის ფოტო



თავისუფალი ჭიდაობა

# დაბრუნება ოქროს მედლით

თავისუფალი სტილის მოჭიდავეები ძმები მალხაზ და შალვა მუზიაშვილები სპეციალისტთა საკმაოდ მაღალ შეფასებას იმსახურებენ. ისინი გორის თავისუფალი სტილის ჭიდაობის დარბაზში ვარჯიშობენ, სადაც ერთ-ერთი მწვრთნელი, მათი მამა მალხაზ მუზიაშვილია.

ძმებს განვლილი სპორტული კარიერის მანძილზე არაერთი წარმატებისთვის მიუღწევიათ, თუმცა ხშირი 4 ტრავმები მათ უფრო მეტის მიღწევაში ერთხანს ხელს უშლიდა. მიმდინარე წელს ორწლიანი იძულებითი შესვენების შემდეგ მალხაზი საჭიდაო ხალიჩას დაუბრუნდა და პირველივე შეჯიბრებაზე (საქართველოს ჩემპიონატი) ოქროს მედალი მოიპოვა, ცოტა ხანში კი ამას ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი მოაყოლა. ასევე ორწლიანი შესვენების შემდეგ ახლახან ვახტანგ ბალავაძის ტურნირზე დაუბრუნდა არენას უფროსი ძმა შალვა და მანაც პირველივე შეჯიბრება ოქროს მედლით დააგვირგვინა. შალვას სწორედ ბალავაძის ტურნირის შემდეგ გავესაუბრეთ...

**— თავდაპირველად მკითხველს შენი უწინდელი შედეგები შევახსენოთ...**

— 2001 წელს ახალგაზრდებს შორის მსოფლიოს ჩემპიონი გავხდი, ხოლო 2002 წელს ევროპის ჩემპიონატზე ვერცხლის მედალი მოვიპოვე. უფროს ასაკში გადასვლის შემდგომ რამდენჯერმე ვიყავი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი, მოგებული მაქვს უმახანოვის სახელობის ტურნირი დაღესტანში, მომდევნო წელს იქვე „კავკასიის თასი“ მოვიპოვე.

**— ვახტანგ ბალავაძის ტურნირზე წარმატება აქამდე არ გქონია?**

— ამ შეჯიბრებაზე მხოლოდ მეორედ ვიასპარეზე. გასულ წლებში ტრავმის გამო იძულებით მიწევდა მისი გამოტოვება. სამწუხაროდ, არაერთხელ მომხდარა, რომ საქართველოს ჩემპიონობის შემდეგ ბალავაძის სახელობის ტურნირის წინ ტრავმების მიზეზით, მიუხედავად ჭიდაობის დიდი სურვილისა, ამ ტურნირს ვტოვებდი.

**— ტრავმები შენს კარიერაში არცთუ იშვიათია...**

— დიახ, ხშირად ამ მიზეზით სხვადასხვა შეჯიბრების გამოტოვება მიწევდა. 2005 წელს ვარნაში, ბოლო კონტინენტის პირველობაზე, ტრავმირებულმა ვიჭიდავე. მერე, საქართველოში დაბრუნებულს დამიდგინეს, რომ ნეკნი მქონია გატეხილი, მართალია, ამ ვითარებაში იქ პირველი შეხვედრის მოგება მაინც მოვახერხე, მაგრამ შემდგომ ტკივილების გამო საპრიზო ადგილისთვის ველარ ვიბრძოლე. ბოლო ორი წელიწადიც სწორედ ტკივილებისა და გარკვეული პრობლემების გამო აღარ გამოვჩენილვარ საჭიდაო ხალიჩაზე.

**— სამაგიეროდ, არენაზე დაბრუნება წარმატებული გამოგივიდა. მოგვიყევი, როგორ მიაღწიე ბალავაძის ტურნირის ოქროს მედლამდე?**

— პირველი მეტოქე ჯონი ჯინჭარაძე იყო, რომელსაც ადრეც არაერთხელ შევხვედრივარ. ის საკმაოდ კარგი სპორტსმენი და ჩემი ძველი მეტოქეა. ჯონიმ ჩემთან დამარცხების შემდეგაც დაამტკიცა თავისი შესაძლებლობები, მომდევნო პაექრობები მოიგო და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ჯინჭარაძის მერე სომეხი მოჭიდავის წინააღმდეგობის დაძლევამ მომიწია, ვერ ვიტყვი, რომ ძალიან გამიჭირდა. ფინალში გადასასვლელი შეხვედრა ვასილ კოტორაშვილთან მქონდა. ცოტა ხნის წინათ, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე ის ფინალში ჩემს ძმას მალხაზს შეხვდა. კოტორაშვილი მეც დავამარცხე და ფინალში გავედი.

**— ... სადაც მეტოქედ ასევე შენი ძმის მიერ საქართველოს ჩემპიონატზე ძლეული კობა კაკალაძე გყავდა...**

— მალხაზის დარად, კაკალაძესაც ვაჯობე. მეტად სასიამოვნო იყო, კარიერაში ამ ერთგვარი წყვეტილი პერიოდის მერე წარმატებული დაბრუნება, თანაც თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ვახტანგ ბალავაძის ტურნირი ყოველთვის წარმომადგენლობითი და საინტერესო შეჯიბრებაა.

**— წლეულს შენი და შენი ძმის დაბრუნება საჭიდაო ხალიჩაზე ერთობ შთამბეჭდავი გამოდგა. მალხაზი საქართველოს ჩემპიონობის შემდეგ ევროპის პრიზიორიც გახდა. ახლა სად გიწევს ასპარეზობა, კვლავ ველოდოთ უწინდელ გამარჯვებებს?**

— აგვისტომდე მნიშვნელოვანი შეჯიბრება აღარ არის. აგვისტოში პოლონეთში გველის საერთაშორისო ტურნირი და, ალბათ, იქ მომიწევს ჭიდაობა. მერე კი არის კიდევ ერთი გრან-პრის გათამაშება, მაგრამ იქ ლიცენზია მხოლოდ კობა კაკალაძეს აქვს. ლიცენზიის მოპოვება ტაშკენტის ტურნირზე შეიძლებოდა, თუმცა... იძულებითმა შესვენებამ აგერ, ამ კონკრეტულ შეჯიბრებაზე წაუსვლელობაზეც იმოქმედა.

**— ამჟამად როგორ გრძნობ თავს?**

— აბსოლუტურად ჯანმრთელი და ჭიდაობისთვის შემართული ვარ!. ძალიან მინდა ჩემს ტიტულებს კიდევ შევმატო პრიზები და ჯილდოები, საამისოდ მართლაც არ დავზოგავ თავს.

**ვასილ ბალახაძე**

ჩოგბურთი

# ქალები: ყველანი წინ!



მარცხნიდან: მაკა ჩახნაშვილი, სოფიო შაფათავა, ანა ტატიშვილი და მანანა შაფაქიძე

გუშინ WTA-ის და ATP-ის რეიტინგები გამოქვეყნდა, გაგაცნობთ ქართველი ჩოგბურთელების დღევანდელ მდგომარეობას. **ანა ტატიშვილმა** 8 საფეხურით წაიწია წინ და ახლა იგი 360 ქულით მსოფლიოს 164-ე ჩოგანია. 25 ადგილით დაწინაურდა **მაკა ჩახნაშვილი**, ვინც 238 ქულით მსოფლიო კლასიფიკაციაში 228-ე პოზიციაზეა. **სოფიო შაფათავასთვის** რეიტინგი დიდად არ შეცვლილა - ის 180 ქულით 272-ეა (-2). მას თითქმის დაეწია თანამემამულე **ოქსანა კალაშნიკოვა**, ოქსანას 174 ქულა აქვს, კალაშნიკოვა კარიერაში პირველად მსოფლიოს 276-ე ჩოგანია.

წინსვლა აქვთ მეორე ეშელონის ჩვენებურ ჩოგბურთელებსაც: **ეკა გორგოძეს** 69 ქულა დაუგროვდა, რაც საკმარისი აღმოჩნდა რეიტინგში 64 ადგილით ასანაცვლებლად, ეკა მსოფლიოს 485-ე ჩოგანია (კარიერის მიღწევა). **სოფიო ქვაცაბაიასაც** კარიერის ახალი მიღწევა აქვს, ჩვენებურს 59 ქულა აქვს და ის კლასიფიკაციაში 39 ადგილით წავიდა წინ, ქვაცაბაია მსოფლიოს 525-ე ჩოგანია. მაგრამ ყველაზე დიდი ნახტომი **მანანა შაფაქიძემ** გააკეთა, მან ერთ კვირაში 113 ადგილით წაიწია და ახლა 666-ე პოზიციაზეა 36 ქულით. ქალთა რეიტინგში კიდევ ერთი ჩვენებურია - 886 (-2) **სოფიო მელიქიშვილი** 16 ქულა.

ვაჟთა რეიტინგში უძრაობაა: 495 (-) **ირაკლი ლაბაძე** - 96 ქულა; 840 (+3) **ნიკოლოზ ბასილაშვილი** - 26; 844 (+2) **ლაზარე კუხალაშვილი** - 26; 958 (+3) **ლადო ჩიხლაძე** - 17; 1286 (+5) **ნოდარ ითონიშვილი** - 6; 1535 (+3) **ბექა ბუჩუკური** - 2; 1605 (+5) **დემეტრე თაქთაქიშვილი** - 2.

ფრანგული მონპელიეს ტურნირში (25 ათასი $) მაკა ჩახნაშვილი მე-8 ნომრად განთესეს. მისი პირველი მეტოქე საკვალიფიკაციო წრიდან გამოსული არგენტინელი **მარია-ემილია სალერნია** (489), მსოფლიოს საუკეთესო ასეულის ყოფილი წევრი. სოფიო შაფათავაც საკვალიფიკაციო ბადის გამარჯვებულს ეთამაშება, პოლონელ **ალექსანდრა გრელას** (546).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პლაჟბურთი

# ჩვენები მსოფლიოს ფინალურ ეტაპზე

პლაჟისფრენბურთში საქართველოს ქალთა და ვაჟთა ეროვნული ნაკრები გუნდები მონაწილეობას მიიღებენ 2009 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში, რომელიც ნორვეგიის ქ. სტავანგერში 25 ივნისს დაიწყება და 5 ივლისს დასრულდება.

მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე 48 საუკეთესო ქალთა და ვაჟთა ნაკრები ისპარეზებს. შედგება 4-4 გუნდიანი 12 ქვეჯგუფი, შემდეგ უკვე ტურნირს პირველ და მეორე ადგილზე გასული გუნდები და 8 საუკეთესო მე-3 ადგილოსანი გააგრძელებს ოლიმპიური სისტემით.

ტურნირის კალენდარს ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაცია რამდენიმე დღეში გამოაქვეყნებს.

მსოფლიოს ჩემპიონატს დაესწრება საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი და ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოს წევრი **ლევან ახვლედიანი**.

**"ლელოს" კორ.**





ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

ინტერვიუ ვიქტორ სანიკიძესთან

# B დივიზიონზე არც უნდა ვიფიქროთ



**შაბათის ნომერში "ტარტუ როკის" ქართველი გამთამაშებლის, გიორგი ცინცაძის ინტერვიუს წაკითხვის საშუალება გქონდათ. დღეს მის თანაგუნდელს, ვიქტორ სანიკიძეს შეგახვედრებთ. თუმცა უნდა დავაზუსტოთ: ბუ და ვიქტორი თანაკლუბელები აღარ არიან. მათ "როკთან" კონტრაქტები ამოეწურათ და ახლა თავისუფალი აგენტების სტატუსით სარგებლობენ.**

**- გიორგიმ "ტარტუში" გაგიწია რეკომენდაცია, ახლა იგი "სან ანტონიოში" წაიყვანე-თქო, - ხუმრობით ვუთხარი ვიქტორს.**

- გასული სეზონი ჩემს კარიერაში მართლაც გამორჩეული იყო. გაისადაც სიამოვნებით ვითამაშებ „ბუს" გვერდით, თუმცა, თავადაც მოგეხსენებათ, ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. კარგი იქნება ისეთი კლუბის მონახვა, რომელიც ორივეს ერთად დაგვიმატებდა. რაც შეეხება "სან ანტონიოს", ამ გუნდის ხელმძღვანელებმა დამირეკეს და საზაფხულო კემპებზე თამაში შემომთავაზეს. სწორედ საზაფხულო ბანაკების შემდეგ ირკვევა სატრანსფერო საკითხები.

**- აპირებ ამერიკაში კემპებზე წასვლას?**

- ჯერ არ ვიცი. "სან ანტონიოდან" ჩემს აგენტს დაუკავშირდებიან და მას ეტყვიან, სად და რა კემპზე უნდა ვითამაშო. თუმცა, დღეს დაბეჯითებით ნამდვილად ვერ ვიტყვი, წავალ თუ არა ამერიკაში.

**- ევროპული კლუბებიდან შემოთავაზებები თუ გაქვს?**

- წინადადებები ჯერ არ მიმიღია. ველი ჩემს აგენტს, რომელიც სატრანსფერო საკითხებზე მუშაობს და თუკი რამე კონკრეტული გამოჩნდა, მან უნდა მითხრას.

**- "ტარტუ როკში" დარჩენა ხომ არ შემოუთავაზებიათ?**

- გუნდის უფროსობა ჩვენი დარჩენით დაინტერესებული იყო, მაგრამ არა მგონია, "როკში" დავრჩე. თუ სხვა უკეთესი არაფერი გამოჩნდა, "ტარტუში" იმ შემთხვევაში დავბრუნდები. ისე, ძალიან მინდა საკონტრაქტო საქმე ნაკრების შეკრებამდე მოვაგვარო.

**- რადგან მომავალზე ვსაუბრობთ, თან ნაკრები ვახსენეთ, აქვე სანაკრებო თემას შევეხოთ.**

- ნაკრებზე რა უნდა ვთქვა... შეკრებას ავსტრიაში ვიწყებთ, სათანადოდ უნდა მოვემზადოთ, რადგან სერიოზული მატჩები გველის. ლუქსემბურგთანაც მობილიზებით თამაში გვმართებს, შვედეთსა და სლოვაკეთზე აღარაფერს ვამბობ.

**- ჯგუფიდან გასვლის შანსებზე აღარ გკითხავ...**

- ჯგუფიდან გასვლა კი არა, B დივიზიონზე ფიქრიც არ მინდა. საქართველოს ნაკრები ელიტაში თამაშს იმსახურებს და წლეულსაც რომ ვერ გადავიდეთ, კიდევ 2-3 წლით მოგვიწევს ქვედა ეშელონში ყურყუტი. ამას გულშემატკივარი არ გვაპატიებს. A დივიზიონში გადასვლასთან ასე ახლოს აქამდე არ ვყოფილვართ. გასვლაზე ოთხი მატჩიდან სამი მოვიგეთ. ერთი მცირე სხვაობით დავთმეთ (შვედეთთან 59:61) და ჯგუფში პირველი ადგილის დაკავების კარგი შანსი გვაქვს. ოპტიმიზმს ისიც მმატებს, რომ 7-8 წელია შინ მატჩი არ წაგვიგია. ამ აგვისტოს ოთხი საშინაო შეხვედრა გვაქვს და ერთიც არ უნდა წავაგოთ.

**- პლეი ოფში სავარაუდო მეტოქეები ბელორუსი და ჩერნოგორია იქნებიან...**

- ნებისმიერ მეტოქესთან საბრძოლველად მზად ვართ, თუმცა აჯობებს პლეი ოფში ჩერნოგორიის ნაცვლად ბელორუსს შევხვდეთ. ამისთვის ქულათა მარაგიც საკმარისი გვაქვს და მიღებულ-ჩაგდებული ბურთების ბალანსიც. მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე მატჩი გასვლაზე ჩავატარეთ, შვედეთზე უკეთესი ბურთების შეფარდება დავიბევეთ. კარგად დავიწყეთ და ასევე უნდა გავაგრძელოთ.

**- ახლა წარსულში გადავინაცვლოთ და "კალევთან" წაგებულ ესტონეთის ჩემპიონატის ფინალზეც ვთქვათ.**

- მე და ცინცაძემაც ძალიან მოვინდომეთ და სხვა ტარტუელებმაც, მაგრამ ჩვენმა გარჯამ შედეგი არ გამოიღო. "კალევი" "როკის" მუდმივი მეტოქეა და მასთან თითოეულ გამარჯვებას ოქროს ფასი აქვს. წლეულს ფინალში ვერა, მაგრამ რეგულარულ ჩემპიონატშიც არაერთხელ ვაჯობეთ და ბალტიის თასზეც.

**- ბალტიის ლიგის მეოთხედფინალში საოცარი გასვლითი შეხვედრა მოიგეთ...**

ვიდრე ამ კითხვაზე პასუხს გაგვცემდა, ვიქტორმა ინტერნეტში იმ შეხვედრის ბოლო წუთების ვიდეოჩანაწერი მოიძია და კიდევ ერთხელ ვნახეთ ოვერტაიმის ბოლო წამზე ამერიკელმა ტანიკა ბერდმა თითქმის ცენტრიდან სამქულიანი როგორ ჩააგდო, რომლის შემდეგაც ტაბლოზე "როკის" სასარგებლოდ 71:68 აინთო.

- ეს იყო სეზონის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური მატჩი. დამატებით დროში ბერდმა მოგვაგებინა, გიორგი ცინცაძემ ოვერტაიმში ორი სამქულიანი ჩააგდო (ერთი ჩემი პასის შემდეგ), თუმცა იმ შეხვედრის სნაიპერი მე გავხდი.

**- კომპიუტერში ისიც ვნახე როგორ ჩამოკეცე ფარი და როგორ მოიგე ჩატენვების კონკურსი.**

- ყოველთვის მიკვირდა, როცა ამბობდნენ ფარი ჩამოტეხაო. ჩამოტეხვაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ "კალევთან" შეხვედრაში ფარი ჩამოვაგდე. ბურთი საკუთარ ნახევარზე მივიღე, წინ თავისუფალი სივრცე ვნახე და მეტოქის კალათისკენ დავიძარი. ჩატენვის შემდეგ, იატაკზე კალათიანად დავეშვი – ფარი ბოლომდე დაიკეცა.

**- როცა გამოქვეყნდა, რომ ჩატენვების კონკურსი მოიგე, ესტონურ წყაროებში "ვარსკვლავთა მატჩის" ძიებას შევუდექი...**

- ესტონეთში ოლ სტარზი არ ჩატარებულა. მხოლოდ ჩატენვებისა და სამქულიანების კონკურსი მოეწყო, რომელშიც მე და ცინცაძემ მივიღეთ მონაწილეობა. ეს შეჯიბრებები ახალგაზრდული ჩემპიონატის "ვარსკვლავთა მატჩს" მიაბეს.

**- ჩატენვების კონკურსის ამსახველი ერთი კარგი ფოტო ვნახე – ცინცაძეს ახტები და ისე აგდებ. ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე ვნახე და აღმოჩნდა, რომ ის ბურთი ვერ ჩააგდე.**

- კარგი რამ გვქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ არ გამოვიდა. თუმცა, მეტოქეებად ახალგაზრდები მყავდნენ და მაინც გავიმარჯვე. გადამწყვეტი აღმოჩნდა ილეთი, რომლის დროსაც ბურთი ფეხებს შორის გავიტარე და ისე ჩავტენე.

ვაჟა სიმონიშვილი

ავტოსპორტი

## ...და კარტინგში

გასულ კვირას რუსთავის ეროვნულ ავტოდრომზე წრიული რბოლის III ეტაპის შედეგებზე "ლელო" გუშინ იტყობინებოდა. აბსოლუტ და მონო კლასში რბოლების გარდა შეჯიბრება გაიმართა აგრეთვე კარტინგისტებს შორის. საპრიზო ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1. დავით აფციური, 2. ნოდარ კოდუა, 3. გიორგი ქადაგიძე.

"ლელოს" კორ.



საქართველოს კადეტთა ნაკრები

# მადეირაზე დიდუბის გავლით

**6 აგვისტოს პორტუგალიის ქალაქ მადეირაში დაიწყება ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები მიიღებს მონაწილეობას.**

**კადეტები გუშინ თბილისში შეიკრიბნენ და ამ შეჯიბრებისთვის მზადებას შეუდგნენ. შემადგენლობა გაფართოებულია, ამიტომ ნაკრებში გამოძახებულთა სიას უახლოეს დღეებში შემოგთავაზებთ, ახლა კი 16-წლამდელების მთავარ მწვრთნელ გია კაზანჯიანს მოვუსმინოთ.**

- პირველ ეტაპს ფიზმომზადებას დავუთმობთ. თავიდან დიდუბის სპორტულ მანეჟში შევიკრიბებით და იქ მოვლონიერდებით. ამის პარალელურად ვივარჯიშებთ ტრენაჟორებზე.

**- ფიზმომზადება რამდენ ხანს გასტანს?**

- ათი დღე. ამის შემდეგ დარბაზში ბურთით ვიმუშავებთ, რათა კიევში გამგზავრების წინ ყოველმხრივ მომზადებულნი ვიყოთ.

**- უკრაინაში რა სახის შეჯიბრებაზე მიდიხართ?**

- იქ საკონტროლო მატჩებს ჩავატარებთ. კიევში 8 ივლისს ჩავალთ, 9, 10 და 11 ივლისს უკრაინის 16-წლამდელთა ნაკრებს დავუპირისპირდებით.

**- კიდევ ხომ არ გექნებათ ამხანაგური შეხვედრები?**

- ალბათ არა. კიევიდან დაბრუნების შემდეგ მზადებას საქართველოში განვაგრძობთ და პორტუგალიაში თბილისიდან გავემგზავრებით.

**- ახლა შემადგენლობაზეც ვთქვათ...**

- დღეს თავიდან 19-მა კაცმა ივარჯიშა. ერთი ტრავმირებულია და ცოტა მოგვიანებით შემოგვიერთდება. უკრაინული ტურნირის წინ შემადგენლობა 14 კალათბურთელამდე შეიკვეცება. რაც შეეხება საბოლოო სიას, აგვისტომდე 14 კალათბურთელით ვივარჯიშებთ, ხოლო ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე 12 კაციანი გუნდით წავალთ.

**- გუნდში რომელი საკალათბურთო სკოლების წარმომადგენლები გყავთ?**

- შემადგენლობაშია რამდენიმე თბილისური სკოლის კალათბურთელი, ასევე მოთამაშეები ბათუმიდან, ქუთაისიდან... სხვათა შორის, მინდა კომენტარი გავაკეთო ერთ საგაზეთო სტატიაზე, რომელიც ამასწინათ "ლელოში" გამოქვეყნდა. მასში ქუთაისის წარმომადგენელი ამბობდა, რომ კადეტთა ნაკრებში ქუთაისიდან არავის ვიძახებთ. არადა, ნოდარ მესხის წაყვანა ესპანეთის საერთაშორისო ტურნირზეც გვინდოდა და თურქეთშიც. ქუთათურებს დავუკავშირდით კიდეც, მაგრამ იგი არ გამოუშვეს.

**- მესხი არც B დივიზიონის მატჩებში დაგეხმარებათ?**

- ნოდარი ახლა თბილისშია და გუნდთან უკვე ვარჯიშობს. იგი ჩვენთან ერთად ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის ემზადება.

**- კადეტთა ასაკში ოფიციალურ შეჯიბრებებზე ბევრს ნიშნავს შეთამაშება. ამ მხრივ როგორი სიტუაციაა?**

- 1993 წელს დაბადებულთა ნაკრებით ორი წლით უფროსების შეჯიბრებაში, საქართველოს 18-წლამდელთა პირველობაზე ვთამაშობდით. ცხადია, უფროსებთან ბრძოლა რთული იყო, თუმცა ტურნირის დასკვნით ნაწილში თამაში საგრძნობლად გავაუმჯობესეთ. რაც ერთი მხრივ შეთამაშების, მეორეს მხრივ გამოცდილების დაგროვების "ბრალი" იყო. ასევე გამოცდილებისა და შეთამაშების თვალსაზრისით ძალიან დაგვეხმარა ესპანეთისა და თურქეთის საერთაშორისო ტურნირები. ესპანეთში დეკემბერში ვითამაშეთ, თურქეთში – თებერვალში. ორივე შეჯიბრებაში ევროპის საუკეთესო ნაკრებებთან მოგვიწია დაპირისპირებამ.

**- საკვალიფიკაციო ტურნირში რა მიზნებს ისახავთ?**

- პირვე ეტაპზე მთავარი ამოცანა ჯგუფიდან გასვლა იქნება, დანარჩენს მომავალი გვიჩვენებს. ვეცდებით, კარგი თამაში ვუჩვენოთ და არავის არაფერი დავუთმოთ.

საქართველოს ნაკრებს ჯგუფში ჩრდილოელებთან, ფინელებთან, ინგლისელებთან, ირლანდიელებთან და დანიელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა.

ვაჟა სიმონიშვილი

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები

# ნაკლული 20-წლამდელები

გუშინ, თბილისში, აკადემიის დარბაზში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შეიკრიბა. თუკი 18-წლამდელთა და 16-წლამდელთა გუნდებში 15-20 კალათბურთელი ვარჯიშობს, 20-წლამდელებმა პირველი წვრთნა ათკაციანი შემადგენლობით ჩატარდა.

აი, ვინ გამოცხადდა ახალგაზრდული ნაკრების შეკრების პირველ დღეს: **ტატო ჩაჩიბაია** (სასოფლო), **რიჩარდ მათიაშვილი** (ავიამშენი), **გიგა კვეტენაძე** (მართვე), **ირაკლი გაბისონია** (სამედიცინო), **გიგი ბარბაქაძე** (სასოფლო), **ზურაბ მაჭავარიანი** (ენერჯი), **მალხაზ აბაიშვილი** (ენერჯი), **გოგა ცეკვავა** (ენერჯი), **გიორგი ნანიტაშვილი** (დინამო).

გაციების გამო პირველ დღეს არ უთამაშია "სასოფლოს" ერთ-ერთ ლიდერ **ბექა წივწივაძეს**. უახლოეს დღეებში ახალგაზრდულ ნაკრებს შეუერთდებიან: **კოკა ტომარაძე** ("საბადელი", ესპანეთი), **გიორგი შარაბიძე** ("ვალენსია", ესპანეთი), **თორნიკე შენგელია** ("ვალენსია", ესპანეთი), **ნოდარ შენგელია** (ამერიკაშია და კოლეჯში მოსახვედრად გამოცდებს აბარებს), **დავით მაისურაძე** ("კიევი", უკრაინა) და **ნიკა მეტერეველი** ("მონტეპასკი", იტალია).

20-წლამდელთა ნაკრების მომავალ მეტოქეებზე და სხვა ამბებზე დაწვრილებით ხვალ გესაუბრებით. ასევე შემოგთავაზებთ ინტერვიუს გუნდის მწვრთნელ **დავით უსტიაშვილთან.**

ვაჟა სიმონიშვილი


გიორგი შხვაცაბაია. ლელო. 1963 წელი

# ლელოს შვილები

სპეციალური გვერდი №8 2009 წელი


რაგბის მოთამაშეები. 1843 წელი. ინგლისი

ჩერჩილის თასი

## შეცდომები, ხარვეზები, პრობლემები...



**საქართველო-ირლანდია A 5:40**

საქართველო (15-9): **სოხაძე (მალალურაძე 50), ელიზბარაშვილი (კაჭარავა 50), თოდუა, გიგაური, გუგავა, კვირიკაშვილი, როხვაძე. (1-8) დადუნაშვილი, ბრეგვაძე (ნატრიაშვილი 50), ჟღენტი (კაკოვინი), უჩავა (ურუშაძე 41), ნემსაძე, ლაბაძე, ს.მაისურაძე, ზ.მაისურაძე.**

*ლ: ზ.მაისურაძე.*

ირლანდია A (15-9): **ჯოუნზი, ქოფი, მაკფეიდანი (მეთიუზი 71), დაუნი, მერფი, ოქონორი (სეკსთონი 50), მერფი (ბოსი 62). (1-8) პილი (იანგი 62), ფოგართი (ქრონინი 62), ბაქლი, ჰოგანი, რაინი, ბესთი (თონერი 71), რონანი (ჰენრი 50), მალდუნი.**

*ნლ: მერფი, მაკფეიდანი (2), ჯოუნზი, ბაქლი, ჰენრი. 2გ: ოქონორი, მაკფეიდანი. 2ს: ოქონორი.*

მსაჯი: **მ.გოდარდი (ავსტრალია).**

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დენვერში, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მორიგი შეხვედრა გამართა ჩერჩილის თასის გათამაშებაში ირლანდიის A ნაკრებთან და 5:40 დამარცხდა.

მატჩის შემდეგ ბორჯღალოსანთა ავსტრალიელ დამრიგებელს **ტიმ ლეინს** უთქვამს:

*„ბიჭებმა დღეს გაცილებით მეტი თავდადებით ითამაშეს, ვიდრე კანადის ნაკრებთან. შესაბამისად დაცვაში თამაშიც გაუმჯობესებული გვქონდა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მეტოქეს ოთხი ლელო ვაჩუქეთ. თამაში ამჯერად ოდნავ უკეთესად გამოგვივიდა, მაგრამ ცხადია, დასახვეწი და გასაუმჯობესებელი ძალიან ბევრი გვაქვს“.*

ძნელი სათქმელია, კონკრეტულად რა მოეწონა ტიმ ლეინს. რაგბი ისეთი თამაშია, თავისთავად მოითხოვს ბრძოლას. უბრძოლველად რაგბი არ არსებობს. მთავარი ისაა რაგბის როგორ თამაშობ. ტექნიკური წუნი და ხარვეზი კი, ჩვენი გუნდის თამაშში ამჯერადაც მრავლად გამოჩნდა. ასეთი დონის გუნდებთან თამაში აუცილებელიც სწორედ იმიტომაა, ეს ნაკლოვანებები დაინახო და მერე მის გამოსწორებაზე იზრუნო.

ისევე როგორც კანადელებთან შეხვედრაში, ამჯერადაც მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდა შერკინება, ოღონდ ისევ სტატიკურ მდგომარეობაში. ირლანდიელებმა სამჯერ მოლიც დააყენეს და ასე სცადეს ფონს გასვლა, მაგრამ ჩვენს მორკინალებს ძვრა ვერ უყვეს. თამაშის ამ კომპონენტის გამოყენება მათ მას შემდეგ სცადეს, რაც ანგარიშში საგრძნობლად დაწინაურდნენ და რომ არაფერი გამოუვიდათ, ისევ ხელდახელ ბურთაობაზე გადავიდნენ.

სხვა დანარჩენში ჩვენი მორაგბეები მეტოქეს საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ. სისწრაფე, ტექნიკური არსენალი, დერეფანში თამაში ირლანდიელების აქტივში უნდა ჩაიწეროს. რაც ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია, მათ ერთი ერთზე ბრძოლაშიც დაჯაბნეს ბორჯღალოსნები.

მატჩის კომენტატორმა ერთადერთხელ შეაქო ჩვენი მორაგბეები - კარგად თამაშობენ ფეხითო. უკეთესადაც შეიძლებოდა. თუმცა ჩვენს დამრტყმელებს რა უნაკლოდაც უნდა დაეკიდათ ბურთი მეტოქის მოედანში თუ ზურგს უკან, ჩახურვაზე ან არავინ მიდიოდა, ან ძალიან აგვიანებდა. სულ სხვა სურათს ვხედავდით ანალოგიურ სიტუაციებში ირლანდიელების მხრიდან. ფეხით ჩვენზე ცუდად არც ისინი თამაშობდნენ და ჩახურვასაც დროულად ასწრებდნენ.

აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ ტიმ ლეინს იმაში, რომ მეტოქეს ოთხი ლელო ვაჩუქეთ. განსაკუთრებით უზრუნველი ლუკმა ირლანდიელებისთვის პირველი ლელო იყო. მე-15 წუთზე როცა უკვე 6:0 ვაგებდით, შეტევა მოედნის ცენტრში **მერაბ კვირიკაშვილმა** წამოიწყო. მან ცრუ მოძრაობით ორი მეტოქე უსაქმოდ დატოვა და მერე მარჯვნივ გრძელი გადაცემით ორი ბორჯღალოსანი ერთი ირლანდიელის წინააღმდეგ დატოვა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფულ ბეკ **თემურ სოხაძეს** ბურთი ხელიდან გაუვარდა და ის მეტოქის ნადავლი შეიქნა. ირლანდიელთა გარემარბმა **ჯონი მერფიმ** ლელომდე ორმოცდაათი მეტრი ირბინა.

როგორც ჩანს, ამ ლელომ ფსიქოლოგიურად ჩვენი გუნდი მაინც გატეხა. ცხადია, მორაგბეებს ბრძოლა არ შეუწყვეტიათ, მაგრამ ირლანდიელთა მოძალებას პირველ ნახევარში ვერაფრით გაუმკლავდნენ. მათ კიდევ სამჯერ დაალელოვეს საქართველოს ნაკრები.

მშრალი ანგარიშით მარცხისაგან კი, მესამეხაზელმა **ზვიად მაისურაძემ** გვიხსნა. 23-ე წუთზე, როცა ირლანდია 18:0 გვიგებდა, მათი ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში ჩვენს სასარგებლოდ შერკინება დაინიშნა. ბორჯღალოსანთა მორკინალებმა მეტოქეს მძლავრი მიწოლით რამდენიმე მეტრით უკან დაახევინეს. მერე რვა ნომერმა ზვიად მაისურაძემ დროულად გამოიტანა ბურთი შერკინებიდან, ისე, რომ მის წინ მოწინააღმდეგის არც ერთი მორაგბე არ აღმოჩენილა. კვირიკაშვილმა საკმაოდ რთული მდგომარეობიდან ვერ გარდასახა - 5:18.

მეტ-ნაკლებად უკეთესი წინააღმდეგობა ჩვენმა გუნდმა მეორე ტაიმში გასწია. ირლანდიელებმა მხოლოდ ორი ლელოს გატანა მოახერხეს. რაზეც, სამწუხაროდ, ქართველმა მორაგბეებმა ვერაფრით უპასუხეს.

მომდევნო შეხვედრას საქართველოს ნაკრები 21 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრების წინააღმდეგ გამართავს, რომელიც თავის მხრივ ინგლისის A ნაკრებთან დამარცხდა - 17:56.

A ჯგუფი. **1. ირლანდია A - 10 ქულა, 2. კანადა - 5, 3. საქართველო - 0.**

B ჯგუფი. **1. ინგლისი A - 10 ქულა, 2. არგენტინა A - 4, 3. აშშ - 0.**

| 21 ივნისი |
| --- |
| **V ადგილისთვის** |
| საქართველო-აშშ |
| **III ადგილისთვის** |
| არგენტინა A-კანადა |
| **ფინალი** |
| ინგლისი A-ირლანდია A |

ქართველები ევროთასებზე

## წილი ნაყარია



დუბლინში, IRB-ის შტაბბინაში ევროთასების 2009-10 წლების გათამაშების წილისყრა გაიმართა. ყველაზე პრესტიჟულ ჰეინეკენის თასის გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდი - **დავით ზირაქაშვილის** „კლერმონი“ და **დავით ხინჩაგიშვილის** „ბრივი“ იასპარეზებს.

„კლერმონი“, რომელიც ახლახან საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში დამარცხდა, წილისყრამ C ჯგუფში გაამწესა ინგლიურ „ლესტერთან“, იტალიურ „ვიადანასთან და უელსურ „ოსფრიზთან“ ერთად.

„ბრივს“ კი, ბრძოლა F ჯგუფში მოუწევს ინგლისის „ლონდონ აირიშის“, უელსის „სკარლეტსისა“ და ირლანდიური „ლანსტერის“ წინააღმდეგ.

რანგით უფრო დაბალი დონის ტურნირში, ჩელენჯ კაპის გათამაშებაში ქართველ მორაგბეთა ოთხი გუნდი ითამაშებს. **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონი“ და **აქვსენტი გიორგაძის** „კასტრი“ C ჯგუფში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამავე ჯგუფში იასპარეზებს იტალიური „როვიგო“ და ინგლისური „სარასენზი“.

B ჯგუფში მოხვდა **მამუკა გორგოძისა და გიორგი ჩხაიძის** „მონპელიე“. ჩვენებურთა გუნდის მეტოქეები ირლანდიური „ქონოთი“, ინგლისური „ვორჩესტერი“ და ესპანური „ოლიმპუსი“ იქნებიან.

**გოდერძი შველიძისა და ბექა შეყლაშვილის** „მონტობანს“ ასპარეზობა ჩელენჯ კაპზე E ჯგუფში მოუწევს. აქ ისინი ინგლისური „ნიუკასლის“, ფრანგული „ალბისა“ და იტალიური „პადოვას“ წინააღმდეგ ითამაშებენ.



შვიდკაცა რაგბი. ინტერვიუ კახა ალანიასთან

## ყველა თამაში ფინალივით იქნება

**საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა ევროპის სერიის ბოლო ეტაპზე ოდესაში მესამე ადგილი დაიკავა და ჰანოვერში, ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. გერმანიაში შეჯიბრება 11-12 ივლისს გაიმართება. მანამდე კი, ჩვენი გუნდის ოდესაში გამოსვლისა და მომავლის გეგმების შესახებ, ნაკრების მწვრთნელს კახა ალანიას ვესაუბრეთ.**

- მიმაჩნია, რომ ოდესაში საქართველოს შვიდკაცა რაგბის ნაკრებმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო ტურნირი ჩაატარა. შემადგენლობა აქ მნიშვნელოვნად გაძლიერებული გვყავდა. გიორგი ჩხაიძე, შალვა სუთიაშვილი და დავით ბოლღაშვილი გამოცდილი, ძლიერი მოთამაშეები არიან და ეს გუნდსაც აშკარად დაეტყო. რუსეთის ნაკრების გარდა ყველა მეტოქე მშრალი ანგარიშით დავამარცხეთ.

**- რა მოხდა რუსებთან მატჩში. რატომ ვერ შეძელით მათი დამარცხება ამჯერად?**

- გარწმუნებთ რუსებთან შეხვედრა მოსაგები იყო. რამდენიმე გარემოებამ ითამაშა ცუდი როლი. ერთი ისაა, რომ პირველ დღეს ჩვენ სამი თამაში გვქონდა. რუსებმა კი, ოთხივე მოილიეს. მეორე დღეს დილით ჩვენ პოლონელებს შევხვდით და დიდი ანგარიშით - 38:0 მოვუგეთ. რუსები კი, შუადღისას დასვენებული მოვიდნენ.

მერე თამაშისას, მსაჯმა ორჯერ სრულიად უსაფუძვლოდ ჩვენი მორაგბეები, ჯერ ჩხაიძე და მერე ბოლღაშვილი მოედნიდან გააძევა. შვიდკაცაში კაცნაკლული თამაში ძალიან რთულია. ბიჭებს ნერვებმაც უმტყუნა. რუსებთან ხომ ყველა თამაში პრინციპულია.

**- ჩვენი გუნდის თამაშში რა დადებითი ტენდენციების აღნიშვნა შეგიძლიათ?**

- კარგ ფორმაში შევიდა ჩვენი გარემარბი გიორგი შკინინი. ძალიან გვიხარია, რომ დაბრუნდა ნაკრებში დავით ბოლღაშვილი. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და დარწმუნებული ვარ, არა მარტო შვიდკაცა ნაკრებს, ეროვნულ გუნდსაც გამოადგება.

ოდესაში გამოჩნდა, თუ რა დიდი გამოცდილება შეიძინეს ლონდონისა და ედინბურგის მსოფლიო სერიის ეტაპზებზე ირაკლი გეგენავამ, ალექსანდრე ტუჩაშვილმა და გიორგი ბეგაძემ. ამ უკანასკნელმა პირველად ითამაშა შვიდკაცა რაგბის ნაკრებში და ზედიზედ ოთხ ტურნირზე შეუცვლელად იასპარეზა. მან ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღო. ეს მოთამაშე მომავალშიც ძალიან გამოგვადგება.

**- ჰანოვერში ფინალურ ეტაპზე უძლიერესი 12 გუნდი შეიკრიბება. როგორი შემადგენლობით წარდგება ევროპის სერიის ბოლო ეტაპზე საქართველოს ნაკრები?**

- გვინდა, რაც შეიძლება საუკეთესო შემადგენლობა წავიყვანოთ. კანდიდატი ბევრია. თუ რაიმე პრობლემა არ შეიქმნა, ნაკრებში მოვიწვევთ რეზო გიგაურს, მერაბ კვირიკაშვილს, ალექსანდრე თოდუას, დავით ბოლღაშვილს, ირაკლი გუნდიშვილს, სიმონ მაისურაძეს, ირაკლი მაჩხანელს. სია საკმაოდ ვრცელია. ნაკრების კანდიდატები არიან საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში მოასპარეზე მორაგბეებიც. სამწუხაროდ, ტრავმა მიიღო ლაშა ხმალაძემ.

**- დიდი ხანია, ლაპარაკია საქართველოში შვიდკაცა რაგბის სპეციალიზებული გუნდის შექმნის შესახებ. თუ არის რაიმე წინსვლა ამ პროექტში?**

- არა. საქართველოში ამის გაკეთება ძალიან ძნელია. ვფიქრობ, არცაა საჭირო. ჩერჩილის თასზე მოასპარეზე კანადისა და აშშ-ის ნაკრებების უკანა ხაზი მთლიანად შვიდკაცა რაგბის მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული. ასე რომ, შვიდკაცა რაგბის თამაში ჩვენი ნაკრების უკანახაზელებისთვისაც აუცილებელია.

**- როდის დაიწყებს შვიდკაცა რაგბის ნაკრები მზადებას?**

- ნაკრების მზადება ორ ეტაპად წარიმართება. პირველი ეტაპი თბილისში ხვალიდან დაიწყება. მერე, როცა ამერიკიდან ეროვნული ნაკრები დაბრუნდება, ყველა კანდიდატს შორის საუკეთესოებს შევარჩევთ და ჰანოვერში გავემგზავრებით შეჯიბრების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

**- რა მიზანს უსახავთ გუნდს ჰანოვერში და რომელი ქვეყნის ნაკრები გუნდები იქნებიან ჩვენი კონკურენტები?**

- ჰანოვერში აუცილებლად საპრიზო სამეულში უნდა მოვხვდეთ, რათა მომდევნო წელიწადს, მსოფლიოს სერიის ეტაპებში მონაწილეობის უფლება მივიღოთ. ძირითადი კონკურენტი ოთხია - იტალიის, პორტუგალიის, საფრანგეთისა და რუსეთის ნაკრები გუნდები. გერმანიას, ესპანეთსა და მოლდოვასაც კარგი გუნდები ჰყავთ. ვფიქრობ, ძალიან საინტერესო ტურნირი გამოვა. ყველა თამაში ფინალივით იქნება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA პლეი ოფი. ფინალი. V მატჩი

# მეთხუთმეტედ!

„ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" ხუთ მატჩში მოუგო ფინალური სერია „ორლანდო მეჯიქს" და მეთხუთმეტედ მოიპოვა მსოფლიოს საუკეთესო გუნდის ტიტული. კალიფორნიელების თავკაცი **ფილ ჯექსონი** საჩემპიონო ბეჭდების რაოდენობით აბსოლუტური რეკორდსმენი გახდა - მან მეათედ (ექვსი „ჩიკაგოში" და ოთხი - „ლეიკერსში") იზეიმა ჩემპიონობა, რითაც ლეგენდარულ **რედ აუერბახს** გაუსწრო.

■ ■ ■

თავად ჯექსონმა მეხუთე თამაშის წინ გაიხსენა, რომ ბავშვობაში მონუსხული ადევნებდა თვალს „სელტიქსის" საჩემპიონო გამოსვლას, რომლის წყალობითაც ამ გუნდმა 10 წელიწადში 9 ტიტული მოიგო (1956-66). *„მაშინ მეგონა, რომ აუერბახის მიღწევას ვერავინ გააუმჯობესებდა"*, - თქვა ფილმა.

*„დღევანდელ საჩემპიონო სიგარას დიადი რედის საპატივცემულოდ გავაბოლებ"* - ეს უკვე ისტორიული მეათე ტიტულის მოპოვების შემდეგ გაკეთებული განცხადებაა. ფინალურ სირენამდე რამდენიმე წამით ადრე, „ლეიკერსის" კალათბურთელებმა ერთნაირი, ცისფერი საჩემპიონო ქუდები დაიხურეს. მათმა დამრიგებელმა კი სხვანაირი კეპი მოირგო: წინ, ყვითელ ფონზე ეწერა რომაული ციფრი X და ინიციალები - P.J. გვერდებზე კი ის წლები, როცა ეს მწვრთნელი ჩემპიონი ხდებოდა.

■ ■ ■

„ორლანდოსთვის" ამ სერიაში საბედისწერო აღმოჩნდა მეორე და მეოთხე მატჩებში დამარცხებები. ამ შეხვედრებში **სტენ ვან განდის** გუნდი ახლო იყო გამარჯვებასთან, მაგრამ ორივეჯერ ოვერტაიმში დამარცხდა. განსაკუთრებით დასანანი იყო მეოთხე მატჩში წაგება, როცა **ჰედო თურქოგლუმ** და **დუაიტ ჰოვარდმა** ჯამში ექვსიდან ერთი საჯარიმო ჩააგდეს, „ლეიკერსის" მცველმა **დერეკ ფიშერმა** კი ბოლო წამებზე სამქულიანით გაათანაბრა ანგარიში.

ამ წაგებამ მორალურად გატეხა „მეჯიქი". სერიაში ანგარიში 1:3 გახდა, ასეთი ჩამორჩენა კი ფინალში არასდროს არავის გაუბათილებია. ბუნებრივია, „ჯადოქრებს" ფსიქოლოგიურმა წნეხმაც ცუდი სამსახური გაუწია.

■ ■ ■

ამ წნეხის მიუხედავად, აღმოსავლეთი კონფერენციის ჩემპიონმა გუშინდელი თამაში კარგად დაიწყო. წინა მატჩში ცუდი გამოსვლის გამო გულშემატკივრების თვალში რეაბილიტაცია სცადა **რაშარდ ლუისმა** და გუშინდელი მატჩის დასაწყისში ეს კარგად გამოუვიდა. მისი მონდომებით, მეხუთე წუთისთვის ანგარიში 15:6 იყო „ორლანდოს" სასარგებლოდ. თუმცა სულ მალე, სცენაზე **კობი ბრაიანტი** გამოვიდა. კალიფორნიელთა ლიდერმა ტრადიციულად პირველ შესვენებამდე გადალახა 10-ქულიანი ზღვარი. ამჯერად, პირველ მეოთხედში მისი მონაგარი 11 ქულა იყო, „ლეიკერსმა" კი ჩამორჩენა 2 ქულამდე შეამცირა.

ამასობაში, თამაშის სადავეები **დუაიტ ჰოვარდმა** იგდო ხელთ. სუპერმენმა გამოუცდელ **ბინუმს** შავი დღე აყარა და ორივე ფართან დაჩაგრა „ლეიკერსის" ცენტრი. ბინუმმა ზედიზედ ორი პერსონალური მიიღო, შემდეგ ხელსაყრელი სიტუაციიდან ტყორცნა აიცილა და ფილ ჯექსონმა ის სათადარიგოთა სკამზე დასვა.

■ ■ ■

მას შემდეგ, რაც მეხუთე ნომრის პოზიციაზე **პაუ გასოლმა** გადაინაცვლა, ჰოვარდმა დარჩენილ დროში მხოლოდ ერთი ბურთი ჩააგდო თამაშიდან. ესპანელმა ვარსკვლავმა გუნდი გამოაღვიძა და ამას მოჰყვა სტუმრების ფანტასტიკური გაქცევა - 16:0 (!), რომელმაც „ლეიკერსის" 4-ქულიანი ჩამორჩენა 12-ქულიან უპირატესობად აქცია და როგორც შემდეგ გაირკვა, ეს საკმარისი აღმოჩნდა მოსაგებად. ეს გაქცევა ფიშერმა და **არიზამ** დაიწყეს - მათ სამქულიანები ჩააგდეს და პირველად გაიყვანეს თავიანთი გუნდი წინ - 42:40. შემდეგ კი კალიფორნიელების თითქმის ყველა შეტევა შედეგიანად სრულდებოდა, იმ დროს, როცა „ორლანდო" ოთხწუთ-ნახევარი ვერ ახერხებდა ქულის მოპოვებას.

მასპინძლებმა მატჩის გადარჩენა თავიანთი საყვარელი იარაღით - შორეული ტყორცნებით სცადეს, მაგრამ ფილ ჯექსონის ბიჭები ბრწყინვალედ იცავდნენ თავს სამქულიანის ხაზთან და ძალიან იშვიათად აძლევდნენ ორლანდოელებს შორიდან თავისუფლად სროლის საშუალებას. მასპინძლების სამქულიანების გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი 30-ზე დაბალი იყო - 27-დან 8 ზუსტი შორეული ტყორცნა. ფარქვეშ კი გასოლი და **ოდომი** ბატონობდნენ და მეტოქეს შეტევაში მეორე შანსს არ აძლევდნენ.

■ ■ ■

მატჩის დარჩენილი ნაწილის დახასიათება იმ სიტყვებით შეიძლება, რომელიც დაჯილდოების ცერემონიისას ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კომისარმა **დევიდ სტერნმა** განაცხადა: *„ვულოცავ „ორლანდოს" გულშემატკივრებს. ეს გუნდი სამართლიანად გახდა აღმოსავლეთი კონფერენციის ჩემპიონი. მაგრამ ისიც უდავოა, რომ ფინალში „ლეიკერსი" ძლიერი იყო. სწორედ ფილ ჯექსონის ბრწყინვალე გუნდს გადავცემთ დღეს თასს".*

მართლაც, „ორლანდოს" კალათბურთელებმა, ასე თუ ისე, მოახერხეს ღირსეული ბრძოლა და ერთხელ 12 ქულამდეც შეამცირეს ანგარიში. სტუმართა სათადარიგთა სკამზე კი დარჩენილი წუთების გასვლას ელოდნენ. სარეზერვო კალათბურთელები უკვე ფეხზე იდგნენ, მოედანზე მყოფი კალათბურთელები კი თამაშის ყოველი გაჩერების შემდეგ, თანაგუნდელებთან მიირბენდნენ და წარმატებას მათთან ერთად იზიარებდნენ. ბოლო შეტევის წინ „ლეიკერსს" 99 ქულა ჰქონდა. მაგრამ სტუმრები დიდსულოვნად მოიქცნენ, მეასე ქულას არ გამოეკიდნენ და აღარ შეუტიეს „ორლანდოს" ფარს. ფიშერმა (ის და ბრაიანტი მეოთხედ გახდნენ NBA-ის ჩემპიონები) 24 წამი ატარა ბურთი და მატჩიც დასრულდა. მართლაც, რა მნიშვნელობა ჰქონდა ანგარიშს?! მთავარია, რომ „ლეიკერსი" ისევ ჩემპიონი გახდა. შვიდწლიანი პაუზის შემდეგ.

**ორლანდო–ლეიკერსი 86:99**

**28:26, 18:30, 15:20, 25:23**

**ო:** ლუისი (18+10 მოხსნა), ელსტონი (12+5 მოხსნა), თურქოგლუ (12), ლი (12), ჰოვარდი (11+10 მოხსნა) - რედიკი (8), ნელსონი (5), პიეტრუსი (4), გორტატი (4), ბეტი (0).

**ლ:** ბრაიანტი (30+6 მოხსნა+5 პასი+4 დაფარება), არიზა (15+5 მოხსნა), გასოლი (14+15 მოხსნა+4 დაფარება), ფიშერი (13), ბინუმი (6+5 მოხსნა) - ოდომი (17+10 მოხსნა), უოლტონი (2), ფარმარი (2), ვუიაჩიჩი (0).

სერია: 1:4




ცურვა



# ფელპსი წაგებას შეეჩვია

14-გზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **მაიკლ ფელპსმა** ერთი დღის განმავლობაში ორი გაცურვა წააგო. 14 ივნისს, ამერიკის ქალაქ სანტა კლარაში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე ფელპსმა ორ დისტანციაში მიიღო მონაწილეობა. თავიდან მან თავისუფალი სტილით 100 მეტრი 48.87 წამში დაფარა და კანადელ **ბრენტ ჰეიდენს** 43 მეასედი წამით ჩამორჩა.

ამის შემდეგ, მაიკლმა 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში სცადა ბედი და აქაც დამარცხდა, ამჯერად თანამემამულე **რაიან ლოხტესთან**. ფელპსის დრო იყო 54.31 წამი, რაც ლოხტეს შედეგზე 16 მეასედი წამით მეტი იყო.

თუმცა სანტა კლარას ტურნირზე ფელპსმა მაინც მოახერხა თავის გამოჩენა. ამ ორ დამარცხებამდე, ლეგენდარულმა მოცურავემ 200 მეტრზე ბატერფლაიში და 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გაიმარჯვა.

როგორც გახსოვთ, მარიხუანას მოწევისთვის ფელპსი სამი თვით იყო დისკვალიფიცირებული. დიდ სპორტში დაბრუნების შემდეგ, მაიკლმა სხვადასხვა დისტანციაზე სულ რვა გაცურვაში მიიღო მონაწილეობა და ოთხჯერ პირველი მივიდა ფინიშთან.

ავტოსპორტი. ლე მანის 24 საათი




# პეჟომ აუდი დაამარცხა

კვირას, ლეგენდარული „ლე მანის 24-საათიანი რბოლა" დასრულდა. ფრანგულმა კომპანია „პეჟომ" სიურპრიზი შემოგვთავაზა - მან დაამხო „ლე მანზე" გერმანული „აუდის" ჰეგემონია, რომელიც ბოლო ხუთი წელი გრძელდებოდა. თავად „პეჟომ" კი მსოფლიოში ყველაზე ცნობილ რბოლაში 1993 წლის შემდეგ პირველად გაიმარჯვა.

ფრანგებს გასულ წელსაც ჰქონდათ ფინიშზე პირველი მისვლის შანსი, მაგრამ მაშინ წვიმამ მათ დახურულ მანქანებზე ხილვადობის პრობლემა შექმნა და მრბოლელებმა ვერ მოახერხეს სისწრაფეში უპირატესობის გამოყენება. ამჯერად „სარტეს" ავტოდრომზე „პეჟოს" პროტოტიპები „აუდის" მანქანებზე სწრაფები და სტაბილურები იყვნენ.

გერმანულმა კონცერნმა თავისი ერთ-ერთი ავტომობილი უკვე რბოლის დასაწყისში დაკარგა - **ალექს პრემა** ავარიაში მოყვა და ძალიან დიდხანს ცდილობდა ტრასაზე დაბრუნებას. საბოლოოდ, მისი ეკიპაჟი მე-14 მივიდა ფინიშთან და გამარჯვებულთან 49 წრე წააგო.

ჩემპიონი გახდა Peugeot 908-ის ეკიპაჟი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ **ალექსანდრ ვიურცი, მარკ ჟენე** და **დევიდ ბრებემი**. ამ სამეულს დიდხანს უწევდა კონკურენციას შარშანდელი ლე მანის გამარჯვებული ტრიო - **რანალდო კაპელო, ტომ კრისტენსენი** და **ალან მაკნიში**, მაგრამ რბოლის დასრულებამდე ოთხი საათით ადრე, მექანიკოსები დიდხანს მოუნდნენ მათი მანქანის საჭის მექანიზმის შეკეთებას და ძვირფასი დრო დაკარგეს.

ალსანიშნავია, რომ გამარჯვებულის ეკიპაჟი მთლიანად ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტებისგან შედგება. ვიურცმა მეორედ მოიგო „ლე მანი" - პირველად მან აქ „პორშეს" მანქანით 1996 წელს გაიმარჯვა.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**ლე მანის 24 საათი. 77-ე რბოლა**

1. **ვიურცი/ჟენე/ბრებემი** (ავსტრია/ესპანეთი/ავსტრალია, Peugeot 908) - 382 წრე (საშუალო სიჩქარე 216,664 კმ/სთ); 2. **მონტანი/სარასენი/ბურდე** (საფრანგეთი, Peugeot 908) - ჩამორჩენა 1 წრე; 3. **მაკნიში/კრისტენსენი/კაპელო** (ბრიტანეთი/დანია/იტალია, Audi R15) - 7 წრე; 4. **მიუკე/შარუზი/ენგე** (გერმანია/ჩეხეთი/ჩეხეთი, Lola-Aston-Martin) - 9 წრე; 5. **პანისი/ლაპიერი/აიარი** (საფრანგეთი, Oreca-AIM) - 12 წრე; 6. **ლამი/მანასიანი/კლინი** (პორტუგალია/საფრანგეთი/ავსტრია, Peugeot 908) - 13 წრე.

ჩოგბურთი

# ნოვაკი ფავორიტი არ ყოფილა



ჩვეულებისამებრ, საფრანგეთის ღია პირველობის შემდეგ, ჩოგბურთელები ბალახის კორტებზე გადადიან და ცდილობენ ოპტიმალურ ფორმაში შეხვდნენ უიმბლდონს. დიდი სლემის ამ ორი ტურნირის მჭიდრო განლაგება საუკეთესო მოთამაშეებს აკლიმატიზაციისთვის ცოტა დროს უტოვებს და რეიტინგის ყველა ლიდერი ცდილობს ბალახზე მინიმუმ ერთი ტურნირის თამაში მაინც მოასწროს. თუმცა ამჯერად, ყველაფერი სხვანაირად იყო.

შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** ტრადიციულად ჰალეში თამაშობს ხოლმე და წელს, აქ პირველ ნომრად იყო განთესილი, მაგრამ როლან გაროსზე ტრიუმფის შემდეგ, როჯერმა ემოციური დაღლილობა მოიმიზეზა და დასვენება არჩია. **რაფაელ ნადალი** მუხლების პრობლემების გამო არ გაემგზავრა ლონდონში, სადაც შარშან მთავარი პრიზი მოიპოვა. ასე რომ, გასულ კვირას ფავორიტთა სტატუსით **ენდი მიურეი** (ლონდონში თამაშობდა) და **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (შარშან ლონდონის „ქუინზ ქლაბზე" ნადალთან დამარცხების შემდეგ, სერბმა ჰალეში სცადა ბედი) სარგებლობდნენ.

მიურეიმ დამაჯერებლად დაამტკიცა პირველი განთესილის სტატუსი და მთელი კვირის განმავლობაში ეჭვი არავის შეუტანია მის ფავორიტობაში. საკმარისია იმის აღნიშვნა, რომ „ქუინზ ქლაბზე" ხუთ ჩატარებულ შეხვედრაში, ბრიტანელმა ერთი სეტი არ დაუთმო მეტოქეებს. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ენდის იოლი ბადე შეხვდა. ერთადერთი, ვისაც მისთვის პრობლემის შექმნა შეეძლო, ფრანგი **გაელ მონფილსი** იყო, მაგრამ ის ტრავმის გამო ვერ გავიდა მესამე წრის სათამაშოდ. ასე რომ, ფორმალურად, მიურეის მთავარ ოპონენტად ტურნირის მეორე ნომერი **ენდი როდიკი** ითვლებოდა, რომელსაც შოტლანდიელი ფინალამდე არ ხვდებოდა. ამერიკელმა შესანიშნავი სტარტი აიღო - დამაჯერებლად მოუგო **ჰიუიტსა** და **კარლოვიჩს**, მაგრამ შემდეგ ტრავმა მიიღო და ნახევარფინალში თანამემამულე **ჯეიმს ბლეიკთან** ბრძოლა შეწყვიტა.

ასე რომ, ფინალში ენდის მეტოქე გამოცდილი ბლეიკი იყო. პირველ სეტში მიურეიმ გადამწყვეტი ბრეიკი 5:5-ზე გააკეთა და შემდეგ სეტზე დამაჯერებლად მოაწოდა. მეორე პარტიის პირველ ექვს გეიმში მეტოქეები თავიანთ მოწოდებებს ინარჩუნებდნენ, რის შემდეგაც მიურეიმ კიდევ ერთხელ აიღო მეტოქის გეიმი და მეორე სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა - 6:4.

ბოლო ბრიტანელი, ვინც „ქუინზ ქლაბის" ტურნირი მოიგო, **ჰენრი ოსტინი** იყო. ეს შორეულ 1938 წელს მოხდა და იმ სეზონში, ოსტინმა უიმბლდონის ფინალში გააღწია. წელს, მიურეისგან მინიმუმ ამ შედეგის გამეორებას ელიან.

■ ■ ■

ჰალეში სხვანაირი სიტუაცია იყო. როჯერ ფედერერის უარის შემდეგ, ტურნირის შემადგენლობა შესუსტდა და წესით, დომინანტი ნოვაკ ჯოკოვიჩი უნდა ყოფილიყო. მისმა ერთადერთმა პოტენციურმა მოწინააღმდეგემ, ფრანგმა **ჟო-ვილფრიდ ცონგამ** მეორე წრეში მოულოდნელად წააგო **ტომი ჰაასთან**. გერმანელს ბალახის კორტებზე დიდი შედეგებისთვის არასოდეს მიუღწევია - ფინალამდე ერთხელაც კი არ მისულა, ამჯერად კი კარგი ტემპი აკრიფა და გადამწყვეტ მატჩში თამაშის უფლება მოიპოვა.

როგორც მოსალოდნელი იყო, სატურნირო ბადის მეორე მხრიდან ფინალში ჯოკოვიჩი გავიდა, თუმცა სერბი არც ისე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. მეორე წრეში ნოვაკმა კინაღამ **ფლორან სერასთან** წააგო, შემდეგ **ოლივიე როხუსთან** გაუჭირდა. ასეა თუ ისე, სერბმა გადამწყვეტ მატჩში გააღწია, რის შემდეგაც განაცხადა, რომ სულაც არ მიიჩნევს თავს ფავორიტად მომავალ უიმბლდონზე.

ფინალში სათამაშო უპირატესობა გერმანელის მხარეს იყო: ის უფრო შინაარსიანად თამაშობდა და მეტს მოძრაობდა. ტომი შეუდარებელი იყო საკუთარ მოწოდებაზე - ჯოკოვიჩმა პირველი ბრეიკ-პოინტი მხოლოდ მესამე სეტის მსვლელობისას მოიპოვა. მოკლედ, თუ არ ჩავთვლით მეორე სეტის ტაი-ბრეიკს, სადაც ჰაასმა სამი ორმაგი შეცდომა დაუშვა, ეს მატჩი მისი სრული უპირატესობით წარიმართა, რაც მოგვიანებით ჯოკოვიჩმაც აღნიშნა. ტომიმ 2007 წლის შემდეგ პირველი ტიტული მოიგო, რაც აუცილებლად დადებითად იმოქმედებს მის ფსიქოლოგიურ განწყობაზე.

**ATP**

**GERRY WEBER OPEN**

ჰალე (გერმანია). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 750 000 ევრო

**ფინალი**

**ტომი ჰაასი (გერ)**-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2) 6:3, 6:7(4), 6:1.

**AEGON CHAMPIONSHIPS**

ლონდონი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 750 000 ევრო

**ფინალი**

**ენდი მიურეი (ბრიტ, 1)**-ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 6) 7:5, 6:4.

**WTA**

**AEGON Classic**

ბირმინგემი (ინგლისი). ბალახი
**საპრიზო ფონდი:** 750 000 ევრო

**ფინალი**

**მაგდალენა რიბარიკოვა (სლოვაკ, 13)**-ნა ლი (ჩინ, 4) 6:0, 7:6(2).

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2009** | |
| **UNDER 21** | |
| **ინგლისი**-ფინეთი | 2:1 |
| ესპანეთი-გერმანია | 0:0 |
| **ნორვეგია** | |
| სტარტი-მიოლდე | 2:2 |
| **ირლანდიის თასი** | |
| შელბურნი-კრუმლინი | 0:1 |
| **ისლანდია** | |
| ბრეიდაბლიკი-ვალური | 0:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროპის ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| სლოვაკეთი-საბერძნეთი | 57:59 |
| პოლონეთი-ჩეხეთი | 68:82 |
| ლატვია-ესპანეთი | 60:67 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. ისტბურნი** | |
| **ბოგდანოვიჩი**-მინარი | 6:4, 7:6 |
| **კუერი**-კაპდევილე | 6:2, 7:5 |
| **გარსია ლოპესი**-კოროლიოვი | 6:2, 6:7, 6:2 |
| **უორდი**-კრივოი | 6:1, 6:3 |
| გაბაშვილი-**კლეინი** | 3:6, 7:5, 1:6 |
| **გუდოლი**-იტო | 6:4, 6:1 |
| **მაიერი**-შვანკი | 6:4, 6:2 |
| **ლუ**-ფლემინგი | 7:6, 1:6, 6:3 |
| **სანტორო**-კენდრიკი | 6:3, 6:2 |
| **ტურსუნოვი**-ფონინი | 6:3, 4:6, 6:4 |

| ATP. ჰერტოგენბოში | |
|---|---|
| **შარდი**-პეტშნერი | 6:1, 6:3 |
| კოლერერი-**ერნანდესი** | 3:6, 2:6 |
| **ფერერი**-ჰუტა გალუნგი | 6:2, 7:5 |
| **ბეკერი**-სერა | 6:3, 6:4 |
| დარცისი-**ჟიკელი** | 2:6, 3:6 |
| **ლოდრა**-ზვერევი | 6:1, 6:0 |
| **ნორმანი**-ბერტა | 6:3, 6:3 |
| **შუტლერი**-დევილდერი | 6:4, 7:6 |
| ბაღდატისი-რობრედო | გადაიდო |
| **ვლიეგენი**-ჰერნიხი | 2:6, 7:5, 6:2 |
| დე ბაკერი-ფაუ | შეწყდა |
| **WTA. ისტბურნი** | |
| **დუშევინა**-საუთი | 6:4, 6:2 |
| მარტინეს სანჩესი-**გრტი** | 4:6, 3:6 |
| **სტოსური**-ლისიცკი | 6:2, 6:1 |
| **დემენტიევა**-კირილენკო | 6:2, 6:2 |
| ივანოვიჩი-**პეტროვა** | 1:6, 6:4, 4:6 |
| **რაზანო**-კორნე | 7:6, 6:2 |
| **ჟენგი**-სუარეს ნავარო | 6:2, 6:2 |
| **WTA. ჰერტოგენბოში** | |
| ჩეტკოვსკა-**პერვაკი** | 5:7, 6:7 |
| **სკიავონე**-კოინი | 6:2, 6:2 |
| **ტანასუგარნი**-სტრიუკოვა | 6:1, 6:3 |
| **ჰანტუხოვა**-ვინჩი | 7:6, 6:4 |
| **გოვორცოვა**-ბრემონი | 6:2, 6:1 |
| **პენეტა**-ჩანი | 6:4, 6:2 |
| **ვიკმაიერი**-კამერინი | 6:1, 6:3 |
| **ე. ბონდარენკო**-ფლიპკენსი | 6:4, 3:6, 6:3 |
| **შვედოვა**-მაირი | 6:2, 6:0 |
| **კრაიჩეკი**-ერანი | 6:4, 6:2 |

TV პროგრამა

**16 ივნისი. სამშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ევერტონი-ლივერპული.
**08:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დინამო-არსენალი.
**10:10** არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ურაკანი.
**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-რეალი.
**14:10** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ზენიტი-რეალი.
**16:10** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. დორტმუნდი-შალკე.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ფეიენოორდი-აიაქსი.
**20:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:30** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**21:00** ლიბერტადორესის თასი.
**21:50** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. არსენალი-ჰალი.
**23:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**00:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი-ლიონი.
**02:00** არგენტინის ჩემპიონატი. სან ლორენსო-ურაკანი.
**03:50** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ბორდო.
**05:40** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-ფიორენტინა.

**EUROSPORT**

**10:30** ექსტრემალური სპორტი.
**11:30** ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**13:00** ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. VIII ეტაპი.
**14:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ნორვეგია.
**15:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-მალტა.
**16:30** ფეხბურთი. ახალგაზრდული ფესტივალი (21-წლამდელები). ფინალი. ტულონი. საფრანგეთი.
**18:00** ველოსპორტი. Criterium du Dauphine Libere. VIII ეტაპი.
**19:30** მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-ნორვეგია.
**20:15** ბილიარდი.
**22:15** პროფესიული კრივი. WBC-ის ვერსია. სუპერსაშუალო წონა. კარლ ფროჩი (ბრიტანეთი)-ჯერმეინ ტეილორი (აშშ). აშშ.
**23:00** პროფესიული კრივი. WBA-ის ვერსია. ნახევრადმჩატე წონა. იურიორკის გამბოა (კუბა)-ხ. როხასი (ვენესუელა). აშშ.
**01:00** რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. საბერძნეთი.
**02:00** ავტოსპორტი. რენოს მსოფლიოს სერია. უნგრეთი.
**02:30** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი.
**13:00** ახალი ამბები.
**13:30** მაუნტინბაიკი. ევროპის ჩემპიონატი. სლოვენია.
**14:30** ახალი ამბები.
**15:00** საბრძოლო ოსტატობა. კიოლნი. გერმანია.
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი.
**17:00** პლაჟის რაგბი. საჩვენებელი ტურნირი. პარიზი. საფრანგეთი.
**18:45** ახალი ამბები.
**19:00** კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** კრიკეტი. World Twenty 20. სუპერ 8. ბრიტანეთი (LIVE).
**23:30** ახალი ამბები.
**00:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**01:00** ახალი ამბები.

მძლეოსნობა. ოქროს ლიგა. I ეტაპი

# ბრძოლა მილიონისთვის




ბერლინის ოლიმპიურ სტადიონზე „ოქროს ლიგის" პრესტიჟული სერიის პირველი ეტაპი გაიმართა. მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნებმა მილიონიანი ჯეკპოტისთვის ბრძოლა დაიწყეს და ამ მარათონს უკვე ჩამოცილდა ერთი ფავორიტი - ხორვატი სიმაღლეზე მხტომელი ქალი **ბლანკა ვლასიჩი**. მან მოულოდნელად დათმო დუელი გერმანელ **არიანა ფრიდრიხთან**. ვლასიჩმა ეს წაგება არაოპტიმალური სპორტული ფორმით ახსნა. ბლანკას თქმით, მას მზადება ისე აქვს დაგეგმილი, რომ ფორმის პიკს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მიაღწევს.

როგორც ცნობილია, „ოქროს ლიგაზე" მილიონ დოლარს ის მძლეოსანი იგებს, ვინც სერიის ყველა ტურნირში მიაღწევს გამარჯვებას. სპეციალისტთა ვარაუდით, ქალებში ჯეკპოტისთვის რუსი **ელენა ისინბაევა** (ჭოკით ხტომა) და ამერიკელი **სანია რიჩარდსი** (400 მეტრი) იბრძოლებენ. კვირას მათ სეზონში საუკეთესო შედეგებით მოიგეს თავიანთი დისციპლინები.

მამაკაცებშიც ორი გამოკვეთილი ფავორიტია - ეთიოპიელი **კენენისა ბეკელე** (5000 მეტრი) და ფინელი **ტერო პიტკამიაკი** (შუბის ტყორცნა). ყველაზე პრესტიჟულ დისციპლინაში - 100 მეტრზე სირბილში მოსაწყენი სანახაობაა, რადგან აქ მეორეხარისხოვანი სპრინტერები გამოდიან. სარბენ ბილიკზე ვერ ვხედავთ ამერიკელ **ტაისონ გაის**, იამაიკელებს **ასაფა პაუელსა** და **უსაინ ბოლტს**. ორგანიზატორებს ფული არ ეყოთ ბოლტის მოსაწვევად, რადგან პლანეტის ყველაზე სწრაფი ადამიანი სარბენ ბილიკზე გასასვლელად დამატებით ჰონორარს ითხოვს.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

**ოქროს ლიგა. I ეტაპი**

**ბერლინი (გერმანია)**

**კაცები. 100 მ.** 1. დანიელ ბეილი (ანტილის კ-ები) - 10,03; 2. სიმეონ უილიამსონი (ბრიტ) - 10,13; 3. მარკ ბერნსი (ტრი) - 10,15; **5000 მ.** 1. კენენისა ბეკელე (ეთი) - 13.00,76; 2. აბრაჰამ ჩებიი (კენ) - 13.01,08; 3. მიკა კოგო (კენ) - 13.01,30; **110 მ/ბ.** 1. დექსტერ ფოლკი (აშშ) - 13,18; 2. რაიან უილსონი (აშშ) - 13,21; 3. დევიდ პეინი (აშშ) - 13,22; **შუბი.** 1. ტერო პიტკამიაკი (ფინ) - 86,53; 2. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 85,48; 3. იგორ იანიკი (პოლო) - 83,52; **400 მ.** 1. კრის ბრაუნი (ბაჰ) - 45,61; 2. გარი კიკაია (კონ) - 45,68; 3. მაიკლ მატიე (ბაჰ) - 45,92.

**ქალები. 100 მ.** 1. კერონ სტიუარტი (იამ) - 11,00; 2. სტეფანი დარსტი (აშშ) - 11,15; 3. შერი-ენ ბრუქსი (იამ) - 11,18; **სიმაღლე.** 1. არიანა ფრიდრიხი (გერ) - 2,06 (სეზონის საუკეთესო შედეგი); 2. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2,03; 3. მარინა აიტოვა (ყაზ) - 1.93; **ჭოკი.** 1. ელენა ისინბაევა (რუს) - 4,83 (სეზონის საუკეთესო შედეგი); 2. მონიკა პირეკი (პოლ) - 4,78; 3. ფაბიანა მურერი (ბრა) - 4,68. **400 მ.** 1. სანია რიჩარდსი (აშშ) - 49,57 (სეზონის საუკეთესო შედეგი); 2. ამანტა მონტშო (ბოტს) - 50,94; 3. იულია გუშჩინა (რუს) - 51,10; **100 მ/ბ.** 1. დამუ ჩერი (აშშ) - 12,76; 2. დელორენ ენისლონდონი (იამ) - 12,98; 3. ლასენა გოლდინგ-კლარკი (იამ) - 13,00.

რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი

**VII ეტაპი. საბერძნეთის რალი**

1. **მიკო ჰირვონენი** (ფინეთი, „ფორდი") - 4:09.42,5; 2. **სებასტიან ოჟიე** (საფრანგეთი, „სიტროენი) - +1.12,9; 3. **იარი-მატი ლატვალა** (ფინეთი, „ფორდი") - +1.45,0; 4. **ფედერიკო ვილაგრა** (არგენტინა, „ფორდი") - +3.48,3; 5. **კონრად რაუტენბახი** (ზიმბაბვე, „სიტროენი") - +3.59,8; 6. **ხალიდ ალ-ქასიმი** (საემიროები, „ფორდი") - 7,04,3; 7. **მადს ოსტბერგი** (ნორვეგია, „სუბარუ") - +12.24,9; 8. **ლაზროს ათანასულასი** (საბერძნეთი, „შკოდა") - +12.47,6.

**საერთო ჩათვლა:** 1. **სებასტიან ლოები** (საფრანგეთი, „სიტროენი") - 55; 3. **მიკო ჰირვონენი** - 48; 3. **დანიელ სორდო** (ესპანეთი, „სიტროენი") - 31; 4. **იარი-მატი ლატვალა** - 25; 5. **ჰენინგ სოლბერგი** (ნორვეგია, „ფორდი") - 21; 6. **პეტერ სოლბერგი** (ნორვეგია, „სუბარუ") - 20 7. **მეტიუ უილსონი** (ბრიტანეთი, „ფორდი") - 15; 8. **ფედერიკო ვილაგრა** - 14.

მოტორბოლა

**VI ეტაპი (კატალონიის გრან-პრი)**

**125 cc**

1. **ანდრეა იანონე** (იტალია, „აპრილია") - 41.10,494; 2. **ნიკოლას ტეროლი** (ესპანეთი, „აპრილია") - +2,245; 3. **სერხიო გადეა** (ესპანეთი, „აპრილია") - 2,330; 4. **ხულიან სიმონი** (ესპანეთი, „აპრილია") - +2,331; 5. **მარკ მარკესი** (ესპანეთი, KTM) - +2,356; 6. **იონას ფოლგერი** (გერმანია, „აპრილია") - +2,531.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ხულიან სიმონი** - 84 ქულა; 2. **ბრედლი სმიტი** (ბრიტანეთი, „აპრილია") - 82.5; 3. **ანდრეა იანონე** - 71.5; 4. **სერხიო გადეა** - 59; 5. **ნიკოლას ტეროლი** - 57.5; 6. **მარკ მარკესი** - 49.

**250 cc**

1. **ალვარო ბაუტისტა** (ესპანეთი, „აპრილია") - 41.09,18; 2. **ჰიროში აოიამა** (იაპონია, KTM) - +7,185; 3. **ექტორ ბარბერა** (ესპანეთი, „აპრილია") - +7,282; 4. **მატია პაზინი** (იტალია, „აპრილია") - +10,784; 5. **ალექს დებონი** (ესპანეთი, „აპრილია") - +15,740; 6. **თომას ლუტი** (შვეიცარია, „აპრილია") - +15,780.

**საერთო ჩათვლა:** 1. **ალვარო ბაუტისტა** - 108 ქულა; 2. **ჰიროში აოიამა** - 96; 3. **ექტორ ბარბერა** - 75; 4. **მატია პაზინი** - 64; 5. . **მარკო სიმონჩელი** (იტალია, „ხილერა") - 61; 6. **თომას ლუტი** - 52.

**მოტოგრან-პრი**

1. **ვალენტინო როსი** (იტალია, „იამაჰა") - 43.11,897; 2. **ხორხე ლორენსო** (ესპანეთი, „იამაჰა") - +0,095; 3. **კეისი სტოუნერი** (ავსტრალია, „დუკატი") - +8,884; 4. **ანდრეა დოვიციოზი** (იტალია, „ჰონდა") - +8,936; 5. **ლორის კაპიროსი** (ესპანეთი, „სუძუკი") - +19,831; 6. **დანიელ პედროსა** (ესპანეთი, „ჰონდა") - +22,182.

**საერთო ჩათვლა:** 1. **კეისი სტოუნერი** - 106 ქულა; 1. **ხორხე ლორენსო** - 106; 1. **ვალენტინო როსი** - 106; 4. **ანდრეა დოვიციოზი** - 69; 4. **დანიელ პედროსა** - 67; 6. **კოლინ ედვარდსი** (აშშ, „იამაჰა") - 54.

16
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვარსკვლავები მოედნებს მიღმა

# რობერტო კარლოსმა სან პაულუში იქორწინა

დასრულდა ვეტერანი ბრაზილიელი ფეხბურთელის **რობერტო კარლოსის** თავისუფალი ცხოვრება. თურქეთის "ფენერაჰჩეს" მცველის რჩეული გახდა 25 წლის **მარიანა ლუკონი**.

საქორწინო ცერემონია, რომელსაც 600 ადამიანი ესწრებოდა, ქალაქ სან პაულუში გაიმართა. ახალდაქორწინებულებმა პირველი ღამე სასტუმრო Sheraton-ის ლუქსში გაატარეს და საქორწინო მოგზაურობაში დუბაიში გაემგზავრნენ.






# აბრამოვიჩის ახალი სამფლობელო

ჰამბურგის პორტში მსოფლიოს ყველაზე ძვირად ღირებული კერძო იახტის მშენებლობა დასრულდა. მისი მფლობელია რუსი მილიარდერი, ლონდონის "ჩელსის" მეპატრონე **რომან აბრამოვიჩი**. იახტას Eclipse ჰქვია და 340 მილიონ ევროდ არის შეფასებული. ეს ინფორმაცია გერმანულმა ტაბლოიდმა "ბილდმა" გაავრცელა.

აბრამოვიჩის ახალი იახტა, რომელიც უკვე წყალშია ჩაშვებული, სიგრძეში 170 მეტრს აღწევს. ის ლუქს-კლასის 11 კაიუტით არის აღჭურვილი, სადაც 24 სტუმრის მიღებაა შესაძლებელი. მათ 70 ადამიანი მოემსახურება. ერთი წლის განმავლობაში იახტის შენახვა დაახლოებით 25-30 მილიონი ევრო დაჯდება.

აბრამოვიჩის ახალ სამფლობელოს ორი აუზი, კინოთეატრი და დისკოთეკა აქვს. იახტის კორპუსი ტყვიაგაუმტარი ფოლადით არის აშენებული, ფანჯრებიც ტყვიაგაუმტარი მინისაა.

ბორტზე დამონტაჟებულია სარაკეტო შეტევის ამომცნობი გერმანული სისტემა. გარდა ამისა, იახტაზე ორი ვერტმფრენიც აყენია - ამისთვის ანგარიც არის გათვალისწინებული და სპეციალური დასაფრენი მოედანიც. აქვეა მინი-სუბმარინა, რომელსაც წყალში 50 მეტრზე ჩასვლა შეუძლია.

Eclipse - აბრამოვიჩის მესამე იახტაა. გარდა ამისა, რუს მილიარდერს ჰყავს მსოფლიოში უდიდესი კერძო თვითმფრინავი და ორი წყალქვეშა ნავი.

# გოგო მინდა

**ვიქტორია** და **დევიდ ბექჰემებმა** პრესას გაუმხილეს, რომ მომავალში კიდევ ერთი შვილის გაჩენას აპირებენ. ვარსკვლავური წყვილი სამ ბიჭს ზრდის - ცხრა წლის **ბრუკლინს**, ექვსი წლის **რომეოსა** და ოთხი წლის **კრუზს**. თუმცა ბექჰემებს მიაჩნიათ, რომ ბავშვები ყოველთვის ბევრნი უნდა იყვნენ..

*"სავსებით შესაძლებელია, რომ ეს მოხდება, - განაცხადა ვიქტორიამ. - რა თქმა უნდა, წინასწარ ძნელია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ მინდა, რომ სამი ბიჭის შემდეგ გოგო შემეძინოს".*

*"მინდა ბევრი შვილი მყავდეს, ამიტომაც არ გამოვრიცხავ, რომ მალე ჩვენს ოჯახს შეიძლება ახალი წევრი შეემატოს. იდეალური ვარიანტია, თუ მეოთხე შვილი გოგონა იქნება",* - ეთანხმება მეუღლეს დევიდ ბექჰემი.



გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# მარიას ახალი თავსატეხი

**მარია შარაპოვას** მხრის ტრავმის გარდა, სხვა თავსატეხიც დაემატა. ბოლო დროს, რუსი ჩოგბურთელი ცდილობს, პირადი მცველების გარეშე არ გავიდეს ხალხში. ჭორების მიხედვით, მარიას მანიაკური გადახრების მქონე თაყვანისმცემელი გამოუჩნდა.

*"შარაპოვას ყველგან თან დაჰყვებიან პირადი მცველები,* - განუცხადა ბრიტანულ ტაბლოიდს Daily Mail-ს ჩოგბურთელის გარემოცვასთან დაახლოებულმა პირმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ამჯობინა. - *ბოლო დროს შემჩნეულია, რომ საშუალო ასაკის მამაკაცი მანიაკური სიჯიუტით ესწრება მარიას ყველა შეხვედრას. თანაც, ეს ადამიანი საკმაოდ კოლორიტული ფიგურაა. მას მეტსახელიც მოუგონეს - პროფესორი".*

თუმცა შარაპოვას ასეთი პრობლემები ადრეც ჰქონია. გასულ წელს, გოგონას ამერიკული ფეხბურთის ყოფილი მოთამაშე, 32 წლის **ლეონარდ ტეილორი** ავიწროებდა. მამაკაცი მუდმივად უგზავნიდა ჩოგბურთელს მუქარის SMS-ებს, სადაც მარიასა და მისი ოჯახის წევრებს მოკვლით ემუქრებოდა. საბოლოოდ, შარაპოვამ პოლიციას მიმართა. გამოძიებამ დაადგინა, რომ ტეილორი პარანოიდული შიზოფრენიით იყო დაავადებული.



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge